

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსების
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ხელნაწერის უფლებით

ეკატერინე ბაბუნაშვილი

**საქართველოს ფინანსური სისტემა და მისი სრულყოფის
საკითხვები ბარდამაშვილი ეკონომიკის პირობებში**

08.00.05 – ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი

**ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი**

დ ი ს ე რ ტ ა ტ ი ა

**სამეცნიერო ხელმძღვანელი – რევაზ კაკულია, ეკონომიკურ
მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი**

შინაარსი

შესავალი	3
თავი I. ფინანსური სისტემის ტრანსფორმაციის აუდიტულობა, მიზანი და ამოცანები	12
I.1 ფინანსური სისტემის სფეროები და რგოლები	12
I.2 ფინანსური სისტემის გარდაქმნის აუცილებლობა განვითარებად ქვეყნებში	39
თავი II. სახელმწიფო ფინანსური სისტემის რეფორმირების პრობლემატიკა საქართველოში	49
II.1 ფინანსური სისტემა და ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პრობლემები	49
II.2 სახელმწიფო ფინანსური სისტემის რეფორმირებისა და ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი მიმართულებები	59
თავი III. ფინანსური სისტემის სრულყოფა მიკროლონგზე	87
III.1 ფინანსური ბაზრების ფორმირებისა და განვითარების საკითხები და ფინანსური სისტემის მდგრადობა მიკროლონგზე	87
III.2 ფინანსური სისტემის სრულყოფა მიკროლონგზე, როგორც ფინანსური რესურსების ზრდის აუცილებელი პირობა	113
დასკვნები და რეკომენდაციები	128
ბამოყენებული ლიტერატურა	137

შესავალი

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო პოსტსოციალისტური ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში სისტემური ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც დაზღვეული არ იყო წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავი მოვლენებისაგან კატაკლიზმები ეკონომიკისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის სფეროში, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესება, ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპები და დეფიციტი, დისბალანსი მოთხოვნა-მიწოდებას შორის და ა.შ

დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი წლები, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით უმძიმესი წლები იყო საქართველოს ისტორიაში სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანაში მოიშალა ეკონომიკური კავშირები, ეროვნული ვალუტის უქონლობამ, ფულად-საკრედიტო და ფინანსური სისტემების მოუწესრიგებლობამ პიპერინფლაციური სპირალი გამოიწვია.

ქვეყნის უმძიმესმა ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ მოითხოვა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავების აუცილებლობა დაიწყო ფინანსური სისტემის რეფორმირებისათვის ზრუნვა.

გარდამავალი ეკონომიკის შემსწავლელ თეორეტიკოსებსა და იმ პრაქტიკოსებს შორის, რომლებიც ცდილობენ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის დაძლევის პროცესში მოახდინონ ამა თუ იმ დოქტრინის რეალიზაცია, მძაფრი დისკუსია მიმდინარეობს ფინანსური სისტემის ტრანსფორმაციის თაობაზე. ამასთან, ქართველ მეცნიერ ეკონომისტების მოსაზრებებს ქვეყნის ხელისუფლება ბოლო პერიოდამდე ყურადღების გარეშე გოვებდა, რის გამოც ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკის უზნიშვნელოვანესი პრობლემები გადაუჭრელი რჩებოდა. უფრო მეტიც, ერთიანი მოსაზრება დღემდე მაინც არ არის ჩამოყალიბებული არ გაგვანჩია მეცნიერულად დასაბუთებელი ეკონომიკური პოლიტიკა. არადა, საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გახანგრძლივებული კრიზისის დაძლევა გაძნელებდა ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს საბაზრო ურთიერთობის

ცივილიზებული მოდელის დროულად შერჩევას და მასზე ქვეყნის ფინანსური სისტემის რეფორმირების მორგებას

ეროვნული ეკონომიკის ზრდის სტაბილური და მდგრადი ტემპების მიღწევა შეუძლებელია საბაზრო ურთიერთობებისათვის მისადაგებული ეკონომიკური მექანიზმების ჩამოყალიბების გარეშე, რომლებშიც გადაწყვეტია ფინანსური სისტემა.

იმისათვის, რომ ქვეყნის ფინანსური სისტემა ჩადგეს რეალური ეკონომიკის აღორძინების სამსახურში, აუცილებელია ამ სისტემის გრანსფორმაცია განხორციელდეს ეროვნული ეკონომიკის ყველა სექტორის რეფორმირების პარალელურად. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს ფინანსური სისტემის ფისკალური, მარეგულირებელი და მასგმულირებელი ფუნქციები საბიუჯეტო-საგადასახადო სტრუქტურების საქმიანობის სრულყოფას ემსახურებოდეს, რომ ისინი უფრო ეფექტიანად ახდენდნენ ფინანსური რესურსების მობილიზაციას და მათ ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამების დასაფინანსებლად გამოყენებას

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან მთელი 13 წლის განმავლობაში ქვეყანა სისტემური კრიზისის მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველო, შინაგანი და გარეგანი ფაქტორების შედეგად (ჰიპერინფლაცია, სამოქალაქო ომი, 300-ათასიანი ლტოლვილთა მასა, კორუფცია, ეკონომიკური კავშირების მოშლა, ფასებისა და ვაჭრობის ლიბერალიზაცია) ეროვნული ეკონომიკა ფაქტობრივად გაჩანაგდა ქვეყანას არ გააჩნდა სახელმწიფო ბიუჯეტი, საკრედიტო-საბანკო სისტემის ფორმირება გადაუჭრელი წინააღმდეგობების პროცესში მიმდინარეობდა, ფულის ემისიას საზღვარი არ ჰქონდა, ფინანსური სისტემა ქაოსურად ვითარდებოდა, ყველგან და ყველაფერში მატერიალური და ფინანსური რესურსების უსასტიკესი დეფიციტი მძვინვარებდა, რამაც წარმოების მნიშვნელოვანი ვარდნა გამოიწვია

დამოუკიდებლობა მიღებული საქართველოს ეკონომიკის გრანსფორმაციის პროცესი უმძიმეს პრობლემებთან იყო დაკავშირებული. პასუხი კითხვაზე პოსტსაბჭოური გრანსფორმაციის პირობებში საზოგადოების ეკონომიკურ მოწყობაში თუ რა ცვლილებებია განსახორციელებელი, უნდა გაეცა

მეცნიერ ეკონომისტებს ამასთან, ნებისმიერი გარდაქმნა მოითხოვდა კოლოსალურ ფინანსურ სახსრებს ბუნებრივია, რომ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით შემღვდულობის გამო, შესაფერისი ეკონომისტი კომუნისტურ სიერცემი ძნელად მოიძებნებოდა. ქვეყანას არც ფინანსური რესურსების მობილიზაცია შეეძლო. გამოსავალი მთავრობას საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მხარდაჭერაში უნდა ეპოვა.

მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა სახელმწიფო ფინანსები. ბიუჯეტის შემოსავლების პერმანენტულად შეუსრულებლობის გამო განუხორციელებელი რჩებოდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროგრამები, დიდი იყო ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობა. ქვეყანას არ გააჩნდა საკუთარი საინვესტიციო წყაროები

სისტემური კრიზისის პირობებში განვითარების საბაზრო მოდელის ადეკვატური ფინანსური სისტემის ფორმირება საქართველოში წარიმართა მონეტარიზმის თეორიული კონცეფციის ბაზაზე. ქვეყანაში ეკონომიკური სისტემის კონკრეტული ისტორიული პირობების არაობიექტურმა შეფასებამ, ფინანსურ ურთიერთობათა მართვის უცხოური გამოცდილებების უცოდინრობამ და, აქედან გამომდინარე, მისმა გაუთვალისწინებლობამ, განვითარებული ქვეყნების მონეტარული პოლიტიკის ხელაღებით, მექანიკურმა გადმოტანამ, 1992-2003 წლებში ქვეყანას საშუალება არ მისცა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის სტაბილურობისათვის მიეღწია

მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა 1998 წლის ფინანსურმა კრიზისმა, რომელმაც ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა მონეტარისტული კონცეფციის დანერგვის არარეალობაში. „1998 წლის აგვისტოში გამწვავებულმა ფინანსურმა კრიზისმა დაადასტურა გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მონეტარისტული მეთოდების თანმიმდევრული რეალიზაციის შეუძლებლობა და დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის მექანიკურად გადაღების მანკიერება“¹

სახელმწიფოს წინაშე არსებული ფინანსური პრობლემების დაძლევა შე-

¹ Теория переходной экономики, авт коллектив под редакц *Николаевой И.П.*, М, изд ЮНИТИ-ДАНА, 2001, стр 290.

საძლებელია მხოლოდ ფინანსური სისტემის რეფორმირებით და ფაქტობრივად ახალი, ბაზართან მისადაგებული სისტემის ჩამოყალიბება-განვითარებით

დღეისათვის ქვეყანაში შექმნილია აუცილებელი საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზა და შესაბამისი პირობები ფინანსური ურთიერთობისა და საფინანსო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფისათვის სწორედ ასეთმა პირობებმა მისცა ქართულ ეკონომისტებს იმის შესაძლებლობა, რომ დაეწყათ მუშაობა ფინანსური სისტემისა და მისი ქვესისტემების ფორმირება-ფუნქციონირების სრულყოფის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებზე. ამ მხრივ საყურადღებო გამოკვლევები აქვთ შექმნილი და გამოცემული პროფესორებს – რევაზ ბასარიას, გივი გამსახურდიას, თამარ გამსახურდიას, ვალერიან მურაბიშვილს, ბაურ თეთრუაშვილს, მერაბ კაკულიას, რევაზ კაკულიას, გიორგი მალაშხიას, იაკობ მესხიას, ელგუჯა მექვაბიშვილს, ვლადიმერ პაპაეას, ნუგზარ სანთელაძეს, შოთა ქისტაურს, ჯამლეთ შათირიშვილს, თამაზ ჩიკვაიძეს, გიორგი წერეთელს, გედევან ხელიას, ამირან ჯიბუტს, მიხეილ ჯიბუტს, დოცენტებს – ლელა ბახტაძეს, ზაზა ედიშერაშვილს, ხათუნა შალამბერიძეს, დავით იაკობიძეს, ელგუჯა კონჯარიას, ლევან ქისტაურს და სხვებს. ამასთან, დღემდე ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ნაკლებად არის შესწავლილი ფინანსური სისტემის გრანსფორმირებისა და რეფორმირების საკითხები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში

სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობა სადისერტაციო თემის შერჩევა. ამითვე განისაზღვრა პრობლემის აქტუალურობა

სადისერტაციო ნაშრომის გამოკვლევის მიზანია ეროვნული ეკონომიკის კრიზისული მოვლენებიდან გამოყვანის, სახელმწიფოსა და სამეურნეო სუბიექტების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის, ეკონომიკური ზრდისა და, საერთოდ, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის საქმეში ფინანსური სისტემის და მისი ქვესისტემების ადგილისა და როლის განსაზღვრა, ფინანსური და საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემებისა და საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების და მათი განხორციელების მექანიზმის მეცნიერული შესწავლა, ფინანსური სისტემის გრანსფორმაციისა და გარდაქმნის თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპების ჩამოყალიბება და ფინანსურ

ურთიერთობათა სრულყოფის ორგანიზაციული ხასიათის წინადადებების შემუშავება.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, დასახული იქნა შემდეგი ამოცანები:

– ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის და ფინანსური სისტემის სტაბილიზაციისა და მდგრადობის პირველი შედეგების ანალიზი და ღონისძიებათა შემუშავება საბიუჯეტო და საგადასახალო ქვესისტემებში ფინანსური რესურსების მობილიზაციის და მისი სწორად განთავსებისა და გამოყენების გზებისა და მიმართულებების დასახვის მიზნით,

– ფინანსურ სისტემასა და მის ქვესისტემებზე სხვადასხვა ფაქტორთა გავლენის შესწავლა-ანალიზი;

– ქვეყნის ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების დინამიკისა და სტრუქტურის რეგროსპექტიულ თავისებურებათა შესწავლა და ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების არსებული მოდელის სრულყოფის მიმართულებით წინადადებების შემუშავება,

– გარდამავალ პერიოდში საბიუჯეტო და საგადასახალო პროცესებზე სახელმწიფო რეგულირების პრინციპების, მეთოდებისა და ფორმების თავისებურებათა გარკვევა, ფინანსური რესურსების დეფიციტის გამომწვევი მიზეზების დადგენა და მათი აღმოფხვრის მიზნით წინადადებების შემუშავება;

– ფინანსური სისტემის რეფორმირების მიმართულებებით შემუშავებულ კონცეფციათა კომპლექსური ანალიზი და შესაბამისი წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საგანია ფინანსური სისტემის ეკონომიკური, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ასპექტები ეროვნული ეკონომიკის გრანსფორმაციის პირობებში,

კვლევის ობიექტია პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც დაგროვდა ფინანსური ურთიერთობების, ფინანსური სისტემისა და მისი ქვესისტემების რეგულირების სფეროებში არსებული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია ფინანსებისა და ფინანსური სისტემის ფუძემდებლური დებულებები, ქართველი და უცხოელი

მკვლევარების ფუნდამენტური თეორიულ-მეთოდოლოგიური გამოკვლევები, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ შემუშავებული და მიღებული გადაწყვეტილებები, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მემორანდუმები და სარეკომენდაციო დოკუმენტები, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროების, საქართველოს ეროვნული ბანკისა და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები და ანალიზური მასალები

კვლევის მეთოდურ საფუძველს წარმოადგენს სტატისტიკური ანალიზისა და სინთეზის, შედარებითი ანალიზის, ფაქტორების დაჯგუფების, ინდექსებისა და დედუქციის მეთოდები, აგრეთვე ანალოგიისა და სისტემური მიდგომის, უცხოეთის გამოცდილებათა განზოგადების და სხვა მეთოდები

ზოგადად სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს მაკრო და მიკრო დონეებზე ფინანსური სისტემის ფორმირებისა და მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხების კომპლექსურ შესწავლასა და განზოგადებაში, იმ სპეციფიკური თავისებურებებისა და გადაუჭრელი პრობლემების გამოვლენაში, რომლებიც ხელს უშლიან ფინანსური სისტემის რეფორმირებასა და ამ მიმართულებით სრულყოფის რეკომენდაციების შემუშავებაში.

კონკრეტულად კვლევის შედეგად მიღებული მეცნიერული სიახლეები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს

– გამოკვლეულია საქართველოს მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე ფინანსური სისტემისა და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გავლენის ძირითადი ეკონომიკური მექანიზმები; დაზუსტებულია ფინანსური სისტემისა და მისი ქვესისტემების, სახელმწიფო ბიუჯეტის ადგილი და როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური მაჩვენებლების პოზიტიური შედეგების უზრუნველყოფაში, განსაკუთრებით მეწარმეობის განვითარების, უმუშევრობის შემცირების და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიმართულებით,

– გაკეთებულია ქვეყნის ეროვნული ეკონომიკისა და ფინანსური სისტემის სტაბილიზაციისა და მდგრადობის (1993-2003 წ.წ.) პირველი შედეგების ანალიზი,

შესწავლილია საბიუჯეტო და საგადასახადო ქვესისტემებზე სხვადასხვა ფაქტორთა გავლენა ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და მისი ეფექტიანად გამოყენების მიზნით,

– დასაბუთებულია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ფინანსური სისტემის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაძლიერების აუცილებლობა;

– კვლევის შედეგად დასაბუთებულია, რომ პოლიტიკური არასტაბილურობის, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, ეკონომიკის რეგულირების საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების არასრულყოფილებისა და პერმანენტული ცვლილებების გამო, შეუძლებელი იყო ეკონომიკური და ფინანსური მართვის შედეგების წინასწარგანჭვრეტისა და სწორი პროგნოზირების უზრუნველყოფა,

– დადგენილია, რომ ქვეყანაში ეკონომიკური სისტემის კონკრეტულ-ისტორიული პირობების არაობიექტურმა შეფასებამ, ფინანსურ ურთიერთობათა მართვის უცხოური გამოცდილების უცოდინარობამ და, აქედან გამომდინარე, სასიკეთო მომენტების გაუთვალისწინებლობამ, განვითარებული ქვეყნების მონეტარული პოლიტიკის ხელაღებით, მექანიკურმა გადმოგანამ, 1992-2003 წლებში ქვეყანას საშუალება არ მისცა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის სტაბილურობისათვის მიეღწია;

– კვლევის შედეგად დასაბუთებულია გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მონეტარისტული მეთოდების თანმიმდევრული რეალიზაციის შეუძლებლობა და დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის მექანიკურად გადაღების მანკიერება;

– სადისერტაციო ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა – ქვეყნის ფინანსური სისტემის გრანსფორმაციისა და გარდაქმნების გზები და საშუალებები რადიკალურად შეიცვალა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პერიოდში,

– საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ ქვეყანაში გატარებულმა ფინანსური სისტემის რეფორმებმა და საგადასახადო ადმინისტრირების გამკაცრებამ თავისი დადებითი შედეგები გამოიღო: 2004 წელს ბიუჯეტის, 2003 წელთან შედარებით, მთლიანი შემოსავლები 91,3%-ით გაიზარდა და 1773

მლნ ლარს გადაამეტა, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის ტემპმა 8,4 %-ს მიაღწია, ხოლო საბაზო ინფლაციამ მხოლოდ 5,7 % შეადგინა ამასთან, ახალმა ხელისუფლებამ ფინანსური სისტემის რეფორმის გადრმავების ძირითად მიზნად დასახა ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული შემოსავლის ეფექტიან განაწილებას და გადანაწილებას ამ გზით მიიღწევა საწარმოო ძალთა განვითარება, ეროვნულ ეკონომიკაში საბაზრო სტრუქტურების ფორმირება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეთა გამოთანაბრება

ამრიგად, საქართველოში ფინანსური სისტემის რეფორმების ძირითადი მიზანი უნდა გახდეს ფინანსური სახსრების ფონდების ფორმირებისა და გამოყენების ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული შემოსავლის ეფექტიან განაწილებასა და გადანაწილებას საწარმოო ძალთა განვითარების, ეკონომიკის საბაზრო სტრუქტურების შექმნის, სახელმწიფოს განმტკიცების, მოსახლეობის ფართო მასების ცხოვრების მაღალი დონის მიღწევის, ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელების, ცალკეული რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეთა გამოთანაბრების მიზნით.

ფინანსური სისტემის რეფორმების ძირითადი მიზნის მისაღწევად აუცილებელია

1 შემუშავდეს ადეკვატური კონცეპტუალური საფუძვლები ყველა დონის ბიუჯეტებისა და ფორმირებისათვის,

2 ობიექტურად შეფასდეს სახელმწიფო ფინანსების ეკონომიკაზე მემოქმედება, თვით ფინანსებისა და საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა,

3 დაიგვემოს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ განხორციელებული ფინანსური ოპერაციების გამოყენება და აღრიცხვა;

4 შეიქმნას და გაუმჯობესდეს ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურა;

5. ფინანსური კადრების მომზადების ორგანიზაცია

ქვეყნის ეკონომიკის რეფორმირებაში სერიოზული ღვაწლი მიუძღვის

საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს. 1992-1994 წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია ხელისუფლებას მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად უკოვებდა თავის რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებას, სამწუხაროდ, აღმასრულებელი მთავრობა სერიოზულად არ ეკიდებოდა მაგრამ 1994 წლიდან ფონდის რეკომენდაციების შესრულება სავალდებულო გახდა თუმცა, ხელისუფლება ყველა რეკომენდაციას ვერ ასრულებდა, რასაც როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები გააჩნდა

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ძალისხმევას უშედეგოდ არ ჩაუვლია. ყველაზე დიდი დადებითი შედეგი გახლდათ ფინანსური სისტემის შექმნა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის დამყარება. ამასთან, შეიქმნა საფინანსო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პროცესების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა; დაძლეული იქნა ჰიპერინფლაცია, რამაც მთავრობას მისცა ფულის რეფორმის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობა, დამთავრდა ფასების ლიბერალიზაცია; 1995 წლიდან ქვეყანას გააჩნია დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტი, განხორციელდა ორსაფეხურიანი საბანკო სისტემის ფორმირება, დამთავრდა ყოფილი სახელმწიფო ბანკების პრივატიზაცია; დასრულდა საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია;

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეცადინეობის შედეგად, 1996-1997 წლებში მშპ-ის ზრდის მაღალი ტემპები და ინფლაციის მინიმალური დონე ჩამოყალიბდა, რამაც ქვეყანაში ოპტიმალური საინვესტიციო კლიმატისათვის აუცილებელი წინაპირობები შექმნა.

თავი I. ფინანსური სისტემის ტრანსფორმაციის აუდიტპლანა,
მიზანი და ამოცანები

I.1. ფინანსური სისტემის სფეროები და რგოლები

თანამედროვე ეკონომიკური თეორია უპირობოდ აღიარებს, თუ რა სერიოზულ როლს ასრულებს სახელმწიფო საბაზრო ეკონომიკის ფორმირება-განვითარებაში სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ასეთი როლის შესრულება მოითხოვს შესაბამის მაკროეკონომიკურ საშუალებებს, რომელშიც მთავარია ფინანსური რესურსები

მანამ, სანამ გადავიდოდეთ ფინანსური სისტემის მეცნიერულ შესწავლაზე, აუცილებელია უფრო კონკრეტულად შევეხოთ სახელმწიფოს როლს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გამოცდილება იმაზე მიგვანიშნებს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი აკისრია. თანაც, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ცალკეულ ეტაპებზე სახელმწიფოს წინაშე სხვადასხვა ამოცანები დგება, დაწყებული მაკროეკონომიკური ფინანსური სტაბილიზაციის ეტაპიდან, დამთავრებული ახალი ინსტიტუციური გარემოს შექმნითა და სტრუქტურულ გარდაქმნამდე სახელმწიფომ გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, პირველ რიგში, უნდა აღმოფხვრას სტიქიურად ფორმირებადი ბაზრის ნეგატიური შედეგები და უზრუნველყოს ფინანსური სტაბილიზაცია

„საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ ეტაპზე მნიშვნელოვნად იზრდება სახელმწიფოს როლი. მან უნდა შეიმუშაოს საზოგადოების განვითარების კონკრეტული ეტაპის შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკა (ფულად-საკრედიტო, საბიუჯეტო, სავაჭრო, საინვესტიციო, სავალუტო, საბაჟო, აგრარული, სამრეწველო, სოციალური და სხვ), გარდაქმნის ტაქტიკა, შექმნას შესაბამისი ორგანიზაციულ-მართველობითი სტრუქტურები, რომლებიც საკანონმდებლო ბაზით, ორგანიზაციულ-ეკონომიკური, ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული

ტრაციული ბერკეტებით შესძლებენ არეგულირონ ეროვნული მეურნეობის განვითარება¹

საბაზრო ეკონომიკა როდი ნიშნავს სახელმწიფოს ჩარევისაგან თავისუფალ ეკონომიკას ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობათა ფორმირება შეუძლებელია თავისუფალი საბაზრო მექანიზმისა და სახელმწიფოს რეგულირების ოპტიმალური შეთანაწყობის გარეშე ამასთან, ძნელია უკუვაგლოთ მოსაზრება იმაზე, რომ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მინიმუმაცა პროგრესული მოვლენა არ იყოს. სწორედ ამას ადასტურებს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური აღორძინების მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ნახევარსაუკუნოვანი გზა.

ამასთან, ხაზგასასმელია, რომ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში საბაზრო მექანიზმის არასრულყოფილების გამო, როდესაც შელახულია სამეურნეო სუბიექტების როლი და კერძო ინიციატივა, ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა და უსაზღვრო განვითარების შესაძლებლობა მიეცა ჩრდილოეთ ეკონომიკას და კორუფციას ასეთ სიტუაციაში ძნელია ქვეყანამ შეიმუშაოს და განახორციელოს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მაკროეკონომიკის დონეზე უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკის რეგულირებაში საოჯახო მეურნეობებისა და ფირმების (კორპორაციების) მაქსიმალურ ადაპტირებას სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობასთან, შექმნას მაკროგარემოს სტაბილური პარამეტრების ფორმირებისათვის ოპტიმალური პირობები, რომლებიც განმტკიცებული იქნება სამეურნეო სუბიექტების სამეურნეო და ფინანსური გეგმებით

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს როლის გაძლიერების აუცილებლობა იმითაც იყო განპირობებული, რომ სოციალისტური წარმოების წესის ნაკლოვანებები და ნეგატიური შედეგები ძალიან ფხიმოკიდებულია პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. შევებით ზოგიერთ მათგანს.

რეალობად იქცა ის ფაქტი, რომ საბაზრო ეკონომიკა სულ უფრო ღრმად იჭრება ქვეყნის ეკონომიკისა და პოლიტიკის იმ სფეროებში, რომლებიც ტრადიციულად სახელმწიფოს ფუნქციონირების პრეროგატივას წარმოადგენდა.

¹ *ქითანავა ნ.*, საქართველოს ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირების თეორიისა და ორგანიზაციის პრობლემები, ესსეი შრომების კრებული, I ტომი, თბ., 1996, გვ 28

ადმინისტრაციულ-მმართველური ეკონომიკის ბერკეტები წარსულს ჩაბარდა. საბაზრო ეკონომიკა შეუქცევადია, მით უმეტეს, როდესაც წინა პლანზე გამოდის საბაზრო ურთიერთობები და მისთვის დამახასიათებელი გერიგორიული ერთეულებისა და ავტონომიური ფორმირებების, მათი მაკროალური, შრომითი და ფულადი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შემფასებელი კრიტერიუმები.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსათვის ყველა პირობა არსებობდა საბჭოთა კავშირის დასაშლელად.

„ითქმის მარაგში გადასული საბჭოური პოლიტიკური წესრიგი, უკიდურესობამდე დაძაბული ურთიერთობები, როგორც უმაღლეს პარტიულ ემპლონში, ასევე ქვეყნის სამეურნეო მმართველობის სისტემაში, ნორმად ქცეული კორუფცია, გაუმართლებელი პროექტიონიზმი და არაპროფესიონალიზმი და, საერთოდ, ყველა იმ საფუძვლის სრული მოშლა, რასაც სახელმწიფო ყვრდნობა¹

საბჭოთა კავშირის დაშლა, რუსეთის იმპერიული მრახვებისაკენ ლგოლვა, ეროვნებათაშორისი შუღლი, გერიგორიული მთლიანობის დარღვევა და სოციალისტური წარმოების წესისათვის დამახასიათებელი მანკიერებების აღმეგება, 300-ათასიანი ლგოლეილთა შენახვა – აი, საკითხთა წრე, რომლებიც ართულებდა ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას

მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბაზარი თვითრეგულირებადია და მას შეუძლია სახელმწიფოს ჩარევის გარეშე მართოს მთლიანად ქვეყნისა და რეგაონების ეკონომიკური და სოციალური განვითარება, საეჭვოა როდესაც ახლო წარსულში სისტემური კრიზისის პირობებში განვითარების საბაზრო მოდელის ადეკვატური ფინანსური სისტემის ფორმირება საქართველოში წარიმართა მონეტარიზმის თეორიული კონცეფციის ბაზაზე, ძალიან ცუდი შედეგები მივიღეთ. საყურადღებოა ისიც, რომ „საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს არა მარტო პროგრესის, შესაძლებლობებისა და თვითრეალიზაციის წყა-

¹ ჩიკვაძე ა., პოლიტიკური ჰადრაკი, თბ., „ლოგოს პრესი“, 2004, გვ 118

როს, იგი წარმოადგენს ადამიანთა დაუცველობის, შემოფოტებისა და განჯეა-წამების მიზეზებსაც“¹

საქართველოს მიერ არჩეული „შოკური თერაპიის“ გზა, რომელიც ითვალისწინებდა რადიკალური რეფორმების აბსოლუტური უმრავლესობის მოკლე პერიოდში განხორციელებას, ფაქტობრივად მარცხით დამთავრდა. თუმცა, ქვეყანას განვითარების სხვა გზა არ გააჩნდა

არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც „1992-1993 წლებში საქართველო იძულებული იყო აერჩია რადიკალური რეფორმების – „შოკური თერაპიის“ გზა იმ ფუძემდებლური მიზეზების გამო, რომ რუსეთმა 1992 წლის იანვრიდან მოახდინა ფასების ლიბერალიზაცია, საქართველო რჩებოდა სამანეთო ზონაში, არ ჰქონდა ეროვნული ვალუტა, არც საერთაშორისო ვალუტების რეზერვები, რათა სწრაფად შემოეღო ეროვნული ფულადი ერთეული სწორედ ამ ძირითადი მიზეზების გამო შემუშავდა რადიკალური და არა ევოლუციური რეფორმების მოდელი ეს უკანასკნელი იმ პირობებში გამორიცხული იყო. რუსეთში უკვე დაწყებული ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, საჭირო იყო სწრაფი რეაქცია. ევოლუციური რეფორმების მცდელობაც კი, ამ ფონზე, მაშინვე გამოიწვევდა საქართველოს ეკონომიკის კრახს, გაცილებით უფრო მეტ სოციალურ ზიანს“²

სწორედ, თვითღინებამე მიშვებული რეფორმების არადადამაკმაყოფილებელი განხორციელების ნათელი მაგალითია ის, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ყოველმხრივი, სისტემური კრიზისი არსად არ ყოფილა ისეთი ღრმა და ხანგრძლივი, როგორც საქართველოში იყო მშპ-ის მოცულობა 1990 წლის დონის 40 %-საც ვერ აღწევდა. მაშინ, როდესაც ბელორუსიაში იგი 90 %-ს მიუახლოვდა, თურქმენეთში – 80 %-ს, ესტონეთში 80 %-ს, ლატვიაში – 70 %-ს, ლიტვაში – 65 %-ს, რუსეთში – 65 %-ს, ყაზახეთში – 65 %-ს, აზერბაიჯანში – 55 %-ს, სომხეთში – 60 %-ს და ა შ³

¹ *კაკულია რ.*, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 2003, გვ 187

² *ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ.*, პოსტსოციალისტური გრანსფორმაცია საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001, გვ 135

³ *კაკულია რ.*, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 2003, გვ 209

2004 წლამდე ქვეყანა ვერ გამოვიდა ფინანსური კრიზისისაგან.

ამრიგად, ბაზრის პანაცეად წარმოდგენა, მოსაზრება მასზე, თითქოს იგი სახელმწიფოს ჩარევის მინიმზაციის პირობებში მიაღწევს ოპტიმალურ ეკონომიკურ მრდას, გადასინჯვას ექვემდებარება, განსაკუთრებით ეკონომიკის გლობალიზაციის ღომინირების პირობებში

„იდეალურია ის საბაზრო ეკონომიკა, სადაც საქონელი და მომსახურება ნებაყოფლობით, საბაზრო ფასებით ფულზე იცვლება. ასეთი სისტემა მაქსიმალურ მოგებას იღებს სამოგადოების არსებული რესურსებიდან, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. მაგრამ რეალურ სამყაროში არც ერთი ეკონომიკა სინამდვილეში არ შეესაბამება იდეალურ სამყაროს, რომელშიც ყოველგვარი სიძნელების გარეშე მოქმედებს უხილავი ხელი მართლაც, ყოველ საბაზრო სისტემას ნაკლოვანებები გააჩნია, რომლებიც ისეთ სოციალურ დაუადებებს იწვევენ, როგორცაა: გარემოს ძლიერი დაბინძურება, უმუშევრობა და ფენებად, ღარიბებად და მდიდრებად დაყოფა

ამ მიზნით, პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობა, მიუხედავად იმისა, რამდენად კონსერვატორულია იგი, ცდილობს ეკონომიკის პულსის ხელში დაჭერას“¹.

საესებით მართებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვლადიმერ პაპაეას მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნაწილობრივ გადასინჯვას მაინც საჭიროებს „საბაზრო სისტემაში სახელმწიფოს როლზე საყოველთაოდ მიღებული შეხედულებები“², იმის გამო, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი წარმოების მეხუთე ფაქტორია

„ბიზნესის წარმართვის პროცესში ძირითადი გადაწყვეტილებების მიღებით მეწარმე მოცემული კონკრეტული ფორმის საქმიანობის კურსს განსაზღვრავს. სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კი ეროვნული ეკონომიკის შემადგენელი ყველა ფორმის განვითარების სტრატეგიაზე ახდენს გავლენას“³.

¹ *სამუელსონი პ., ნორდჰუსი ე.*, ეკონომიკა, ტ 1, თბ., 1999, გვ 107

² *პაპაეა ვ.*, პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თბ., 2005, გვ 100

³ იქვე, გვ 100-101

ის, რომ სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს ფულად-საკრედიტო და საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის ფუნქცია, ეჭვს არ იწვევს. სწორედ ეს უწყობს ხელს ეკონომიკურ ზრდას, დასაქმებისა და ინფლაციის დონის შემცირებას.

უკანასკნელი წლების სისტემური გრანსფორმაცია, რომლის პოზიტიურ და ნეგატიურ შედეგებს ერთნაირად განიცდის ქვეყანა, დაზღვეული არ არის ისეთი წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავი მოვლენებისაგან, როგორცაა კატაკლიზმები ეკონომიკისა და სოციალური ურთიერთობების სფეროებში, მოსახლეობის ცხოვრების დონის თანდათანობითი გაუარესება, წარმოების ტემპების დაცემა და დეფიციტი, დისბალანსი მოთხოვნასა და მიწოდებას შორის და სხვ.

ასეთ პირობებში მწვავედ დგას მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და გამოყენების პრობლემა, რომელთა დაძლევის გარეშე საეჭვოა მივიღოთ სასურველი შედეგები ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნებიდან.

ეროვნული ეკონომიკის დადამბლავეების პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების ეპოქაში, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, როდესაც ნოციერი ნიადაგი შეიქმნა მეურნეობრივი იერარქიული მართვის სისტემის დეგრადაციის და ტრადიციული რეპრესიული მექანიზმის შესუსტების, წინა ეკონომიკური სისტემისათვის დამახასიათებელი შრომითი აქტიუობის სტიმულირების აღმოფხვრის, იურიდიული პირების განკარგულებაში დაკოვებული მოგების წილის ზრდისა და, შესაბამისად, ბიუჯეტის შემოსავლების შემცირების, მსოფლიო ბაზარზე ნედლეულისა და ენერგომატარებლების ფასების დაცემის, არასწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და ეროვნული შემოსავლის დიდი ნაწილის სამხედრო მიზნებისათვის გამოყენების უზრუნველსაყოფად ამას ისიც დაემატა, რომ 90-იანი წლებიდან ფინანსური დისპროპორციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მოთხოვნის დაცემა გახდა.

აქ ფსქსირებული პრობლემების დაძლევა შესაძლებელი გახდება მხოლოდ ფინანსური სტაბილიზაციით ეს კი მოითხოვს ეფექტიანი სახელმწიფო ფინანსური სისტემის შექმნისა და ფუნქციონირების უწყვეტობას

იმასთან დაკავშირებით, რომ ფინანსური სისტემა წარმოადგენს ფინანსურ ურთიერთობათა სფეროების ერთობლიობას, „რომლის პროცესში წარმოებს ფულად საშუალებათა ფონდების შექმნა და გამოყენება“, იგი ასრულებს ექვს საბაზო ფუნქციას¹

1. დროში ფინანსური რესურსების ეკონომიკის ერთი დარგიდან მეორეში, ერთი რეგიონიდან მეორეში გადაადგილების წესებით უზრუნველყოფის;

2 რისკის მართვის წესებით უზრუნველყოფის;

3 ვაჭრობის განვითარებისათვის კლირინგისა და ანგარიშსწორების განხორციელების წესებით უზრუნველყოფის;

4 სხვადასხვა საწარმოებში შექმნილი ფინანსური რესურსების ნაწილის გაერთიანებისა და განაწილების მექანიზმით უზრუნველყოფის;

5. ფასების შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფის და

6. სტიმულირების პრობლემების გადაწყვეტის წესებით უზრუნველყოფის

საქართველოს ფინანსური სისტემის შექმნა და მისი ეფექტიანი ფუნქციონირება მოითხოვდა მთელი ფინანსური ურთიერთობების გარდაქმნარეფორმირებას საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილებათა შესაბამისად ამასთან, ფინანსური სისტემის რეფორმა საერთო სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური რეფორმების ორგანული ნაწილი უნდა გამხდარიყო, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა მათი განხორციელების ოპტიმალურ სტრატეგიაზე პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების ამოცანები დაიყვანება შემდეგ სამ ასპექტზე ა) ეკონომიკაში სისტემური ცვლილებების განხორციელება ინსტიტუციური და სტრუქტურული გარდაქმნების ბაზაზე; ბ) ეკონომიკის ლიბერალიზაცია, ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის ოპტიმალურ დონეზე დაყვანა და გ) ფინანსური სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფი გარდაქმნები

ქვეყანაში ფინანსური სტაბილიზაციის პროცესის დაჩქარება გაართულა რეფორმების კონცეფციის შექმნისა და მათი განხორციელებისათვის თეორი-

¹ კაკულია რ., ფინანსების თეორია, გვ 48-49

ული ბაზის არარსებობამ მარქსისტულ ეკონომიკურ მეცნიერებაში ფინანსური მეცნიერება განიხილებოდა, მხოლოდ ნატურალურ-ნივთობრივი პროპორციების ფორმირების ინსტრუმენტად. სოციალისტური ეკონომიკური მეცნიერებისათვის უცნობი იყო ფულად-საკრედიტო და საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის არსი და როლი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. ფინანსური ურთიერთობები მოქცეული იყო პოლიტიკური წინხის ქვეშ და სამოგალობელი წარმოების ეფექტიანობა მოწყვეტილი იყო მოგების მაქსიმიზაციის მოთხოვნილებებისაგან. ფინანსური სტაბილიზაცია მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა და კავშირში არ იყო ეროვნული ეკონომიკის მდგრად განვითარებასთან.

საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში დამოუკიდებელი საქართველოს 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი იყო სახელმწიფოს პირველი ფინანსური გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყანაში შექმნილი მთელი საბიუჯეტო სახსრების საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში მობილიზაციას ქვეყნის პირველი ხელისუფლების სურვილი – შეექმნა ეროვნული ეკონომიკის სტაბილიზაციისა და განვითარებისათვის მკაცრ ფინანსური ბაზა, ვერ განხორციელდა. მას ხელი შეუშალა ეკონომიკურმა კრიზისმა.

ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემა გააღრმავა ისეთმა ნეგატიურმა მოვლენებმა, როგორცაა ფასების ზრდა, მოგების მასის შემცირება, შრომის ანაზღაურების დაბალი დონე და უმუშევრობის ზრდა ამასთან, „წინასწარ მოუმზადებლად და ნაჩქარევად განხორციელებულმა ეკონომიკურმა ლიბერალიზაციამ, განსაკუთრებით საყოველთაო დეფიციტის პირობებში, ფასების ლიბერალიზაციამ, თანაც ქვეყანაში პრივატიზაციის პროცესის განხორციელებამ სისტემური კრიზისის პრობლემების გადაჭრისაგან მოწყვეტით, კიდევ უფრო გააძლიერა წარმოების დაცემის ტემპი და განუსაზღვრელი ვადით გადასწიეს სტრუქტურული რეფორმების გატარება“¹

ღრმა ეკონომიკური კრიზისის პირობებში განვითარების საბაზრო მო-

¹ *კაკულია რ.*, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 2003, გვ. 186

დელის ადეკვატური ფინანსური სისტემის ფორმირება ქვეყანაში წარიმართა მონეტარიზმის თეორიული კონცეფციის ბაზაზე, რომელშიც გათვალისწინებული არ იყო საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის სპეციფიკა როგორც აღნიშნუთ, ხელისუფლებამ ეკონომიკური რეფორმირებისათვის აირჩია „შოკური თერაპიის“ გზა, რომელიც ითვალისწინებდა რადიკალური რეფორმების აბსოლუტური უმრავლესობის მოკლე პერიოდში განხორციელებას რეფორმების განხორციელების სტაბილიზაციის პროგრამა აგებული იყო მკაცრ ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაზე, მაგრამ ამ უკანასკნელის განხორციელებაში სერიოზული ნაკლოვანებების დაშვების გამო ჩაიშალა ქვეყანაში საბიუჯეტო საქმიანობა.¹

საყურადღებოა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები ფულად-საკრედიტო, საბიუჯეტო-საგადასახადო და საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში აგებული იყო რადიკალური ლიბერალიზმის იდეოლოგიისა და „შოკური თერაპიის“ სტრატეგიაზე და წარმოდგენა და სსფის მიერ მესამე მსოფლიოს ქვეყნებისათვის შემუშავებული ე.წ. „ვაშინგტონის კონსენსის“ მოდელის სახესხვაობას.

„ვაშინგტონის კონსენსუსის“ თავდაპირველი პრინციპები შემუშავდა სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე ელემენტარული კონტროლის დაწესების მიზნით, რათა მათზე გაცემული სესხების განიავებას არ ჰქონოდა ადგილი ამასთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მსესხებელ ქვეყნებს აძლევდა, ერთი მხრივ, ფულის მასის ზრდის შეზღუდვის, ხოლო მეორე მხრივ, ფასებისა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის მკაცრ დავალებებს, ამით ამ ქვეყნების მთავრობები ფაქტობრივად მარიონეტები გახდნენ სწორედ ასეთი კურსი ეროვნული ეკონომიკის ყოველმხრივი განვითარებისათვის სტიმულს არ იძლეოდა უფრო მეტიც, ასეთ ქვეყნებს არსებითად მართავს საერთაშორისო ფინანსური და სავაჭრო კაპიტალი, თანაც ქვეყნის შიდა ბაზარი უცხოურ საქონელს აქვს დაპყრობილი

¹ აღნიშნულ საკითხს უფრო ველად შევხებით დისერტაციის II თავში (ვბ)

ეროვნული ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობა კიდევ უფრო მწვაედება ეკონომიკური ქაოსის პირობებში. თანაც ქაოსისათვის დამახასიათებელია პროგნოზირებისა და ამა თუ იმ პრიორიტეტული მოვლენების მართვის შეუძლებლობა არადა, ეკონომიკური მოვლენების სხვადასხვა ასპექტების აქტიური შეცნობა ქმნის არა მარტო მეთოდოლოგიურ და თეორიულ, არამედ რთული ეკონომიკური პროცესების მართვის სრულყოფისათვის ინფორმაციული წანამძღვრების შესაძლებლობას სწორედ, ეკონომიკური ზრდის შეფასება წარმოადგენს აუცილებელი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად ამოსავალ საინფორმაციო ბაზას. ბუნებრივია, რომ მანამ, სანამ შეაფასებთ მოვლენას, იგი შეცნობილი უნდა იქნეს.

სამწუხაროდ, ეროვნული ეკონომიკის გაძლოის მანკიერი პრაქტიკის დეფიციტს საქართველოც განიცდის.

შევეხოთ ერთ საკითხსაც მარქსიზმ-ლენინიზმის ეკონომიკურ მოძღვრებაზე დაყრდნობით კომუნისტური პარტიის ლიდერები სხვადასხვა სახელებით ამკობდნენ სოციალიზმს იგი ხან იყო „რეალური სოციალიზმი“, ხან ახლო მომავალში იგი გადაიქცეოდა „კომუნისტურ საზოგადოებად“, ბელნიერებისა და კეთილდღეობის საზოგადოებად.

ისმის კითხვა რა იყო ეს? ხალხის მოტყუება, ცინიკური სიცრუე, თუ ილუზია? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ადვილი არ არის უფრო მეტიც, უნდა გაეარკვიოთ რას წარმოადგენდა და როგორ ვითარდებოდა ეს საზოგადოება, ეი როგორ ვითარდებოდა ეკონომიკა, რომელშიც ადამიანებს გააჩნდათ თავიანთი ინტერესები, მიზნები, იდეები

საუჭვო არ უნდა იყოს ის, რომ ეკონომიკა არ არის მარტო ადამიანთა ნაკრების პროდუქტი. იგი არის ურთიერთობათა ობიექტური სისტემა, და იმისათვის, რომ გავიგოთ თუ როგორ იყო წინათ ადამიანთა საზოგადოება, მისი ეკონომიკური სისტემა, როგორი უნდა გახდეს მომავალში და როგორ მოხდება ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ რეალურ, ობიექტურ, ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებელ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებაზე, როგორც წარსულში, ისე მომავალში დღევანდელი პლატფორმის გავლით. სწორედ ამ ასპექ-

გში დიდია სახელმწიფოს, მისი ხელისუფლების ძალისხმევის მნიშვნელობა. თუ როგორ, რა პრიზმაში გავატარებთ წინა ეკონომიკურ სისტემას, როგორი იქნა მისი ობიექტური შესწავლითა და ანალიზით მიღებული შედეგები მომავლის სწორად განჭვრეტის მიზნით, საბოლოოდ გაკეთებულ დასკვნებში მაქსიმალურად უნდა გავითვალისწინოთ ამ სისტემის პოზიტიური მოვლენები და საბაზრო ეკონომიკური სისტემის მშენებლობის პროცესში გამოვიყენოთ ეფექტიანად არაა, ამის საშუალებას იძლევა სწორედ ეს სისტემა

დღეს, როდესაც განვლილია არსებული სისტემის ნგრევის პირველი ენთუზიაზმი, ცივი გონებით უნდა შევაფასოთ ჩვენი წარსული ცხოვრება. სწორედ წინა ეკონომიკურმა სისტემამ მისცა ქვეყანას იმის საშუალება, რომ ეკონომიკური ბრდის მაღალი ტემპების პირობებში გვეცხოვრა მართალია, სოციალისტური სისტემა ტერორსა და დესპოტიზმზე იყო აგებული, შიშის სინდრომი მძლავრობდა, რასაც თან სდევდა ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემაში მიწერების მანკიერი ინსტიტუტი, რომელიც მნიშვნელოვანწილად ჩქმალავდა რეალურ სინამდვილეს და ილუზიებით კვებავდა საზოგადოებას.

იმისათვის, რომ ახალ ეკონომიკურ სისტემაში არ განმეორდეს ძველი სისტემის „ცოდებები“, აუცილებელია მოვიშველიოთ ისეთი მეთოდი, როგორცაა ისტორიული და ლოგიკური ერთიანობის მეთოდი. კვლევის პროცესში ამ მეთოდით შეიძლება გავარკვიოთ, რატომ დაინგრა წინა სისტემა? რა გახდა ამის მიზეზი და ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ მომავალში არ განმეორდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში ანალოგიური შეცდომები?

ამ პრობლემის გადაწყვეტაში სახელმწიფოს მნიშვნელობა განუსაზღვრელია, რამედაც ნათელ წარმოდგენას იძლევა პოსტსოციალისტური მშენებლობის პროცესში საქართველოს ძველი და ახალი ხელისუფლების საქმიანობა |

საბაზრო ეკონომიკური სისტემის მშენებლობისადმი სწორი მიდგომა ნათლად გამოიკვეთა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში.

მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლებას „ძალუძს მეტ-ნაკლებად მოასწოროს საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის იმანენტურად დამახასია-

ათებული ციკლური ხასიათი და ასეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება მიზანშეწონილია ის წინააღმდეგობას უწევს და მეტ-ნაკლებად მოასწორებს ან საერთოდ გააანეიტრალებს ეკონომიკაში მნიშვნელოვან ცვალებადობას, საბაზრო კონიუნქტურის საშიშ მერყეობას. გასაგებია, რომ ასეთი პოლიტიკის წარმატებულობის აუცილებელი პირობაა მისი განმზორციელებლის (ხელისუფლების) მაღალი კომპეტენტურობა, მას უნდა გააჩნდეს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების სწორი შეფასების უნარი, ის უნდა ფლობდეს ამისათვის საჭირო სრულ ინფორმაციას, მან სწორად, მოვლენების ადეკვატურად უნდა გადაწყვიტოს ეკონომიკის ფუნქციონირებაში ჩარევის დრო, ამ ჩარევის მოცულობა (ოპტიმალურობა) თუ არადა ჩარევას, მდგომარეობის გამოსწორების ნაცულად, შეიძლება მისი გაუარესება მოჰყვეს¹

საქვეყნოდ ცნობილია დიდი ეკონომისტის ჯ.მ. კეინსის მოსაზრებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია მის კაპიტალურ ნაშრომში – „დასაქმების, პროცენტისა და ფულის საერთო თეორია“ (1936 წ.). იგი წერდა, რომ „მე სახელმწიფოს ენდობი, მე ვგოვებ *laiser faire*-ს თვალსაზრისს – მართალია, ერთუმიამით კი არა და არა იმიტომ, რომ ამ ძველი კეთილი დოქტრინის მიმართ უპატივემლოდ ვარ განწყობილი, არამედ იმიტომ, რომ მოგვწონს თუ არა ეს ჩვენ, მისი წარმატებების დრო უკვე უკან დარჩა“².

საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირებამ, რომელიც ატებულია „უხილავი ხელის“ სასწაულმოქმედ კონცეფციაზე, ცხოვრებას ვერ აუწყო ნაბიჯები. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ „სახელმწიფომ ორიგინალური, თანაც მეცნიერულად დასაბუთებული როლი უნდა შეასრულოს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ქვეყანაში ქაოსი და ანარქია.. სახელმწიფო ყოველთვის იყო, არის და იქნება ეკონომიკური სისტემის განუყოფელი ნაწილი, ურომლისოდაც არც ერთ ეკონომიკურ სისტემას რაიმე ხელშესახები წარმატებები არ ექნება“³

¹ შალამბერძე ზ., საქართველოს ფინანსური სისტემა, თბ., 2002, გვ 23-24

² *Кейнс Дж. М.*, Избранные произведения, М., "Экономика", 1993, стр 8

³ *კაკულია რ.*, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 2003, გვ 212-213

ფინანსური ურთიერთობების სრულყოფა შეუძლებელია სახელმწიფოს გარეშე სახელმწიფოს ფუნქციები ვერ შემოიფარგლება „ღამის ღარაჯის“ ფუნქციით. საყურადღებოა, რომ საბაზრო ეკონომიკის პროცესში სახელმწიფოს საგნობრივი ჩარევა დაკავშირებულია ეროვნული შემოსავლის განაწილება-გაღანაწილების პრობლემებთან. „საქმე ისაა, რომ საბაზრო ეკონომიკა ფუნქციონირებს როგორც მიუკერძოებელი, გაუპიროვნებელი ობიექტური (ბრმა) მექანიზმი. მისთვის არ არსებობს საზოგადოების სოციალური პრობლემები, მისი წევრების (ჯგუფების, ფენების) მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ღონის უსამართლობა თუ სამართლიანობა.. ეკონომიკურ რესურსებს ის იქ აგზავნის და იქ იყენებს, სადაც ფულით უზრუნველყოფილი მოთხოვნილება (ე.ი. მოთხოვნა) არსებობს; შესაბამისად, ამ რესურსების გამოყენების შედეგად მიღებულ დოვლათ-სიკეთეს (ეროვნულ შემოსავალს) ის მათი მწარმოებელურობის კვალობაზე ანაწილებს“¹. საბაზრო ეკონომიკის მესვეურები და აპოლოგეტები, სწორედ ასეთ განაწილებას უწოდებენ სამართლიანს შეიძლება დაეთანხმით ასეთი მოსაზრების აგორებს წარმოების ფაქტორთა მფლობელები წარმოებული პროდუქტის იმ წილს ეუფლებიან, რომლის წარმოებაც უზრუნველყოფილი იქნა მის მფლობელობაში არსებული ფაქტორებით. თუმცა, განაწილების ასეთი სამართლიანობის აბსოლუტიზაცია არ შეიძლება ჩაითვალოს სრულ ჭეშმარიტებად რა ქნას საზოგადოების დაერდომილმა და უშუშეუარმა წევრებმა, რომლებსაც არ გააჩნიათ წარმოების ფაქტორები ან ვერ იყენებენ მას?

საყურადღებოა, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული პროფ რევაზ ბასარიას იგი მიუთითებს, რომ აბსოლუტურად საბაზრო მექანიზმზე დაყრდნობით ეროვნული შემოსავლის განაწილებისას ბოლომდე ვერ მიიღწევა ის ნამდვილი სამართლიანობა, რომელიც დადებითად განასხვავებს საბაზრო ეკონომიკას დაძალებით წარმართვადი სოციალურ-ეკონომიკური სისტემისაგან. ეს განაწილება ხშირად არ არის წარმოების ფაქტორების მწარმოებლურობის ადეკვატური, როგორც წე-

¹ შალამბერიძე ზ., საქართველოს ფინანსური სისტემა, თბ., 2002, გვ 15-16

სი, ერთი და იგივე ფაქტორის – შრომის საზიანოდ ხდება. მთლიანობაში საბაზრო ეკონომიკის პირობებში სუსტია საბუთო ძალის პოზიცია და იგი იძულებულია „დაუთმოს კონტრაქტებს ღირებულების ის წილი, რომელიც მას ერგებოდა ბაზარზე წარმოების ფაქტორების პირობების რეალურად ადეკვატურობის პირობებში“¹

სწორედ, თვითრეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფო ხელისუფლება საგნობრივად უნდა ჩაერიოს. სხვა თუ არაფერი ირდევია სამართლიანობის პრინციპი და გამარჯვებას შეიმოხს საბაზრო ურთიერთობებისათვის ობიექტურად დამახასიათებელი ნეგატიური ასპექტი.

დღეს სადავოს არ წარმოადგენს მოსაზრება იმაზე, რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება სრულყოფს საბაზრო ეკონომიკას „მაგრამ მთავარ სადისკუსიო თემად კვლავ რჩება საკითხი ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევის დასაშვები ფარგლების შესახებ ამ მხრივ ოპტიმალურობის პრინციპის დაყვის გარეშე ეკონომიკის ნორმალური განვითარება გამოირიცხებია სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის შესუსტება საბაზრო ეკონომიკის ნეგატიურ მხარეებს გააძლიერებს, გადამეტებული ჩარევა კი მკვეთრად დასწევს საბაზრო სტიმულირების ქმედითუნარიანობას“².

იმის გამო, რომ ბაზარი სახელმწიფოს ჩარევის გარეშე იწვევს საზოგადოების გარკვეული ნაწილის მდგომარეობის გაუარესებას, „ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ოპტიმალური მასშტაბების დადგენა შეუძლებელია თუ კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის მიხედვით მაკრო და მიკროეკონომიკური ასპექტები, თავისებურებანი და ტენდენციები სწორედ არ იქნა შეფასებული მხედველობაში გვაქვს კონკრეტული ვითარების ადეკვატური მექანიზმების გამოყენება ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში“³

საბოლოო ჯამში, ბაზრის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევის შე-

¹ ბასარია რ., ბასარია ვ., საბაზრო ეკონომიკა და ეროვნული შემოსავლის განაწილების სამართლიანობა კიდევ ერთხელ შრომის ექსპლუატაციის თაობაზე, ფსკი-ის შრომათა კრებული, ტ V, გვ 74

² ჩიქვაძე ლ., ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, თბ., 1997, გვ 97

³ კაქულია რ., საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 2003, გვ 215-216

დეგად პასუხი უნდა გაეცეს კითხვას – ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა იწვევს თუ არა ქვეყნის საერთო კეთილდღეობას? 1. სახელმწიფოს ხელდასმით უნდა დაწესდეს ბაზრის ფუნქციონირების გარკვეული საზღვრები, რომელიც დაფუძნებული იქნება საკუთრებისა და სამართლებრივი ფასწარმოქმნის სისტემათა ეფექტიანობაზე და 2 სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ბაზრის არასრულყოფილების აღმოფხვრას, რესურსების განაწილებას, ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადანაწილების, მაკროეკონომიკური დოვლათის წარმოებისა და განაწილების სფეროებში.

ეკონომიკის გლობალიზაციის ეპოქამ ახალი სერიოზული პრობლემები შეუქმნა პოსტსოციალისტურ ქვეყნებს, რამაც მოითხოვა სახელმწიფოს ეკონომიკური როლის კიდევ უფრო გაძლიერების აუცილებლობა

თანამედროვე ეკონომიკურმა პროცესებმა ძირეულად შეცვალა ფულადი მექანიზმი. „იგი ეკონომიკის საშუალებიდან (მისი მომსახურებიდან) გარდაიქმნა მის დომინირებულ ფაქტორად (მასზე მბრძანებლად). ფასეულობათა შემქმნელი რეალური ეკონომიკიდან აღმოცენდა ეკონომიკა, რომელიც სულ უფრო ჩაგრავს პირველს თავისი შემოსავლებით და ისეთ დონეზე გაძლიერდა, რომ მას სამოგადოებაში მაკროეკონომიკური წარმოების სფეროს ეკონომიკაზე უფრო დიდი როლი დაეკისრა, ე.ი. წარმოიქმნა სიმბოლური ეკონომიკა“¹.

პირველ რიგში განვიხილოთ ფულადი სისტემა, რომელიც მთელი ეკონომიკური ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი სისტემაა. ისმის კითხვა გარდაქმნის პროცესში რა განსაზღვრავს ეკონომიკურ და სამოგადოებრივ ურთიერთობებს, ფულადი სისტემა, რომელიც გამოდის როგორც მთელი ეკონომიკური ცხოვრების ალფა და ომეგა, თუ წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესი? ამ უკანასკნელის მიმართ ფული, მით უმეტეს გადასახადები, კრედიტი და სხვა კატეგორიები გამოდიან კვლავწარმოების პროცესის კატალიზატორის როლში

¹ *კაკულია რ.*, ვირტუალური ეკონომიკა და თანამედროვე ეკონომიკური თეორიის პრობლემები, ესპსკი-ის შრომების კრებული, ტ VI, 2002, გვ 33

პირველ ვარიანტს, როგორც წესი, ქადაგებენ მონეტარიზმის თეორეტიკოსები, რომელთათვის ეკონომიკა უპირატესად ბაზარია, ხოლო ბაზარი – თვითრეგულირებადი სისტემაა, რომელზედაც ზემოქმედება შესაძლებელია უპირატესად ფულის მასის მოცულობის რეგულირებით ან საკრედიტო და საგადასახადო სისტემების ეკონომიკაში ჩარევით ეს ვარიანტი გამოიყენება გარდამავალი ეკონომიკის ბევრ ქვეყანაში.

თეორეტიკოსების ერთი ნაწილი კი თანამედროვე გრანსფორმაციულ ეკონომიკაში ცდილობს დანერგოს მეორე ვარიანტი, რომელიც ეკონომიკის განიხილავს როგორც კვლავწარმოებითი პროცესების რთულ სისტემას, რომელშიც ბაზარი გამოდის როგორც საზოგადოების ფორმა, თანაც არა ერთადერთი ფორმა. ეკონომიკის ფულადი სისტემა წარმოკვიდგება როგორც ამ უკანასკნელის ერთ-ერთი ქვესისტემა. ამ შემთხვევაში ეკონომიკა განიხილება ორ დონეზე: როგორც მაკროიალური დოვლათის წარმოების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების პროცესი მთელს საზოგადოებაში და საზოგადოებრივი ურთიერთობის დონეზე (კერძოდ, საბაზრო, ფულად დონეებზე), რომელიც შეიძლება ვარეგულიროთ ისეთი მეთოდების ფართო სპექტრით, როგორცაა: ფულადი, საკრედიტო და საგადასახადო სისტემები

იმისათვის, რომ გავაანალიზოთ როგორ ხორციელდება ფულის გრანსფორმაციის პროცესი, შევხვით ფულის არსს. მარქსიზმი ფულს განსაზღვრავს, როგორც საქონელს, რომელიც ასრულებს საყოველთაო ეკვივალენტის ფუნქციას.

„ფული გაცვლის უნივერსალური საშუალებაა, განსაკუთრებული საქონელია, რომელსაც გააჩნია საყოველთაო ეკვივალენტის თვისება, რომლის მეშვეობითაც გამოიხატება ყველა სხვა დანარჩენი საქონლის ღირებულება“¹.

ფულის საქონლური წარმოშობა თეორეტიკოსებს შორის ეჭვს არ იწვევს რთგორც წესი, ფული მიმოქცევის სფეროს მუდმივი თანამგზავრია, უმაგისოდ მისი არსებობა საუჭვო გახდება. ფული, გამოიყოფა რა საქონლური სამყაროდან, იწყებს სპეციფიკური ფუნქციის განხორციელებას – ბაზარზე სა-

¹ *კაკულია რ.*, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 2003, გვ 55

ქონელგაცვლის პროცესში გამოდის შუამავლად, რითაც ფული მიმოქცევის პროცესის დამაჩქარებელია

ფული განსაკუთრებული საქონელია, რომელსაც საკუთარი ღირებულებით შეუძლია გამოხატოს ყველა სხვა დანარჩენი საქონლის ღირებულება, ე. ი. გამოვიდეს მათ მიმართ საყოველთაო ეკვივალენტის როლში

სწორედ ამის გამო ფული გამოდის როგორც ღირებულების განსაკუთრებული ფორმა, ისეთი ფორმა, რომელიც ასრულებს ღირებულების საზომის, ეკონომიკური პროცესების უნივერსალური საზომის ფუნქციას. ამასთან, ფული გამოდის, როგორც მიმოქცევის საშუალება განვითარებულ საქონლურ სამყაროში ყოველგვარი მოძრაობა, ყოველგვარი გრანსაქცია ხორციელდება ფულის მეშვეობით, როგორც ამ ორგანიზმის ცხოვრების უნივერსალური საშუალება და ფული წარმოადგენს საზოგადოებრივი სიმდიდრის უნივერსალურ ფორმას ფული სიმდიდრის არა ერთადერთი, მაგრამ ფრიალ გავრცელებული ფორმაა, რომელიც შეიძლება გაიცვალოს საქონელზე და მომსახურებაზე¹ გრადიციული ეკონომიკის თვალსაზრისით, ფული უპირველეს ყოვლისა გამოდის, როგორც მაღალლიკვიდური რესურსი, თანაც ლიკვიდობაში იგულისხმება უნარი, რომლითაც გრანსაქციები ხორციელდება ნაკლები და-ნახარჯებით.

თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში ფულის სინონიმად წარმოგვიდგება სიმდიდრე, თუმცა, იგი ჩვეულებრივად საქონლისა და მომსახურების ასანამბლურებლად ან ვალის დასაფარავად გამოიყენება ამით იგი განსხვავდება შემოსავლისა და სიმდიდრისაგან. საბოლოო ჯამში, „ფული ხდება სიმდიდრის სიმბოლო და მისი რეალური გამოხატულება“²

„ფულის უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური ფუნქცია გულისხმობს ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას. ამასთან, ფული ინფლაციური პროცესებისა და ციკლური მერყეობის შესწავლა-გაანალიზების, ეკონომიკაში წონასწორობის და სასაქონლო და საფონდო ბირჟებს შორის მუ-

¹ *Миллер Р., Ван-хуз Д.*, Современные деньги и банковское дело, перевод с англ М 2000, стр 645

² *აკუღია რ.*, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 2003, გვ 59

შაობის სინქრონულობის მიღწევის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა“¹.

ბირეულ გარდაქმნებს დაქვემდებარებული ეკონომიკისათვის, მე-20 საუკუნის მიწურულიდან მიმოიქცეოდა სხვადასხვა ფული ჯერ-ერთი, ფულის სახით გამოდიოდა ნაღდი ფულის რესურსები, რომელიც არსებობდა მიმოქცევაში და გააჩნდა მოსახლეობას და იურიდიულ პირებს; მეორე, არსებობდა უნაღდო ფული, რომელიც იშვიათად გარდაიქმნებოდა ნაღდ ფულად, მაგრამ გამოიყენებოდა რესურსების ყიდვა-გაყიდვისას, ინარჩუნებდა წინა სისტემის თვისებებს, როცა გაბატონებული იყო ფონდირების პრინციპები, ე.ი. რესურსების იძულებითი ღირებულებული განაწილება; მესამე, ყოფილ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ფუნქციონირებდა და ფუნქციონირებს თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა; მეოთხე, კვამი ფულის სახით გამოდიოდა მრავალრიცხოვანი ვალის ვალდებულებები და მეხუთე, ფართო გავრცელება ჰპოვა ბარტერულმა გაცვლამ, ხელფასების ნატურით გაცემამ და ნატურალურმა მეურნეობამ

ამრიგად, გრანსფორმაციულ ეკონომიკაში მიმოიქცეოდა სხვადასხვა სახის ფული, რომელთაგან ფაქტიურად არც ერთი არ წარმოადგენდა ნამდვილ ფულს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ფულის, როგორც უნივერსალური ერთიანი საქონლის, საყოველთაო ეკვივალენტის სხვადასხვა სუროგატად დამლა განაპირობა ავტორიტარულ-ბიუროკრატიული სისტემის გამომონაშთების მრავლად არსებობამ და გრანსფორმაციული ეკონომიკის კრიზისმა.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ფული არ წარმოადგენს სრულყოფილ საყოველთაო ეკვივალენტს თუ ეკონომიკის გერმინოლოგიით ვიმსჯელებთ, ფულს გრანსფორმაციულ ეკონომიკაში ბიუროკრატიული ბარიერების შენარჩუნების გამო, ახასიათებს შედარებით დაბალი ლიკვიდობა

ასეთ პირობებში აუცილებელია და მიზანშეწონილი განვიხილოთ ფულადი სისტემისა და ფულადი პოლიტიკის სპეციფიკა. როგორც წესი, ფულადი პოლიტიკის მიზანია ფულის შიდა და გარე მსყიდველობითუნარიანობის შე-

¹ *კაკულია რ.*, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 2003, გვ 59

ნარჩუნება, ფასებისა და სავალუტო კურსის რეგულირება ამასთან, ფულადი პოლიტიკა მთლიანობაში წარმოადგენს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას შესაბამისად, ფულადი სტაბილიზაცია ფაქტიურად გამოდის უფრო რთული ამოცანების გადაწყვეტის მთავარ საშუალებად, კერძოდ გარდამავალი საზოგადოების განვითარების სტრატეგიული პრობლემების გადაწყვეტის საშუალებად.

საქართველოს დღევანდელი ეკონომიკა მოითხოვს ეროვნული ვალუტის – ლარის მიმოქცევის დაჩქარებას, ამისთვის კი აუცილებელია ეროვნული ფული გარდაიქმნას რეალურ მაღალლიკვიდურ რესურსად, რეალურ საყოველთაო ეკვივალენტად. ამ ასპექტით უსწრაფესად უნდა იქნეს დაძლეული მთელი რიგი პრობლემები ჯერ-ერთი, უნდა წაიშალოს ზღვარი ნაღდ და უნაღდო ფულს შორის ამისათვის აუცილებელია დაძლეული იქნეს ის ბიუროკრატიული ბარიერები, რომლებიც ფულის უნაღდო მოძრაობას ეღობება და შეიქმნას ნაღდი და უნაღდო ფულის მოძრაობაზე კონკროლისათვის თანაბარი პირობები. დღეს კი ნაღდი ფული ფაქტობრივად უკონტროლოდ მოძრაობს,

მეორე, ფულის ლიკვიდობის ასამაღლებლად უნდა გადაწყდეს ისეთი კონკრეტული პრობლემა, როგორცაა არგადახდების გიგანტური მოცულობა,

მესამე, ფულადი რესურსების ლიკვიდობის განსამკვიცებლად აუცილებელია დაძლეული იქნეს ტრანსაქციური საზოგადოების შიდა ეკონომიკურ სიერცეში ფუნქციონირებად ფულსა და თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას შორის განსხვავება

მეოთხე, მიღწეული უნდა იქნეს ეკონომიკაში ფულადი სისტემისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა – ფულადი, საკრედიტო და ფისკალური სისტემების განვითარების ერთიანობა, რომელიც ასახვას ჰპოვებს შესაბამის ფულად-საკრედიტო და ფისკალურ პოლიტიკაში როგორ მივაღწიოთ ამას? როგორ გარდაექმნათ ფულადი, საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკა ტრანსფორმაციული ეკონომიკის რეგულირების ერთიან ქვესისტემად? რა არხებით განხორციელდება ეს ერთიანობა?

ჯერ-ერთი, საჭიროა ინსტიტუციური სისტემის ერთიანობის უზრუნველ-

ყოფა, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისა და გამოყენების, ემისიის, ფულადი რესურსების მოძრაობის რეგულირების განმახორციელებელი ორგანოების მართვის ერთიანობა;

მეორე, მიღწეული უნდა იქნეს იმ მექანიზმების ერთიანობა, რომლებიც მოწოდებული არიან ეკონომიკური აქტივობის რეგულირებისათვის მოახდინონ ფინანსური, საკრედიტო და ფისკალური ბერკეტების გამოყენება,

მესამე, ფინანსური, საკრედიტო და ფისკალური რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრები (მოცულობა, სტრუქტურა, ხარისხი, დინამიკა) ურთიერთშორის შეთანხმებულად უნდა ფუნქციონირებდეს.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეროვნული ფულის კონვერტირება შემზღვეულია. შემზღვეული კონვერტირება გამოწვეულია თვით ფულის გრანსფორმაციული ხასიათით და გლობალური სოციალურ-ეკონომიკური კრიზისით, რაც აძნელებს ნებისმიერი ქვეყნის ვალუტის კონვერსიას საბოლოო ჯამში, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების არასტაბილურობა უარყოფითად მოქმედებს ეროვნული ვალუტის მდგრადობაზე.

განვიხილოთ ეს პრობლემა საქართველოს ეროვნული ვალუტის მაგალითზე. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დღევანდელ ეროვნულ ეკონომიკაში მიღწეულია ლარის ნაწილობრივი კონვერტირება თუმცა, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი რეფორმატორების დიდ მიღწევად ეროვნული ვალუტის ნაწილობრივი კონვერსია მას ვერ გარდაქმნის რეალურ თავისუფლად კონვერტირებად ვალუტად, თუნდაც იმიტომ, რომ ეს კონვერსია ხორციელდება მხოლოდ ნაციონალური ბაზრის ჩარჩოებში. სწორედ ამიტომ ლარი ჯერ კიდევ ძალიან შორსაა რეალური მსოფლიო ფულის მიჯნამდე, თანაც ეროვნული ვალუტის შემზღვეული კონვერსია მსოფლიო ბაზარზე ლარის ლიკვიდობის დაბალი დონის შედეგია

ქვეყნის ფინანსური სისტემის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება მრავალმხრივ არის დამოკიდებული საკრედიტო სისტემის აწყობილ მუშაობაზე.

საკრედიტო სისტემა ფულადი სისტემის მსგავსად ნათლად ასახავს ჩვენი ეკონომიკის ყველა ძირითად წინააღმდეგობას ერთი მხრივ, მიმდინარე-

ობს საკრედიტო სისტემის გარდაქმნა თვისობრივად ახალ ურთიერთობებში (მაგალითად, ეკონომიკის სახელმწიფო დაფინანსების არარსებობა და კრედიტის როლის ამბლუება), როგორც საბაზრო ურთიერთობების ფორმა, კაპიტალის მოძრაობის ფორმა. მეორე მხრივ, მიმდინარეობს კრედიტის პრიმიტიული ფორმიდან თანამედროვე საკრედიტო ბაზრის ფორმაზე გადასვლა, სადაც გაბატონებულია ფიქციური კაპიტალი და ფინანსური ინსტიტუტების რთული სისტემა

საკრედიტო სისტემის წინააღმდეგობათა გამოვლენის მეორე ფორმაა საწარმოების დიდი ოდენობით ურთიერთდავალიანების არსებობა ეს დავალიანება იმრდება ისე, რომ მასში საკრედიტო სისტემის მონაწილეობა ძალიან მოკრძალებულია

იმასთან დაკავშირებით, რომ საბაზრო ეკონომიკისათვის უცხოა სახელმწიფო ბიუჯეტიდან კაპიტალურ ღონისძიებათა დაფინანსება, საკრედიტო ურთიერთობების გრანსფორმაციით მიღწეული უნდა იქნეს საინვესტიციო წყაროდ ბანკის კრედიტის გამოყენება, რომელიც თავისთავად მრდის მსესხებლის პასუხისმგებლობას საბოლოო შედეგების მიღწევის საქმეში. წინააღმდეგ შემთხვევაში სამეურნეო სუბიექტს გააკორება არ ასცდება.

ცენტრალიზებულ-ბიუროკრატიული ეკონომიკის პირობებში საინვესტიციო წყაროებად გამოყენებული იყო საბიუჯეტო დაფინანსება, საკუთარი წყაროები, უპირატესად საამორტიციო ფონდის ანარიცხები და ბანკის სესხები. საწარმოთა აბსოლუტური უმრავლესობა ცდილობდა კაპიტალურ დაბანდებათა წყაროებს შორის საბიუჯეტო ასიგნებების გამოყოფისათვის მიეღწია სწორედ ასეთმა გაუკუღმართებულმა საინვესტიციო ურთიერთობებმა დასცა წარმოების ეფექტიანობის ღონე და ფართო გზა გაუხსნა კორუფციასა და ჩრდილოვან ეკონომიკას.

საქართველოს თანამედროვე ეკონომიკის პირობებში, როდესაც ინვესტიციებად სახელმწიფო ბიუჯეტისა და საკუთარი წყაროების გამოყენება მინიმუმამდეა დასული, მთელი გულისყური გადატანილია საბანკო სესხებზე, მაგრამ ეს წყაროც მეწარმეთა მხრიდან ნდობის დაბალი სინჯის გამო, ხშირად მიუღწეველია.

საბაზრო ეკონომიკის შინაგანი კანონზომიერება იმაზე მიგვანიშნებს, რომ სახელმწიფო ლოკაციის მიმღები სამეურნეო სუბიექტი არასოდეს გახდება საბაზრო სუბიექტად. აუცილებელია გამკაცრდეს საინვესტიციო დაფინანსების პირობები და სამეურნეო სუბიექტები გადაყვანილი იქნეს რეალურ საბაზრო დაკრედიტებაზე ინფლაციის თანდათანობით ალაგმვის, საბაზრო ინსტიტუტების ფორმირების, თანამედროვე საბანკო სისტემის ჩამოყალიბებისა და ფულის რეალურ ლიკვიდურ რესურსად გარდაქმნის კვალობაზე.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში თანამედროვე საბანკო სისტემის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი პრობლემაა სასესო კაპიტალის სადღეისო ფორმების განვითარების წინააღმდეგობების დაძლევა

საკრედიტო სისტემის კრიზისის დაძლევის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ისეთი პოსტსაბაზრო ურთიერთობის განვითარება, რომელსაც კრედიტის ფორმა ექნება

საკრედიტო ურთიერთობების საბაზრო რელსებზე გადაყვანა მოითხოვს საბანკო სისტემის ფორმირებას ბაზრის საფუძველზე. საბანკო სისტემა ცენტრალბეზულ-გეგმიანი ეკონომიკის პირობებში წარმოადგენდა ბიუროკრატიული სისტემის ინსტიტუტს, რომელშიც, როგორც ფოკუსში, ასახული იყო ყველა ის წინააღმდეგობანი, რომლებიც ახასიათებდა არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ წყობილებას ბანკი წარმოადგენს სახელმწიფო კაპიტალიზმსა, კეაზი სოციალიზმსა და იაგაკევემა ბაზარს შორის წინააღმდეგობების კონკრეტული გამოვლინების ინსტრუმენტს.

გარდამავალი ეკონომიკის რეფორმირების პროცესში სერიოზული პრობლემებით ხასიათდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფუნქციონირება ამ ეპოქის ბიუჯეტის მთავარი თავისებურებაა სოციალურ-ეკონომიკური ბრძოლა მისი ფორმირების და განსაკუთრებით, ხარჯვის გარეშე. საყურადღებოა, რომ ამ მედაპირული წინააღმდეგობრივი პრობლემის მიღმა უფრო ღრმა პროცესებთან გვაქვს საქმე, რომლებიც მნიშვნელოვანი სპეციფიკურობით ხასიათდება, სახელდობრ

1 ბიუჯეტისაგან დიდ დაგვირთვას მოითხოვს „ნომენკლატურ-კორპორაციული“ კაპიტალიზმი, რომელიც პარაზიტობის პოზიციიდან არ ჩამორჩება ძველ ეკონომიკურ სისტემას, წითელ ბიუროკრატას;

2 გრანსფორმაციული ეკონომიკის სახელმწიფო ბიუჯეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს სოციალური, ეკოლოგიური და კუმანტიარული პროგრამების დაფინანსებას. სამწუხაროდ, საქმე გვაქვს ამ სფეროებში ბიუჯეტის სახსრების გამოყენების უმნიშვნელო მასშტაბებთან, რომლებიც ვერაფრითარ კრიტიკას ვერ უძლებს;

3 ახლო წარსულში ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების უკანონო მითვისებებს. კორუფციის დონემ ყოველგვარ საზღვრებს გადააჭარბა საგადასახადო აღმინისტრირების სრულყოფით ახალი ხელისუფლების პერიოდში, 2004 წელს საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 2003 წელთან შედარებით 50 %-ით გაიზარდა და მშპ მიმართ გადასახადების წილმა 18,5 % შეადგინა მარტო, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის მოცულობა 75,5 %-ით, ხოლო არასაგადასახადო შემოსავლები 95%-ით გაიზარდა¹

ფინანსური სისტემის ერთ-ერთი მგრძობიარე ნაწილია საგადასახადო სისტემა, რომელიც ჯერ კიდევ სერიოზული პრობლემებით და წინააღმდეგობებით ხასიათდება საქმე ეხება არა მარტო საგადასახადო აღმინისტრირების სრულყოფას, არამედ საგადასახადო ბაზის განმტკიცებას.

მეტად მგრძობიარეა მეწარმეობის განვითარებისათვის დამახასიათებელი ისეთი პრობლემები, როგორცაა: სამეწარმეო აქტიურობის დაბალი დონე, სახელმწიფო ვალდებულებების შესრულებისაგან თავის არიდება, ახალი საგადასახადო კოდექსის არასრულყოფილება, საინვესტიციო ურთიერთობათა საგადასახადო დაბეგვრის ნაკლოვანებები და სხვ

ასეთია წინააღმდეგობრივი ურთიერთობების წრე, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობდა მთლიანობაში ფინანსური სისტემის (ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-ფისკალური) საქმიანობის გაუმჯობესებას და გრანსფორმაციულ ეკონომიკაში კრიზისული მოვლენების დროულად დაძლევას.

სამოგალოება თავისი განვითარების ყველა ეტაპზე სახელმწიფოსაგან მოითხოვდა ისეთი ფუნქციების შესრულებას, რომლებიც პროგრესისა და აღმავლობის საფუძველი იქნებოდა, თანაც ამ ფუნქციების წარმატებით განხორ-

¹ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები

ციელება მოითხოვდა აუცილებელ ფინანსურ რესურსებს და მისი შემკრებ ფინანსურ ინსტიტუტებს დასაბამიდან დღემდე სამოგალოებას გააჩნდა და გააჩნია ფინანსურ ურთიერთობათა სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფულადი ფონდების შექმნა-გამოყენებასთან ფართო გაგებით, მასში შედის: სამეურნეო სუბიექტების, საოჯახო მეურნეობებისა და სახელმწიფოს ფინანსები, საკრედიტო-საბანკო სისტემა, ფასიანი ქაღალდების ბაზარი და საერთაშორისო ფინანსები.

ჯანმრთელი ეკონომიკა ისეთ ფინანსურ სისტემას მოითხოვს, რომელსაც შეეძლება მოახდინოს დამოკიდებული ფულის ინვესტიციებში გადაქაჩვა თანაც ფინანსურმა სისტემამ უნდა შეძლოს ეს სახსრები მოხედეს მწარმოებელი ინვესტორის და არა უსაქმურის ხელში ჩვენი ამოცანაა ფინანსური სისტემის რა შექანისმით შეგვეძლება ასეთი გარიგების ეფექტიანად გამოყენება.

ნებისმიერი ქვეყნის ფინანსური სისტემა თავისი სტრუქტურითა და ფუნქციონირებით რთულია არსებობს მრავალი ფინანსური ინსტიტუტები: ბანკები, სადამლევო კომპანიები, აქციებისა და ობლიგაციების ბაზრები და ა.შ. და ყველა ამ ინსტიტუტის რეგულირებას სახელმწიფო ახდენს¹

ფინანსური სისტემა წარმოადგენს ფინანსურ ურთიერთობათა რეალიზაციის საფუძველს ამასთან, არც ერთი სამოგალოებრივ-ეკონომიკური წყობილების განხილვა სრულყოფილი არ იქნება მისთვის დამახასიათებელი ფინანსური სისტემის შესწავლის გარეშე, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ფინანსური ურთიერთობებისა და მათი მარეგულირებელი ინსტიტუტების ერთობლიობა.

ამრიგად, ფინანსური სისტემა, ფართო გაგებით, ფინანსური ბაზრებისა და სხვა ეკონომიკური ინსტიტუტების ერთობლიობაა, რომელიც გამოიყენება ფინანსური გარიგებების, აქტივების გაცვლისა და რისკის მართვის პროცესში. „ფინანსური სისტემა შედგება ისეთი ეკონომიკური ინსტიტუტებისაგან, რომლებიც ხელს უწყობენ იმ ადამიანების დაკავშირებას, რომელ-

¹ Мишкин Ф., Экономическая теория денег, банковского дела и финансовых рынков, пер с англ, М изд "Аспект-пресс", 1999 стр 215

თაც, ერთი მხრივ, დაზოგვის, მეორე მხრივ, კი – ინვესტირების სურვილი და შესაძლებლობა გააჩნია“¹!

აქედან გამომდინარე, ფინანსური სისტემა ორ ნაწილად იყოფა – ფინანსურ ბაზრებად და ფინანსურ შუამავლებად

ფინანსურ სისტემას შეზღუდული რესურსები გადააქვს დამზოგველებიდან მსესხებლებამდე სწორედ, ფინანსური სისტემის შუამავალმა ინსტიტუტებმა (ბანკებმა, სადამღვევო კომპანიებმა და სხვ) ხელი უნდა შეუწყონ მათ კოორდინირებას

ჩვენ კი ძირითადად გვინტერესებს ფინანსური სისტემა ვიწრო გაგებით

„ფინანსები თავიანთი მაკერიალური შინაარსით წარმოადგენს მიზნობრივ ფულად ფონდებს და მთლიანობაში მოიცავს ქვეყნის ფინანსურ რესურსებს. ფინანსური რესურსები თავისთავად არ წარმოადგენს ფინანსების არსის განმსაზღვრელს, თანაც ვერ ხსნის მათ შინაგან, იმანენტურ ბუნებას და სამოგალოების მიმანს“².

საინტერესოა, რომ ფინანსები გამოხატავს რა ეკონომიკურ ურთიერთობებს, იგი ფინანსური სისტემის სხვადასხვა რგოლში სხვადასხვანაირად ვლინდება და გააჩნია თავისებურებები.

ფინანსური სისტემა წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტების ერთობლიობას, ეი სხვადასხვა სფეროების ფინანსურ ურთიერთობათა ერთობლიობას, როდესაც წარმოებს ფულადი ფონდების შექმნა და გამოყენება.

ფინანსური სისტემა „ეს არის სახელმწიფოსა და საწარმოების ფულად საშუალებათა ფონდების წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების ფორმირებისა და მეთოდების სისტემა“³ და იგი მოიცავს ფასიანი ქაღალდების და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების საფინანსო შუამავლების (ბანკები, სადამღვევო კომპანიები) ბაზრებს, სამეურნეო სუბიექტებს, საოჯახო მეურნეობებს,

¹ *მენქეუ ტ.*, ეკონომიკის პრინციპები, თბ., ლიოგენე, 2000, გვ 715

² *კაკულია რ.*, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 2003, გვ 55

³ იქვე, გვ 48

რომლებიც სთავაზობენ ფინანსურ მომსახურებას და ორგანოებს, რომლებიც არეგულირებენ ყველა ამ დაწესებულებათა საქმიანობას

ფინანსური სისტემის მთავარი ფუნქციაა ეროვნული შემოსავლის და საერთოდ, ფინანსური რესურსების ეფექტიანი განაწილება. ამ სისტემის საბაზო ფუნქციებიდან საყურადღებოა. ფინანსური რესურსების დროში, ტერიტორიებსა და ეკონომიკის დარგებს შორის გადაადგილების, რისკის მართვის, ანგარიშსწორების განხორციელების წესების უზრუნველყოფა, ფასების შესახებ ინფორმაციისა და სტიმულირების წესების უზრუნველყოფა

როგორც წესი, ნებისმიერ სამოგალოებაში (სახელმწიფოში) ფინანსური სისტემა მოიცავს შემდეგ სფეროებს: სახელმწიფო ფინანსების, ფირმების (კორპორაციების) და სხვა სამეურნეო სუბიექტების ფინანსებისა და საოჯახო მეურნეობის ფინანსების სფეროებს.

ინსტიტუციური ასპექტებით ფინანსური სისტემა მოიცავს შემდეგ სფეროებს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს, სოციალურ, ქონებრივ და პირადი დაზღვევის ფონდებს, ქვეყნის საეკონომიკო რეგულირებას, სამეურნეო სუბიექტების ფულად ფონდებს, სხვა დანარჩენ სპეციალურ ფონდებს¹

მეცნიერ-ეკონომისტთა ერთი ნაწილი ფინანსურ სისტემაში აერთიანებს ცენტრალიზებულ ფინანსებს (სახელმწიფო ფინანსებს, ქონებრივ და პირადი დაზღვევის ფონდებს, საფონდო ბირჟებს), დეცენტრალიზებულ ფინანსებს (საწარმოების ფინანსებს, საფინანსო შუამავლებს და სხვ.) და საოჯახო მეურნეობების ფინანსებს²

სახელმწიფო ფინანსები (სისტემა, სფერო) არის ფულად ურთიერთობათა სისტემა, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს ფუნქციების შესრულებისათვის აუცილებელი ფულადი საშუალებების ფორმირებასა და გამოყენებასთან და მოიცავს ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს, არასაბიუჯეტო და სხვა სპეციალურ ფონდებს

სახელმწიფო ფინანსური სისტემის ძირითადი მიზანია ცენტრალიზებუ-

¹ *Попова А.*, Экономическая теория, СПб, 2000, стр 300

² *Миляков Н.*, Финансы, М, ИНФРА-М, 2002, стр 11-12

ლი ფინანსური რესურსების მობილიზაცია და განაწილება სახელმწიფოებრივი (საზოგადოებრივი) მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად

ფირმების (კორპორაციების) და სხვა სამეურნეო სუბიექტების ფინანსების სფერო არის იურიდიული პირების ფინანსები, რომლის ძირითადი ფუნქციაა ფინანსური რესურსების იმ ოდენობით ფორმირება, რომელიც სამეურნეო საქმიანობის და საერთოდ, წარმოების გაფართოება-განვითარების და ფინანსებას უზრუნველყოფს.

საოჯახო მეურნეობების ფინანსების სფერო შედგება ცალკეული ოჯახების ფინანსებისაგან, რომლის მთავარი ამოცანაა ოჯახების (მოქალაქეების) ბიუჯეტის შემოსავლის ფორმირება და მისი გამოყენება ამ ოჯახების (მოქალაქეების) მიმდინარე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და დანაზოგების უზრუნველსაყოფად

ნებისმიერი ქვეყნის ფინანსური სისტემის ეს სამი რგოლი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია

სახელმწიფო ფინანსების სფერო უზრუნველყოფს საერთო-სახელმწიფოებრივი ღონისძიებების, საბიუჯეტო დაწესებულებების დაფინანსებას და საოჯახო მეურნეობათა ბიუჯეტების შემოსავლების ფორმირებას

ფირმების (კორპორაციების) და სხვა სამეურნეო სუბიექტების ფინანსების მეშვეობით წარმოებს საოჯახო მეურნეობათა ბიუჯეტების შემოსავლების და ადგილობრივი ბიუჯეტების, არასაბიუჯეტო (სპეციალური) ფონდების საშემოსავლო ნაწილის ფორმირება

საოჯახო მეურნეობათა ბიუჯეტების სფერო უზრუნველყოფს ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის ფორმირებას გადასახადების და სხვა სავალდებულო გადასახდებულების სახით, აგრეთვე ფასიან ქალაქებში ინვესტიციებს

საქართველოს ფინანსური სისტემა მოიცავს ფინანსურ ურთიერთობათა შემდეგ რგოლებს: სახელმწიფო საბიუჯეტო სისტემას, სპეციალურ ბიუჯეტგარეშე ფონდებს, სახელმწიფო კრედიტს, დაზღვევის ფონდებს, საკუთრების სხვადასხვა ფორმების საწარმოთა ფინანსებს.

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის საქართველოს ცენტრალური

ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, ადგილობრივი ხელისუფლების და სპეციალური სახელმწიფო ფონდების ვალდებულებათა შესრულების მიზნით ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და გამოყენების, საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის, საბიუჯეტო პროცესისა და შესაბამისი ბიუჯეტების ერთობლიობა¹.

ამემადა, საქართველოს საბიუჯეტო სისტემა ნაწილობრივ გარდაიქმნა და მოიცავს სამ რგოლს

- 1 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს,
- 2 აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებს;
- 3 ქვეყნის სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებულია საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტი და სპეციალური ბიუჯეტგარეშე სახელმწიფო ფონდები

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ყველა მონაწილე საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე მოეალეა დაიცავს შემდეგი პრინციპები: ყოვლისმომცველობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, დამოუკიდებლობა, ერთიანობა, უნივერსალურობა, კონსოლიდირება.

I.2. ფინანსური სისტემის გარდაქმნის აუცილებლობა განვითარებად ქვეყნებში

სისტემური ტრანსფორმაცია, რომელიც ქვეყანაში მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან მომდინარეობს, მოიცავს მრავალ ურთიერთმოქმედ პროცესებს, სახელდობრ: ცვლილებებს ეკონომიკაში, სახელმწიფო მოწყობაში, მოსახლეობის ფასეულობით ორიენტირებაში და სხვ ამ პირობებში მწვაედება შინაგანი რესურსების მობილიზაციის და ეროვნული ეკონომიკის სფეროებს შორის განაწილების პრობლემები.

¹ საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, 2003 წლის 24 აპრილი, გვ 1

ადმინისტრაციულ-გეგმიანი მეურნეობრიობის ნგრევა განაპირობა სამი საწყისის დაეწევაში:

1 მეურნეობრიობის თავისუფლება და შესაბამისად, ინიციატივების თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის თავისუფლების დაეწევა, 2 ეკონომიკის დაეწევა, ე.ი გაცელის, ღირებულებითი საწყისის დაეწევა და 3 ეკოლოგიის, ე.ი ადამიანის, საზოგადოებისა და ბუნების მიმართ ზნეობრივი საწყისის დაეწევა.

სწორედ ამ სამი საწყისის არარსებობამ და ზოგიერთ ქვეყანაში კი ჩანასახოვან მდგომარეობაში არსებობამ, წინასწარ განსაზღვრა ჯერ კრიზისული მოვლენები, შემდეგ კი – ადმინისტრაციულ-გეგმიანი სისტემის კრახი უფრო მეტიც, ღირექტიულ-გეგმიანი მეურნეობის ძლიერი მხარე – შეგნებული ორგანიზაცია – მის წინააღმდეგობაში მოექცა და ჩამოყალიბდა ყოფიერების ჰიპერტროფულ სისუსტედ, რამაც უარყოფითად იმოქმედა წარმოებასა და თვით სამეურნეო ორგანიზაციის სისტემაზე.

ცენტრალიზებულ-გეგმიანი მეურნეობრიობის კრახმა გამოიწვია ახალ, განსაკუთრებულ სამეურნეო მოწყობაზე გადასვლის აუცილებლობა, რომელსაც მიეყვართ თავისუფლებისაკენ, როგორც ეკონომიკის, ისე ეკოლოგიის თავისუფლებისაკენ

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში საზოგადოება დაადგა რა გარდაქმნების გზას, შეეჯახა ამ გარდაქმნების გადაწყვეტის მრავალვარიანტულ პრობლემებს: საბოლოო მიზნის, ვადების, მეთოდების და მასშტაბურობის ასპექტით. აღმოჩნდა, რომ არა მარტო გარდაქმნის მრავალრიცხოვან ვარიანტებთან ვეაქვს საქმე, რომლებიც თავისთავად ობიექტურია, არამედ წინა პლანზე წამოწეული იქნა სუბიექტური ინტერესებიც და დაიწყო ბრძოლა ამ ორ ინტერესს შორის, სადაც კერძო ინტერესებმა დაჩაგრა საზოგადოებრივი ინტერესები

სოციალისტური სისტემის კაპიტალისტურ (საბაზრო ეკონომიკად) სისტემად გარდაქმნის ანტაგონისტურმა წინააღმდეგობებმა გამოიწვია ვაკუუმის სიტუაცია, ე.ი. სოციუზმა და მის განვითარებაში თვისობრივი გაურკვეველობა ამან კი გამოიწვია დეგრადაციის აუცილებლობა, მისი კულტურული

გაუბრალოება, დეფორმაცია და დემორგანიზაცია აქედან მივიღეთ წარმოების მკვეთრი ღირებულება

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო პოსტსოციალისტური ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში სისტემური ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც დამღვეული არ არის ისეთი წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავი მოვლენებისაგან, როგორცაა: კატაკლიზმები ეკონომიკისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის სფეროში, მოსახლეობის ცხოვრების დონის თანდათანობითი ღირებულება, წარმოების დაბალი ტემპები და დეფიციტი, დისბალანსი მოთხოვნა-მიწოდებას შორის და სხვ

ეროვნული ეკონომიკის დადამბლაყების პროცესს თან ახლდა მატერიალური და ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და მათი მეურნეობის სფეროებს შორის განაწილების გადაუღებელი პრობლემები, რომელთა დაძლევის გარეშე უპერსპექტივო და უშედეგო იქნება ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, წარმოების ეფექტიანობის ზრდა, ქვეყნის ცალკეული რეგიონების ეკონომიკურ და სოციალურ ღონეთა გამოთანაბრება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება ისმის ლოგიკური კითხვა რამ განაპირობა ქვეყნის ასეთი, ყოველმხრივი კატასტროფა? მიზეზი უნდა ვეძებოთ ძირმომჰალი სოციალისტური ეკონომიკური სისტემის სფეროში.

სწორედ, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კატასტროფულმა ჩამორჩენილობამ, განსაკუთრებით ფინანსურ სექტორში, გამოიწვია არსებული ეკონომიკური სისტემის ნგრევა

საყურადღებოა, რომ საბიუჯეტო დისბალანსი გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მომდინარეობდა, როცა დაიწყო ეროვნული ეკონომიკის იერარქიული მართვის სისტემის დეგრადაცია და გრადიციული რეპრესიული მექანიზმის შესუსტება, რეალიზაციისათვის დამახასიათებელი შრომითი აქტივობის სტიმულების აღმოფხვრა; საწარმოთა განკარგულებაში მოგების წილის ზრდა, რომელმაც გამოიწვია ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება; ბიუჯეტში ბრუნვის გადასახადის შემოსულობათა შემცირება საბითუმო ფასების მკაცრი კონტროლის შედეგად ფიქსირებული საცალო ფასების პირობებში; საერთა-

მორისო ბაზარზე ნედლეულისა და ენერგომატარებლების ფასების დაცემა, არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა; ტექნიკური და ბუნებრივი კატაკლიზმები და სხვ

90-იანი წლების დასაწყისიდან ფინანსური დისპროპორციის მთავარი მიზეზი გახდა მოთხოვნის დაცემა.

სწორედ ამ პრობლემების დაძლევაში მოითხოვა უფექტიანი სახელმწიფო ფინანსური სისტემის შექმნის აუცილებლობა.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში ფინანსური სტაბილიზაცია გაართულა რეფორმების კონსეფციის შექმნისა და მათი განხორციელებისათვის თეორიული ბაზის სიმწირემ. საბჭოთა ეკონომიკურ მეცნიერებაში გრადიენტულად ფინანსური მეცნიერება განიხილებოდა, როგორც ნაკურალური ეკონომიკის პროპორციების ფორმირების ინსტრუმენტი ეკონომიკურ სისტემაზე ფულად-საკრედიტო და საგადასახადო-საბიუჯეტო ურთიერთგავლენის შესახებ საკითხები, რომელსაც თან ახლდა პიპერინფლაცია, უმუშევრობა, მაღალი საპროცენტო განაკვეთები და სხვა სამამულო მეცნიერებისათვის სიახლეს წარმოადგენდა

ამასთან, საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ფინანსური ურთიერთობებისა და კავშირების ნამდვილი ანალიზი ვერ ხერხდებოდა შემდეგ გარემოებათა გამო

1 ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ეკონომიკაში მიმდინარე რეალურ პროცესებს არ ასახავდა, რის გამოც მათი ხარისხი და საიმედოობა საეჭვო იყო;

2 ეკონომიკური მეცნიერება უძლური იყო მოეცა მეურნეობრიობის აღმინსტრაციულ-დირექტიული სისტემიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის საკითხების თეორიული ახსნა;

3 როგორც წესი, გარდამავალი პერიოდის ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური სიტუაციის უმყარობა ობიექტურად იწვევდა ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების ცვალებადობას, რაც საშუალებას არ იძლეოდა გამოვლენილი ყოფილიყო ფულად-საკრედიტო, საგადასახადო

და საბიუჯეტო პოლიტიკასა და მაკროეკონომიკურ სიტუაციას შორის მუდმივი, არსებითი და მყარი კავშირურთიერთობები;

ჰ პოლიტიკური არასტაბილურობა, გერიგორიული მთლიანობის დარღვევა, ეკონომიკის რეგულირების საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების პერმანენტული შეცვლა და თანაც არასრულყოფილება, მოკლებული იყო სამეურნეო საქმიანობის წინასწარგანჭვრეტისა და სწორი პროგნოზირების საშუალებას.

როგორც წესი, ქვეყნის ფინანსური სტაბილიზაცია უშუალო კავშირშია ეროვნული ეკონომიკის მდგრად განვითარებასთან. სამწუხაროდ, ქვეყანაში გარდაქმნების „ფასი ძალიან მაღალია მას თან სდევს წარმოების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხანგრძლივი და ღრმა დაცემა თანამედროვე ისტორიაში – 1990-1994 წლებში ამ მაჩვენებელმა 1996 წ., 1989 წ დონის მხოლოდ 20 პროცენტი შეადგინა. სამრეწველო წარმოების დაცემა უფრო მეტი იყო. მართალია, 1995-1997 წ წ მთლიანი შიდა პროდუქტი კვლავ იზრდებოდა, შესაბამისად 2, 4, 11 და 11,3 პროცენტით, მაგრამ 1998 წ. მისი ზრდა მკვეთრად დაეცა – 2,9 პროცენტამდე, ხოლო სამრეწველო პროდუქციის წარმოება შემცირდა დაახლოებით 3 პროცენტით, ამასთან, 1998 წ. დასასრულს მოხდა ლარის მკვეთრი დევალვაცია, რასაც წინ უძღოდა მწვავე ფინანსური კრიზისი“¹.

საქართველოში წარმოების უფექტიანობისა და ეკონომიკური ზრდის გემპების დაცემა გააღრმავა ისეთმა ფაქტორებმა, როგორცაა: ფასების ზრდა, რამაც შეამცირა მოსახლეობის რეალური შემოსავალი და საინვესტიციო კაპიტალის მოცულობა, ინვესტიციების შემცირების ტენდენცია, რის გამოც მინიმუმამდე დაეცა იმ მოგების წილი, რომელიც მოდიოდა წარმოების დანახარჯების შემცირებასა და ტექნოლოგიების სრულყოფაზე; ენერგორესურსებზე ფასების გიგანტური ზრდა; შრომის მიზერული ანაზღაურება და უმუშევრობა

რეფორმირება/არ ნიშნავს „სწორ“ მოდელთან მორგებას რეფორმირება ურთულესი ისტორიული პროცესია, მოძრაობისა და ბრძოლის პროცესია,

¹ *ჩიკვაძე თ.*, სოციალური იმპერატივები და საქართველოს მომავალი სტრატეგია მომავალი საუკუნისათვის, ე „სოციალური ეკონომიკა“, 1998, №2 გვ 12

რომელმაც არსებული წესრიგი უნდა შეცვალოს. რეფორმაგორი – ცხოვრების, გარდაქმნების შემოქმედია და არა მისი წყარო, შემქმნელია და არა მისი გამგებელი.

ვახორციელებთ რა მეურნეობის ეკონომიზაციას, სავალდებულო კი არ არის იგი დავიყვანოთ უკიდურესობამდე, მოვახდინოთ მისი აბსოლუტიზირება, მივალწიოთ გოგალური დაგეგმვის აბსურდობის აღმოფხვრას, სრულებით არ არის საჭირო მთლიანად უარყოთ გეგმა, მათ შორის საერთო-სამეურნეო. საკუთრებისა და მეურნეობრიობის სახელმწიფო მონოპოლიების აღმოფხვრა არ ნიშნავს მოვახდინოთ საკუთრების სრული ატომიზირება და ინდივიდუალურობა, დაეყოთ მეურნეობრიობა, მოვაწყოთ გოგალური განსახელმწიფოებრიობა¹

ამასთან, „წინასწარ მოუზმადებლად და ნაჩქარევად განხორციელებულმა ეკონომიკურმა ლიბერალიზაციამ, განსაკუთრებით საყოველთაო დეფიციტის პირობებში ფასების ლიბერალიზაციამ, თანაც ქვეყანაში პრივატიზაციის პროცესის განხორციელებამ სისტემური კრიზისის პრობლემების გადაჭრისაგან მოწყვეტით, კიდევ უფრო გააძლიერა წარმოების დაცემის ტემპი და განუსაზღვრელი ვადით გადასწიეს სტრუქტურული რეფორმების გატარება“².

სისტემური კრიზისის პირობებში განვითარების საბაზრო მოდელის ადეკვატური ფინანსური სისტემის ფორმირება საქართველოში წარიმართა მონეტარიზმის თეორიული კონცეფციის ბაზაზე. ქვეყანაში ეკონომიკური სისტემის კონკრეტულ-ისტორიული პირობების არაობიექტურმა შეფასებამ, ფინანსურ ურთიერთობათა მართვის მრავალფეროვანი უცხოური გამოცდილებების უკოდინარობამ და აქედან გამომდინარე, მისმა გაუთვალისწინებლობამ, განვითარებული ქვეყნების მონეტარული პოლიტიკის ხელაღებით, მექანიკურმა გადამოტანამ, 1992-2003 წლებში ქვეყანას საშუალება არ მისცა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ბრდის სტაბილურობისათვის მიეღწია.

¹ *ჩიკვაძე თ.*, სოციალური იმპერატივები და საქართველოს მომავალი სტრატეგია მომავალი საუკუნისათვის, ქ „სოციალური ეკონომიკა“, 1998, №2, გვ 12

² *კაკულია რ.*, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 2003, გვ 186

მდგომარეობა უფრო დაამძიმა 1998 წლის ფინანსურმა კრიზისმა, რომელმაც კიდევ უფრო დაგეარწმუნა მონეტარისტული კონცეფციის დანერგვის არარეალობაში „1998 წლის აგვისტოში გამწვავებულმა ფინანსურმა კრიზისმა დაადასტურა გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მონეტარისტული მეთოდების თანმიმდევრული რეალიზაციის შეუძლებლობა და დასაუფეთის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის მექანიკურად გადაღების მანკიერება“.¹

დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური აღმავლობა მაშინ მიიღწევა, როდესაც მთელი სისრულით ამოქმედდება ფინანსური სისტემის ყველა რგოლი. არადა, თითოეულ მათგანს იმანენტურად ახასიათებს ფულად საშუალებათა ფონდების ფორმირებისა და გამოყენების მეთოდები, რომლებსაც კვლავწარმოების პროცესში სხვადასხვა როლი აკისრია

საქართველოს ფინანსური სისტემის რეფორმის ძირითადი მიზანია ფინანსური რესურსების ფონდების ფორმირებისა და გამოყენების ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული შემოსავლის ეფექტიან განაწილებასა და გადანაწილებას საწარმოო ძალთა განვითარების მიზნით, ეკონომიკაში საბაზრო სტრუქტურების ფორმირებას, სახელმწიფოს ძლიერებას, მოსახლეობის მაღალი ცხოვრების დონის უზრუნველყოფას, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელებას, ქვეყნის ცალკეული რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ღონეთა გამოთანაბრებას ფინანსური რეფორმის ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია

– ყველა დონის ბიუჯეტებისა და არასაბიუჯეტო ფონდების სისტემატიზაციისა და ფორმირებისათვის ადეკვატური კონცეფციური საფუძვლის შემუშავება,

– სახელმწიფო სახელისუფლებო ორგანოების მიერ მრავალმხრივი ფინანსური ოპერაციების დაგეგმვა, შესრულების აღრიცხვა და ანალიზი;

– ეროვნულ ეკონომიკაზე სახელმწიფო ფინანსების ზემოქმედების და

¹ Теория переходной экономики, авт колл под редакцией Николаевой И., изд "ЮНИТИ-ДАНА", М, 2001, стр 290

ფინანსური და საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობის ობიექტური შეფასება,

– ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურების შექმნა და ფუნქციონირების გაუმჯობესება,

– საბიუჯეტო მექანიზმის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიან მექანიზმად გარდაქმნა და ამის საფუძველზე საბიუჯეტო კრიზისის დაძლევა;

– კადრების მომზადება

სისტემურმა ეკონომიკურმა კრიზისმა და ეკონომიკური რეფორმების მომზადებაში სამთავრობო სტრუქტურების ინერტულობამ და საგნობრივი გარდაქმნებისადმი პოპულისტურმა დამოკიდებულებამ 1994-2003 წლებში სასიკეთო შედეგები ვერ მოგვცა ქვეყანამ თავი ვერ დააღწია ბიუჯეტის ქრონიკულ დეფიციტს, შემოღებული იქნა „სეკვესტრირებისა“ და „ბიუჯეტის დაცული მუხლების“ კანონგარეშე ინსტიტუტები, ფართომასშტაბიანმა კორუფციამ გამოიწვია ბიუჯეტის ისედაც მწირი შემოსაულების განაიევება, გაძლიერდა სოციალური დაძაბულობა, გამწვავდა წინააღმდეგობა ცალკეული საწარმოების საგადასახადო დაბეგრის უმომოდ მაღალ განაკვეთებსა და გადასახადების აკრეფის დაბალ ღონეს შორის

„სანამ ეკონომიკური კრიზისის გახანგრძლივების მიზეზების კვლევისა და მათი დაძლევის გზების ფორმირებაში შენარჩუნებული იქნება პარტიული მიდგომა და ეკონომიკური აზრი არ განთავისუფლდება ჯერ კიდევ მოუძწიფებელი პოლიტიკური ღოგმებისაგან, ვერ მოხერხდება სრულფასოვანი ეკონომიკური რეფორმების განხორციელება და ქვეყნის კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის დაჩქარება. ეკონომიკისადმი ცინიკური დამოკიდებულება, რომელსაც ადგილი აქვს საზოგადოებისა და პოლიტიკის არცთუ მცირე ნაწილის მიერ, მნიშვნელოვნად ამუხრუჭებს ეკონომიკურ რეფორმას და, შესაბამისად, მრდის ხალხის უნდობლობას ხელისუფლების მიმართ“¹

¹ *მესხია ი.*, საქართველოს საფინანსო პოლიტიკის თანამედროვე პრობლემები, „გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში“, ფსკო, ტ III, თბ., 1999, გვ. 10-11

ფინანსური სისტემის რეფორმების ჩაშლის და ქვეყანაში ნეგატიური მოვლენების აღმეგობის შედეგად პერმანენტულად იზრდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, რომელმაც 1996-2003 წლებში 1530 მლნ ლარს გადააჭარბა, ეს მაშინ, როდესაც ამავე პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა (აშშ-ის დოლარებში) ერთ დონეზე იდგა, რაზედაც ნათელ წარმოდგენას იძლევა აქ მოტანილი ცხრილი¹

(მლნ აშშ დოლარებში)

წლები	ხარჯები	ზრდის ტემპი 1996=100%
1996	593,3	100
1997	597,5	100
1998	570,7	96,2
1999	447,9	75,5
2000	441,2	74,4
2001	437,9	73,8
2002	517,1	87,2
2003	561,4	94,6

ყოველწლიურად ბიუჯეტის ხარჯების შემცირება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქვეყანაში 2003 წლამდე გრძელდებოდა საბიუჯეტო-საფინანსო კრიზისი და მისი დაძლევის ღონისძიებები არაეფექტიანი იყო მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ.

იმისათვის, რომ ფინანსური სისტემის გარდაქმნები მოახდინოთ საგნობრივად, აუცილებელია მივიღეთ შემოსავლების კატეგორიის სწორად გაგებად.

ნებისმიერი სამეურნეო სისტემის უმნიშვნელოვანესი საკითხია – საკითხია შემოსავლების, მათი წარმოების, განაწილებისა და გადანაწილების, მათი მითვისების შესახებ. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური სისტემისათვის, კიდევ უფრო განსაკუთრებული – კაპიტალისტუ-

¹ საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები

რისათვის. ნებისმიერი წარმოება – შემოსავალია, ნებისმიერი ამონაგები – შემოსავალია, ნებისმიერი დანამატი – კიდევ უფრო მეტი შემოსავალია. კაპიტალი – შემოსავალია, თანაც შემოსავლის შესაძლებლობა, მოგება – სერიოზული შემოსავალია, მისი ნამატი მოგება – კაპიტალზე შემოსავალი და კაპიტალის შემოსავალია, მისი უდიდესი მიზანია.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში იწარმოება სხვადასხვა შემოსავლები: შემოსავლები, რომლებიც ფარავს კაპიტალის და შრომის დანახარჯებს, სამეწარმეო შემოსავლები, სასესხო პროცენტი, სავაჭრო მოგება, რენტა, დაქირავებული მუშაკების ხელფასი, აგრეთვე შემოსავლები არაკაპიტალისტური და არაფეოდალური მიწათსარგებლობისათვის, პირადი და საოჯახო შრომისაგან ესაა შემოსავლები უშუალოდ მეურნეობრიობისაგან. ამასთან, არის შემოსავლები, რომელთა შექმნა დაკავშირებულია არასამეურნეო მომსახურების გაწევასთან, როგორც უშუალოდ მეურნეობაზე, ისე საზოგადოებასა და ადამიანზე ასეთი შემოსავლები აგარებს გასამრჯელოს ხასიათს. არსებობს აგრეთვე შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებულია სასარგებლო საზოგადოებრივი (სახელმწიფოებრივი) ფუნქციების შესრულებასთან, რომლებიც ღებულობენ შრომის, მომსახურების ანაზღაურების ფორმას. არსებობს შემოსავლები, რომელთაც შემწეობის (მაგალითად, სოციალური) ხასიათი გააჩნია და შემოსავლები, რომელთა შესახებ საზოგადოებაში საუბარი მიუღებელია – ფარული (უკანონო) შემოსავლები

**თავი II. სახელმწიფო ფინანსური სისტემის რეფორმირების
პრობლემები საქართველოში**

**II.1. ფინანსური სისტემა და ქვეყნის მაკროეკონომიკური
სტაბილიზაციის პრობლემები**

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში ერთ-ერთი ურთულესი საკითხია ფინანსურ ურთიერთობათა რეგულირება და სრულყოფა, ურომლისოდანაც შეუძლებელია ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პრობლემების გადაწყვეტა. აღმინისტრაციულ-გეგმიანი ეკონომიკური სისტემის პირობებში პრიორიტეტული იყო სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის რაოდენობრივი მაჩვენებლების დაგეგმვა, რაც შეეხება ხარისხობრივ მაჩვენებლებს (ფინანსური, საკრედიტო, ფასწარმოქმნის, რენტაბელობის და ა.შ), ისინი ნაკლები ყურადღებით სარგებლობდნენ ამ სისტემისათვის დამახასიათებელი იყო გოგალური დაგეგმვა, მატერიალური და ფინანსური რესურსების ლიმიტირება და მკაცრი ნორმირება გამორიცხული იყო რესურსების მანიპულირებისა და მათი ურთიერთთანაცვლების ასპექტები. საწარმოებსა და ორგანიზაციებში იგნორირებული იყო ფინანსურ ურთიერთობებში თავისუფალი გარიგებების ინსტიტუტი

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ეროვნულ ეკონომიკაში ლიბერალიზაციის პროცესები დააჩქარა. დღის წესრიგში დადგა ფინანსური რესურსების მართვის სრულყოფა. იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად გარდაიქმნება სამეურნეო სუბიექტების ძირითადი და მოზიდული ფინანსური რესურსების გამოყენება, დიდად იქნება დამოკიდებული ფირმებისა და კორპორაციების სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობა, სხვანაირად კომერციული საქმიანობის მთავარი მიზნის მოგების მაქსიმიზაციის მიღწევა განუხორციელებელი დარჩება. მიკროდონეზე დაგროვების სტიმულირება და მოგების გადიდება ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

მოგება კი ფინანსური სტაბილიზაციის მთავარი მამოძრავებელი ღერძია, რომლის გარეშეც ეკონომიკის გრანსფორმაცია და რეფორმები უჭიჭ

ოცნება იქნება „მოკური თერაპიის“ პირობებში აღმშენებლობითი პროცესი ფინანსური მხარდაჭერის გარეშე მეტად მწვავე და მტკივნეული იქნება. „პოსტკომუნისტური გრანსფორმაციის წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელია რეფორმების პროცესის მძლავრი ფინანსური მხარდაჭერა. თუკი ქვეყანას ის არ გააჩნია, მან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებსა და დიდი შვიდეულის ქვეყნებს უნდა მიმართოს, რომლებიც დამკვიდრებული წესის თანახმად, პრიორიტეტს ანიჭებენ საერთაშორისო სახალუგო ფონდს, რომელიც თავის მხრივ, ეყრდნობა „ვაშინგტონის კონსენსუსს“, ანუ „მოკურ თერაპიას“ ორთოდოქსული სცენარით; მამასადამე, გრადუალისტური მიდგომის პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობა, სხვა თანაბარ პირობებში, ქვეყნისაგან საკუთარი მნიშვნელოვანი ფინანსური წყაროების არსებობას მოითხოვს“¹.

იმის გამო, რომ განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში გარდაქმნების პროცესი ფაქტობრივად არ ითვალისწინებს მაკროეკონომიკური წარმოების აღრინდელი ტემპებით ზრდას, ინვესტიციების ნაკლებობა და ძირითადი კაპიტალის განუახლებლობა სამრეწველო საწარმოებს უბიძგებს არაკონკურენტულ გარემოში ფუნქციონირებას. სამამულო ნაწარმი დიდად ჩამორჩება მსოფლიო სტანდარტებს და ყოველთვის კონკურენტულ ბრძოლაში დამარცხებული როლში გამოდის, რაც საბოლოო ჯამში, წარმოების დაცემის წინაპირობაა და მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემის მომასწავებელია ზემოაღნიშნული მომენტები მოითხოვს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველმყოფ ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებას.

ისმის კითხვა: ჩვენს ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამა როგორი მაკროეკონომიკური გარემოს პირობებში მიმდინარეობს?

როგორც აღვნიშნეთ, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგი პირველი წლები/ როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით უმძიმესი წლები იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ საქარ-

¹ *პაპუა ფ. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა*, თბ., თსუ, 2005, გვ. 22-23

თველოს გამოყვალა არა მარტო სანედლეულო ბაზა, არამედ გასაღების ბაზარიც, რამაც ქვეყანაში ეკონომიკური კავშირების მოშლა გამოიწვია ქართული ფულის ერთეულის უქონლობამ, პიპერინფლაციამ, ფსებისა და ვაჭრობის ლიბერალიზაციამ, სამოქალაქო ომმა, 300 ათასი ლტოლვილის შენახვამ, ფარული ეკონომიკისა და კორუფციის აღზევებამ, სეპარატიზმმა გამოიწვია ბიუჯეტის კოლოსალური დეფიციტი, წარმოების 5-ჯერ და მეტად შემცირება და მოსახლეობაში სოციალური დაძაბულობა.

ქვეყანა ვერ გამოვიდა სისტემური კრიზისიდან, პრობლემებით ამოქმედდა სტაბილიზაციის ფაქტორები (მიკროდონეზე მოშლილი ფინანსებისა და არგადახდების მოცულობის დაძლევა, წარმოების დაცემის მასშტაბების შემღუღელობა, საგარეო ბაზარზე საექსპორტო შესაძლებლობათა არაუფექტიანი გამოყენება, ლარზე გადიდებული მოთხოვნების ინვესტიციებთან ორგანული დაუკავშირებლობის დაძლევა და სხვ.)

სერიოზულ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება. სამეურნეო კავშირების მოშლა, უმუშევრობა, საგადასახდელო ბალანსის უარყოფითი სადღო

ასეთ პირობებში უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საქმეში.

1991 წლის ცენტრალური ბიუჯეტის სამემოსაველო ნაწილი შესრულდა მხოლოდ 78,3 %-ით, ხოლო საგასაველო ნაწილის გეგმა კი – 75,3 %-ით ასევე, სერიოზული ნაკლოვანებები იყო 1992, 1993 და 1994 წლების საბიუჯეტო შემოსავლების შესრულებაში 1995 წლიდან საქართველოს ეკონომიკაში დაიწყო პოზიტიური ძვრები, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების გეგმა 1995 წლიდან 2004 წლამდე არ შესრულებულა, რაზედაც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოტანილი ცხრილი 2.

ცნობილია, რომ 1995 წლიდან საქართველოს ეკონომიკაში დაიწყო პოზიტიური მომენტების გაძლიერება და სტაბილიზაცია. თუ 1995 წელს ფაქტობრივი საბიუჯეტო შემოსავალი 271,3 მლნ ლარი იყო, 2000 წელს იგი უკვე 919,5 მლნ ლარს აღწევდა, ეი 3,5-ჯერ გაიზარდა, მაგრამ საბიუჯეტო შემოსავლები ამ ხნის განმავლობაში არც ერთ წელს არ შესრულებულა (ცხრილები №2) . საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის (ნაერთი ბიუჯეტი და სპეციალური

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის (ნაერთი ბიუჯეტის) შესრულება¹
(ათ. ლარი)

წლები	დამუსკებული გეგმა	ფაქტიური შესრულება	შესრულების %
1995			
შემოსავალი	283,6	271,3	95,7
ხარჯები	496,2	449,1	90,5
დეფიციტი	-212,6	-177,8	-
1996			
შემოსავალი	562,3	518,1	92,0
ხარჯები	805,6	772,4	95,9
დეფიციტი	-242,7	-254,3	-
1997			
შემოსავალი	856,2	749,8	87,6
ხარჯები	1101,8	930,1	84,4
დეფიციტი	-245,5	-180,4	-
1998			
შემოსავალი	978,6	842,6	86,1
ხარჯები	1197,0	1019,7	85,2
დეფიციტი	-218,4	-177,1	-
1999			
შემოსავალი	1195,6	931,6	77,9
ხარჯები	1556,1	1188,9	76,4
დეფიციტი	-308,8	-254,7	-
2000			
შემოსავალი	955,7	919,5	96,2
ხარჯები	1317,7	1158,2	87,9
დეფიციტი	-362,0	-238,7	-
2001			
შემოსავალი	1159,7	1064,0	96,2
ხარჯები	1433,5	1260,2	81,9
დეფიციტი	-327,6	-196,2	-
2002			
შემოსავალი	1281,7	1225,1	95,6
ხარჯები	1775,8	1448,7	91,9
დეფიციტი	-294,1	-223,6	-
2003			
შემოსავალი	1310,0	932,4	70,0
ხარჯები	1397,9	1207,1	86,0
დეფიციტი	-87,9	-274,7	-

¹ მონაცემები ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესახებ აღებულია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო ლეპარტამენტის მოხსენებებიდან

სახელმწიფო ფონდები) საშემოსავლო ნაწილი 1995 წელს შესრულდა 92,0 პროცენტით, ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტისა – 90,5 პროცენტით საბიუჯეტო შემოსავლები 1996 წელს, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 91 პროცენტით და 1997 წელს (1996 წელთან შედარებით) – 46 პროცენტით, მაგრამ გეგმით ვათვალისწინებული ზრდა მიღწეული არ ყოფილა საბიუჯეტო შემოსავლების გეგმა 1996 წელს ნაერთი ბიუჯეტით შესრულდა 92 პროცენტით, სახელმწიფო ბიუჯეტით – 89,8 პროცენტით და ტერიტორიული ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტით – 95,1 პროცენტით, 1997 წელს კი, შესაბამისად, 87,8 პროცენტით, 87,2 პროცენტით და 90,3 პროცენტით.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში სერიოზული პრობლემები შექმნა 1998-1999 წლების საბიუჯეტო კრიზისმა ამ კრიზისმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა მონეტარისტული თეორიის არარეალობაში. 1998 წლის აგვისტოში გამწვავებულმა ფინანსურმა კრიზისმა დაადასტურა გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მონეტარისტული მეთოდების თანმიმდევრული რეალიზაციის შეუძლებლობა და დასავლეთის სახელმწიფოთა ეკონომიკური პოლიტიკის მექანიკურად გადაღების მანკიერება.

საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის გენდენცია, რომელიც 1996-1997 წლებში ჩამოყალიბდა, 1998 წლის დასაწყისშიც გრძელდებოდა პირველი 5 თვის განმავლობაში საბიუჯეტო შემოსავლები თითქმის 50 პროცენტით გაიზარდა. ნაერთი ბიუჯეტით პირველი 5 თვის გეგმა 103,3 პროცენტით შესრულდა, სრულდებოდა საბიუჯეტო დავალიანების გეგმაც, მაგრამ შემდეგ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა 1998 წლის მეორე ნახევარში ძირითადად გამოიკვეთა წარმოების ზრდის ტემპების შენელება, რამაც გამოიწვია წარმოების საშუალო წლიური ზრდის ძალზე დაბალი მაგება. მრეწველობაში დაფიქსირდა წარმოების მოცულობის ვარდნა.¹

ასეთმა მდგომარეობამ დიდად განაპირობა 1998 წლის მეორე ნახევარში ქვეყნის საბიუჯეტო-სავალუტო კრიზისის ჩამოყალიბება და გამწვავება. წინასწარი მონაცემებით 1998 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გეგმა

¹ Теория переходной экономики, авт колл под редакцией Николаевой И., изд "ЮНИТИ-ДАНА". М., 2001, стр 290

შესრულებული იყო მხოლოდ 68 პროცენტით. დაზუსტებული მონაცემებით (ცხრილი 2) ნაერთი ბიუჯეტით შესრულება 86,1 პროცენტს უდრიდა, მაგრამ ეს დეკემბრის ბოლო რიცხვებში მომხდარი დაზუსტებების შედეგია, სახელმწიფო ბიუჯეტით შემოსავლების გეგმის შესრულებამ 81,1 პროცენტი და ნაერთი ბიუჯეტით 91,9 პროცენტი შეადგინა.

როგორც ცნობილია, საბიუჯეტო კრიზისი გრძელდებოდა 1998 წლის შემდეგ წლებშიც. 1999 წლის ნაერთი ბიუჯეტით საბიუჯეტო შემოსავლების გეგმის შესრულებამ მხოლოდ 77,9 პროცენტი შეადგინა, რაც 1998 წლის შესრულებაზე 8,2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია, სახელმწიფო ბიუჯეტით კი საბიუჯეტო შემოსავლების გეგმა შესრულებული იყო 70,5 პროცენტით საბიუჯეტო შემოსავლების გეგმა 2000 წელს ნაერთი ბიუჯეტით შესრულდა 96,2 პროცენტით (919512 ათასი ლარი), სახელმწიფო ბიუჯეტით – 95,7 პროცენტით, 2001 წელს, შესაბამისად, 96,2 პროცენტით, 2002 წელს – 95,5 პროცენტით, 93,6 პროცენტით და 101,4 პროცენტით

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შეუსრულებლობა მოსალოდნელი იყო 2003 წლის შედეგების მიხედვითაც, რის გამოც პარლამენტში შეტანილი იყო საკითხი ბიუჯეტის სექვესტრის შესახებ. 2003 წელს საქართველოში ვერ განხორციელდა საკმარისი ღონისძიებანი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფისა და საბიუჯეტო შემოსავლების გადიდებისათვის. 2003 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის (ცენტრალური ბიუჯეტისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების) შესრულება ნაეარაუდვეი იყო გეგმის დონეზე, მაგრამ ფაქტობრივად კი, ფინანსთა სამინისტროში 2003 წელს მთლიანი შემოსავლის გეგმა 77,3 პროცენტით შესრულდა.

ქვეყნის ფინანსური სისტემის გრანსფორმაციისა და გარდაქმნების გზები და საშუალებები რადიკალურად შეიცვალა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პერიოდში ახალმა ხელისუფლებამ ფინანსური სისტემის რეფორმის ძირითად მიზნად დასახა – ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობდა ეროვნული შემოსავლის ეფექტიან განაწილებას და გადანაწილებას ამით მიიღწეოდა საწარმოო ძალთა განვითარება, ეროვნულ ეკონომიკაში მოქმედი საბაზრო

სტრუქტურების ფორმირება, ცხოვრების დონის ამაღლება, ქვეყნის ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეთა გამოთანაბრება

ქვეყნის ეკონომიკაზე ნეგატიურად მოქმედი ფაქტორების მიუხედავად, 2004 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ნაერთი შემოსავლების და გრანტების მოცულობამ მიაღწია 2 283 მლნ ლარს, ანუ წინა წელთან შედარებით გაიზარდა 63,2 %-ით ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების ხვედრითი წონა მშპ-ის მიმართ 14,2 პროცენტადან 23,3 პროცენტამდე გაიზარდა.¹

ცხრილი 3

2004 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები²

(მლნ ლარი)

	შემოსავლების სახეები	საპროგნოზო დაეალება	ფაქტიური შესრულება	%-ად საპროგნოზო დაეალებასთან	%-ად 2003 წელთან	მშპ-სთან მიმართებაში (ფაქტიური) %-ად
I	შემოსავლები და გრანტები	2216,2	2283,0	103,0	169,2	23,30
II	სულ შემოსავლები	2095,0	2158,3	103,0	165,9	22,02
III	საგადასახადო შემოსავლები	1746,3	1811,2	103,7	150,0	18,48
III 1	საშემოსავლო გადასახადი	244,4	268,6	109,9	175,7	2,74
III.2	მოგების გადასახადი	154,0	161,6	104,9	159,2	1,65
III.3	დღგ	619,9	628,2	101,3	151,3	6,41
III 4	აქციები	166,4	163,8	98,4	154,1	1,67
III.5	საბაჟო გადასახადი	98,0	100,1	102,2	142,4	1,02
III 6	სხვა გადასახადები	124,7	134,1	107,5	104,1	1,37
III 7	არასაგადასახადო შემოსავლები	262,6	274,4	104,5	295,0	2,80
III.8	კაპიტალური შემოსავალი	86,1	72,7	84,5	-	0,74
III.9	სახელმწიფო საუკიფო ფონდები	349,9	371,2	106,1	155,6	3,75
III 10	გრანტები	121,3	124,7	102,8	142,2	12,01

¹ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები

² ცხრილი შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებზე

2004 წელს საგადასახადო შემოსავლების დაეალება შესრულებული იქნა 103,7 %-ით და მიღწეა 2158,3 მლნ ლარს. 2003 წელთან შედარებით გაიზარდა 50 %-ით და მშპ-ის მიმართ გადასახადების წილმა 18,5 % შეადგინა. დიდი წარმატებები იქნა მიღწეული ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის მობილიზაციაში, საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით ზრდამ შეადგინა 9,9 %. საშემოსავლო გადასახადის მობილიზებული მოცულობა წინა წელთან შედარებით 75,7 %-ით გაიზარდა

მოგების გადასახადის სახით ქვეყნის ნაერთ ბიუჯეტში შემოსული სახსრების მოცულობამ 162 მლნ ლარი შეადგინა და გეგმა გადაჭარბებით შესრულდა (104,9 %), ხოლო წინა წელთან შედარებით ზრდამ 59,2 % შეადგინა

დამატებული ღირებულების გადასახადი, რომლის წილი საგადასახადო შემოსავლების საერთო მოცულობაში 34,7 %-ია, ნაერთ ბიუჯეტს მისცა 628,2 მლნ ლარი და გეგმა შესრულდა 101,3 %-ით, ხოლო წინა წელთან შედარებით ზრდის ტემპმა 51,3 % შეადგინა

მიუხედავად იმისა, რომ აქციზის გადასახადის ზრდამ წინა წელთან შედარებით (ფაქტიური) 54,1 % შეადგინა, ს აპროგნოზო მაჩვენებლის მხოლოდ 98,4 %-ს მიღწეა სამაგიეროდ საბაჟო გადასახადის სახით ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 101,8 მლნ ლარი (102,2 %) და 2003 წელთან შედარებით გაიზარდა 42,4 %-ით

არასაგადასახადო შემოსავლებმა (გრანტების ჩათვლით) 274 მლნ ლარს გადაამეტა, წარმატებით შესრულდა საპროგნოზო მონაცემები და 2003 წელთან შედარებით ზრდამ 55,4 % შეადგინა.

სერიოზული წარმატებები იქნა მიღწეული სოციალური დაზღვევის ფონდის შემოსავალში. ფაქტიურმა შესრულებამ 74,9 მლნ ლარი შეადგინა და საპროგნოზო მაჩვენებლის 114,9 %-ია. წინა წელთან შედარებით ზრდის ტემპმა 40,9 % შეადგინა.

| ქვეყანაში განხორციელებული ფისკალური ღონისძიებების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაში მიღწეული ასეთი წარმატებების პარალელურად არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ნაკლოვანებები, რომლებიც ბიუჯეტის შედგენა-შესრულების პროცესს ახასიათებდა.

ნორმალურად ფუნქციონირებად ყველა სახელმწიფოს გამოუმუშავებული აქვს ბიუჯეტის საპროგნოზო პარამეტრების გამოანგარიშების მეცნიერულად დასაბუთებული წესი, რასაც ვერ ვიტყვით ჩვენი ქვეყნის მიმართ 2003 წლამდე ეკონომიკის სამინისტრო ადგენდა ყოველწლიურ ინდიკატურ გეგმებს, რომლებიც საფუძვლად ედებოდა ბიუჯეტის შედგენისას საპროგნოზო მაჩვენებელთა გამოანგარიშებას. თუ როგორი იყო ამ გეგმის მაჩვენებელთა სისტემის ფაქტიური გამოყენება, ეს შედგის ერთი მხარეა, მაგრამ რას მივალწიეთ ინდიკატური გეგმის შედგენაზე უარის თქმით? თუ გეგმის მაკეგი არარეალური იყო, მთავრობას ზომები უნდა მიეღო მათი შედგენის გასაუმჯობესებლად.

რა თქმა უნდა, შედეგმა არ დააყოვნა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2004 წლის ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზირებისას ვერ გაითვალისწინა ახალი ხელისუფლების მიერ განხორციელებული ქმედითი ღონისძიებები, რის გამოც საბიუჯეტო სისტემის რეფორმების სფეროში შემოსავლების დიდი გადაჭარბებით შესრულების შედეგად, იგი იძულებული გახდა ორჯერ მიემართა პარლამენტისათვის და შეეტანა ცვლილებები ბიუჯეტის კანონში (2004 წლის აგვისტოს და დეკემბერში) 310 მლნ ლარის გადაიდების მიზნით

უფრო მეტიც, ქვეყნის პარლამენტმა 2005 წლის ბიუჯეტის პროექტი დაამტკიცა 2004 წლის დეკემბრის თვეში, მაგრამ ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის თებერვალში ბიუჯეტის პროგნოზირების დროს დაშვებული უზუსტობით გაუთვალისწინებელი შემოსავლების მიღების პროგნოზირებით ბიუჯეტის კანონში შემოსავლების 450 მლნ ლარის მოცულობის გადაიდების ცვლილებების შეტანა მოითხოვა.

ეს ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანას ბიუჯეტის შედგენისას ყურადღებები ხარვეზები გააჩნია ამ მიმართულებით საქართველოს აღმასრულებელ ორგანოებს მუშაობის სერიოზულად გარდაქმნა მოუწევს.

ამრიგად, ფინანსურ-საბიუჯეტო სისტემის რეფორმირებითა და გარდაქმნებით მიღწეული წარმატებები სახეზეა. 2004 წელს სახელმწიფოს მიერ მობილიზებულმა შემოსავლებმა პირველად გადააჭარბა ხარჯებს და ბიუჯეტი

პროფიციტული იყო. მიუხედავად ამისა, 2004 წლის ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული დეფიციტის დაფინანსების წყაროები (როგორც საშინაო, ისე საგარეო) მაინც მობილიზებული იქნა.

დეფიციტის ზღერული ოდენობის დაფინანსებისათვის საშინაო წყაროებიდან გათვალისწინებული 25,7 მლნ ლარის ნაცვლად მობილიზებული იქნა 32,8 მლნ ლარი რაც შეეხება ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების საგარეო წყაროებს, ნაცვლად საპროტონომო 158,3 მლნ ლარისა, ფაქტიურად მიღებული იქნა 178,9 მლნ ლარის უცხოური სესხები. რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ უარი ვთქვათ უცხოურ შეღავათიან ფინანსურ დახმარებაზე, მაგრამ საჭირო კი არის, რომ ვერიდოთ სახელმწიფო ვალის სტიმულირებას მართალია, სახელმწიფოს მთლიანმა ვალმა 2004 წლის ბოლოსათვის მშპ-ის 43,9 % შეადგინა, ნაცვლად 2003 წლის 54,4 %-ისა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ვალის მოცულობა კვლავაც მაღალია და სახელმწიფო ბიუჯეტს 2,4-ჯერ აღემატება.

ჩვენი ქვეყნის ახალი ხელისუფლების ავგორიტიტისა და ნდობის ამაღლებით მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და უცხოეთის ქვეყნების მიერ საქართველოსათვის გაცემული ინვესტიციური ხასიათის გრძელვადიანი შეღავათიანი სესხების მოცულობა. პროგნოზირებული 113,8 მლნ ლარის ნაცვლად ქვეყანამ მიიღო 134,5 მლნ ლარის კრედიტი

საქართველოში სერიოზული რეფორმისტული ღონისძიებები განხორციელდა. ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების დაფინანსებაში გამოიყო ძირითადი პრიორიტეტები. ეს უპირველესად შეეხო თავდაცვისუნარიანობისა და უშიშროების განმტკიცებას, აღებული სოციალური ვალდებულებების შესრულებას და ქვეყნის საგარეო და საშინაო ვალის მომსახურებას.

მაშინ, როდესაც 2003 წელს თავდაცვის სფეროს ხარჯების დასაფინანსებლად დაიხარჯა 60,4 მლნ ლარის საბიუჯეტო სახსრები, 2004 წელს ამ მიზნით გადაღებული იქნა 158,7 მლნ ლარი.

საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით 2004 წელს ბიუჯეტიდან გამოიყო 237,4 მლნ ლარის დაფინანსება.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსებას მოხმარდა 147,4 მლნ ლარი მნიშვნელოვანი ასიგნებები (364,3 მლნ ლარი) გამოიყო სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში

განათლების ღონისძიებების დაფინანსებას მოხმარდა 65,3 მლნ ლარის საბიუჯეტო ასიგნებები

ამრიგად, ფინანსური სისტემის სრულყოფისა და რეფორმების მიზანმიმართულად განხორციელების შედეგად რადიკალურად შეიცვალა ქვეყნის ფისკალური პოლიტიკა და მკვეთრად გაუმჯობესდა სახელმწიფო ფინანსების საკვანძო პარამეტრები, რამაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონია ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემაზე, რის გამოც ქვეყანაში სასიკეთოდ შეიცვალა საინვესტიციო პირობები ფულად ბაზარზე არსებითი შემცირებით ხასიათდება საპროცენტო განაკვეთები, რაც უდავოდ პოლიტიკური სტაბილურობისა და რისკების შემცირების შედეგია. ფინანსურ-საბიუჯეტო დისციპლინის განმტკიცებამ ხელისუფლებას საშუალება მისცა მოეპოვებინა როგორც მოსახლეობის, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის ნდობა

II.2. სახელმწიფო ფინანსური სისტემის რეფორმირებისა და ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი მიმართულებები

ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მიზანმიმართული ფორმირებისა და განვითარების წარმართვა სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს სახელმწიფოსაგან თავდაპირველად საქართველოში ეს პროცესი წარიმართა სპონტანურად, თვითღინებით. „ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ მოვლენების რეალური მსვლელობა ისე წარიმართა, რომ დანგრეულ (არარსებულ), უკეთეს შემთხვევაში, ჩამოყალიბებად სახელმწიფოს იმაზე მეტის გაკეთება დაეკისრა რეალურად გარკვეულ პერიოდებში, ვიდრე ეს მოეთხოვება გრადიციული გზით, ევოლუციურად განვითარებადი ქვეყნების მართვაში გამოხრმმედლილ-დახელოვნებულ დემოკრატიულ ხელისუფლებას“¹

¹ შალამბერიძე ხ., საქართველოს ფინანსური სისტემა, თბ., 2002, გვ 30

ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ეკონომიკური გარდაქმნები სწრაფი რეფორმებით უნდა განხორციელდეს, რომელიც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას იწვევს. „დღეს უკვე პრაქტიკით დადასტურდა, რომ „შოკური თერაპიის“ მეთოდს ყველაზე დიდი წარმატება იმ ქვეყნებში მოაქვს, სადაც რეფორმამდელი (უფრო ზუსტად კი „შოკური“) ეკონომიკური მდგომარეობა იმდენად არადაბლაკმაყოფილებელია, რომ მოსახლეობა მზადაა გადაიგანოს ყველაფერი, ოღონდ დაძლეული იქნეს არსებული პრობლემები. ამ შემთხვევაში „შოკის“ უარყოფითი ზეგავლენა ისეა მინიმუმებული, დადებითი შედეგები კი იმდენად შესამჩნევი, რომ ასეთ პირობებში „შოკური თერაპიის“ გამგარებელ რეფორმატორებს რაიმე პოლიტიკური სირთულეები არ ექნებათ ამის საუკეთესო მაგალითად 1994-2005 წლების საქართველო უნდა ჩაითვალოს“¹.

პოსტსოციალისტური ქვეყნები, მათ შორის საქართველო, საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის სიძნელეების დასაძლევად ეკონომიკურ რეფორმებს უფრო ვერ განახორციელებენ. ისინი საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისა (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკი) და ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით სარგებლობენ.

საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების, განსაკუთრებით საერთაშორისო სავალუტო ფონდის, რეკომენდაციით პოსტსოციალისტურ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მოითხოვს ექვსი ტიპის ღონისძიებათა კომპლექსის გატარებას, კერძოდ: მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას, ფასების ლიბერალიზაციას, საწარმოთა რეფორმას, უპირატესად, პრივატიზაციის გზით, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას და ეროვნული ვალუტის მიმდინარე ოპერაციების მიხედვით კონვერტირების მიღწევას, სოციალური დაცვის ქსელის შექმნას და საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციურ-სამართლებრივი სტრუქტურის (და მასში საბაზრო ფინანსური სისტემის) ფორმირებას

¹ *პაპაია ვ.*, პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თსუ, თბ., 2005, გვ. 26-27

ამ ღონისძიებებიდან მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, ფასების ლიბერალიზაცია და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ეროვნული ვალუტის მიმდინარე ოპერაციების მიხედვით კონვერტირების მიღწევა „შოკური თერაპიის“ მეთოდის ძირითადი მომენტებია. დანარჩენი ღონისძიებების რეალიზაცია ხანგრძლივ დროს მოითხოვს.

ამიგომ ცდებიან ის პოლიტიკოსები და ეკონომისტები, რომლებიც ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნების დაჩქარებული ტემპებით განხორციელებას მოითხოვენ ხელისუფლებამ საბაზრო ეკონომიკური ფორმირების საწყის ეტაპზე მთელი ყურადღება უნდა გადაიტანოს ფინანსური სისტემის მართვის სრულყოფაზე, ურომლისოდაც ფუჭ ოცნებად დარჩება მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა

ნებისმიერი ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიზანია ერთიანი სტრატეგიის შემუშავება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეროვნული ეკონომიკის სტაბილური და მდგრადი განვითარება. მან ხელი უნდა შეუწყოს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას, კაპიტალის ფორმირებასა და უმუშევრობის ღონის შემცირებას და შედეგად, განაპირობოს ეკონომიკის რეალური ზრდა, შემოსავლების გადიდება და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილების შესაბამისად, საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით სახელმწიფოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ ისეთნაირად უნდა მართოს ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდება, რომ ხელსაყრელი პირობები შეუქმნას სამამულო წარმოების გამოცოცხლებასა და მისი კონკურენტუნარიანობის განმტკიცებას, მინიმუმამდე შეამციროს სამეწარმეო რისკები და უზრუნველყოს მოსახლეობის ფართო ფენების სოციალურ-ეკონომიკური დაცულობა.

1992-1993 წლების მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ ხელისუფლება აიძულა შეემუშავებინა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა, რომლის განხორციელება დაიწყო 1994 წლიდან. რეფორმის ძირითად მიმართულებად განისაზღვრა ფულად-საკრედიტო და საფინანსო-საბიუჯეტო რგოლების გარდაქმნა.

ქვეყანაში ფინანსური სისტემის რეფორმირებისათვის გასული საუკუნის

90-იანი წლების შუახანებში შეიქმნა კონკრეტულ ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა: ყველა ღონის ბიუჯეტებისა და ბიუჯეტგარეშე ფონდებისათვის ადეკვატური კონცეფციური საფუძვლების შემუშავებას, სახელმწიფო ფინანსების ყველა სეგმენტის ქვეყნის ეკონომიკაზე ზემოქმედების, ფინანსების და საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობის ობიექტურ შეფასებას; სახელმწიფოს აღმასრულებელი ორგანოების მიერ ქვეყანაში განხორციელებული ყველა ფინანსური ოპერაციის დაგეგმვას, შესრულების აღრიცხვასა და ანალიზს, ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურების ფორმირებას და ფუნქციონირების გაუმჯობესებას; ყველა ღონის საბიუჯეტო მექანიზმის გარდაქმნას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტად; ახალი პროექტების ობიექტური შეფასების მიზნით ბუღალტრული და აუდიტორული სტანდარტების შემუშავებას და კადრების მომზადებასა და გადამზადებას

როგორც აღვნიშნეთ, 1994 წელს პირველად შემუშავდა ანტიკრიზისული პროგრამა, რითაც დაიწყო ეკონომიკურ-ფინანსური რეფორმების განხორციელების პროცესი, რომელსაც თან ახლდა სერიოზული შეცდომები და ნაკლოვანებები. იმის გამო, რომ ქვეყანას არ გააჩნდა რეფორმების სფეროში გამოცდილება, კადრების კვალიფიკაცია ელემენტარულად არ პასუხობდა თანამედროვე ცხოვრების პრობლემების აღქმისა და მისი დაძლევის გზების ჩამოყალიბება-განხორციელებას

პოზიტიური პოზიციებიდან უნდა აღინიშნოს წარმატებულად განხორციელებული ფულის რეფორმა, დაჩქარებული ტემპით წარმართა ინფრასტრუქტურის სფეროებში პრივატიზაციის პროცესი, ქვეყანაში პირველად შედგა სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელმაც მოკრძალებული ამოცანები დასახა – ქვეყანაში ელემენტარული ფინანსური დისციპლინის დამყარება, რაც პრაქტიკულად „ვარდების რევოლუციამდე“ მიუღწეველი დარჩა როგორც ზემოთ აღვნიშნა, 1991 წლიდან 2004 წლამდე არცერთი წლის ბიუჯეტი არ შესრულებულა. ამასთან, 1998 წლის კრიზისმა ქვეყანაში ფინანსური მდგომარეობა კატასტროფულად დაძაბა.

საბიუჯეტო კრიზისის გამწვავება იმანაც განაპირობა, რომ ფინანსური

სისტემის ინსტიტუციური მართვა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. ჯერ-ერთი 1996 წლამდე ქვეყნის ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებიდან გამოსული იყო საგადასახადო და საბაჟო სისტემის რგოლები, რომლებიც 1999 წლამდე ისევ შევიდნენ სამინისტროს სისტემაში, მაგრამ 1999 წელს შეიქმნა საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო ეს კი ნამდვილი ანომალია იყო ისედაც პატარა, უნიტარულ სახელმწიფოში ბიუჯეტის მართვა დაკისრებული პქონდა ორ – ფინანსთა და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროებს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა, განხილვა-დამტკიცებაზე, ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში პასუხისმგებლობა დაეკისრა ფინანსთა სამინისტროს, ხოლო შემოსავლების გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი იყო საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო. ფინანსური ურთიერთობის მართვის უსისტემობამ, ფინანსური პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებაში დაშვებულმა დარღვევებმა და სერიოზულმა ნაკლოვანებებმა კიდევ უფრო დაძაბა ქვეყანაში ფინანსური მდგომარეობა.

საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს გაუქმებით შეიქმნა ერთიანი ფინანსთა სამინისტრო, რომელიც უფლებამოსილია სრულყოფილ ქვეყანაში ფინანსების მართვა. არადა, ფინანსების მართვა კომპლექსური ფუნქციონირება, რომელიც სახელმწიფო ფინანსებსა და მის სტრუქტურებს იყენებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა დარგის მართვის ინსტრუმენტებად და ამით ზემოქმედებს მთელს კვლავწარმოებით პროცესზე. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მთავარი ამოცანაა საბიუჯეტო პოლიტიკის მიმართულებების განსაზღვრა

დემოკრატიული საქართველოს წინაშე მდგარი ფინანსურ-საბიუჯეტო პრობლემების აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ ფინანსური სისტემის (მთლიანობაში) რეფორმირებით პირველ რიგში, სრულყოფას ექვემდებარება საბიუჯეტო სისტემა. კარდინალურად შესაცვლელია საბიუჯეტო მოწყობა და ბიუჯეტის შედგენის პრინციპები. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს პროგრამულ დაფინანსებაზე გადასვლას. საბიუჯეტო პოლიტიკის საფუძველზე უნდა შემუშავდეს ისეთი პროგრამები, რომლებშიც მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული ამოცანები და მიზნები და ინდიკატორები. სწორედ პროგრამულ და-

ფინანსებაზე გადასვლა საშუალებას იძლევა ამდღეს ფინანსური მართვის ეფექტიანობა, გაიზარდოს მუშაკთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი, რადიკალურად შეიზღუდოს კორუფციის შესაძლებლობა მთლიანად ფინანსურ სისტემაში

საქართველოში 2004 წლამდე ვერ მოხერხდა გარდატეხის შეტანა ფინანსების სტაბილიზაციისა და ეკონომიკის ზრდის რგოლებში, ამის მიზეზებიდან შეიძლება გამოიყოს „1. საკანონმდებლო და პირველ რიგში აღმასრულებელ ხელისუფლებაში პასუხისმგებლობათა არასწორი გადანაწილება, როცა ბიუჯეტის არმესრულების დროს არაეინ იცის, თუ ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი; 2. მცდარი საკადრო პოლიტიკა; 3. ბიუჯეტის ფორმირების არაპოპულარული, მაგრამ სწორი მეთოდების იგნორირება და პოპულისტური მეთოდების გამოყენება, როგორც შემოსავლების, ისე ხარჯვით ნაწილში. შედეგად ვლუბულობთ გოგალურ კორუფციას“¹

ქვეყნის წინაშე მდგარი უმძიმესი ფინანსური პრობლემების დაძლევისათვის აუცილებელია ფინანსური და ფულად-საკრედიტო სფეროებში მეცნიერულად დასაბუთებული რეფორმების საქმის ცოდნით განხორციელება, პირველ რიგში, სახელმწიფო ფინანსების, საბიუჯეტო-საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა, საგადასახადო შემოსავლების გადიდებისათვის საგადასახადო ბაზის განმტკიცება, რისთვისაც აუცილებელია შეიცვალოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, დაწყებული საბიუჯეტო-საგადასახადო ურთიერთობებიდან და დამთავრებული სახელმწიფო ვალის მართვის სრულყოფით

საბაზრო ეკონომიკა, მაღალი დონის თვითრეგულირებადობის მიუხედავად, მოითხოვს სახელმწიფო ფინანსების ფუნქციონირებას და შეზღუდულ, მაგრამ მიზანმიმართულ ზემოქმედებას საბაზრო ურთიერთობათა სუბიექტებზე, იქნება ეს ცალკეული ინდივიდები, ფირმები თუ სახელმწიფო ორგანიზაციები. თავის მხრივ, ასეთი ზემოქმედება არაეფექტიანი იქნება ფინანსურ ურთიერთობათა განვითარების პროგნოზირებისა და მისი დაგეგმვის მეცნი-

¹ ინტერვიუ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტთან ვლ. პაპავასთან, გამ. „რეზონანსი“, 2000 წლის 19 ივლისი

ერულად დასაბუთებული სისტემის გარეშე

„აღამიანთა ცხოვრების ღონესა და მის ეკონომიკურ პირობებს ყველაზე მეტად სწორედ სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობა განაპირობებს ცუდი ვითარება ამ სფეროში მილიონობით აღამიანის სტაბილურობასა და პერსპექტივას გაუარესებით ემუქრება და პირიქით, მათი პირობების გაუმჯობესება სწორედ სახელმწიფო ფინანსების განმტკიცებაზე უშუალოდ დამოკიდებული“.¹

საქართველოში „თავიდან საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკა შეიქმნა ფაქტობრივად სპონტანურად, კონცეფციური მიდგომების, პრინციპული მიმართულებების წინასწარ სერიოზული მეცნიერული განსჯა-განსაზღვრის გარეშე სახელმწიფოს შენახვის ხარჯები... ჩამოყალიბდა თითქმის სტიქიურად ან (კიდევ უფრო უარესი) სხვადასხვა ლობისტური ძალების შეგავლენით - საქართველოში ჯერჯერობით ვერ შეიქმნა ახლად (ნულიდან) ჩამოყალიბებული მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოსათვის საჭირო მაქსიმალურად სრულყოფილი, ბოლომდე გაამრებული ხარჯების სტრატეგია. ეს კი, თავის მხრივ, აუცილებელი იყო სწორი საგადასახადო პოლიტიკის ჩამოყალიბების, ეკონომიკის გაჯანსაღების და საფინანსო მდგომარეობის მკვეთრად გამოჯანმრთელებისათვის“².

ამერიკელმა მეცნიერ-ეკონომისტებმა – ჯეიმს გვარნიემ, რობერტ ლარონმა და რანდოლ კოლქობმა, პოლონელმა მეცნიერ-ეკონომისტმა, „მოკური თერაპიის“ მამამთავარმა ლემუკ ბალცეროვიჩმა მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში შეისწავლეს ეკონომიკის განვითარების ტემპებზე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და გადასახადების ურთიერთდამოკიდებულების სისტემა მათი აზრით, საჭიროა იმ ხარჯების მინიმუმის დადგენა, რომლითაც დაფინანსდება სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციების განხორციელება, როგორც-ცაა: „საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი და ფიზიკური ინფრასტრუქტურა

¹ ბალცეროვიჩი ლ., სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში, თბ, 2002, გვ 73

² ბასარია რ., „საქართველოში მიმდინარე მძიმე საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისის მიზეზები და მისგან გამოსვლისათვის საჭირო ღონისძიებები კონცეპტუალური მიდგომა“, კრებული „ეკონომისტთა შესამე რესპუბლიკური კონფერენციის მასალები“, თსუ, სოხუმის ფილიალი, 2000, გვ 229

რის“ შექმნა, ქვეყნის თავდაცვა და ა.შ. ეს კი ზრდის სახელმწიფო ხარჯებს და ეკონომიკაზე გარკვეული ფაქტორების უარყოფით ზეგავლენას. მაგალითად, ქვეყანაში თუ იზრდება გადასახადები, მაშინ მცირდება საწარმოთა ფინანსური შესაძლებლობები. ამასთან, სახელმწიფო ხარჯების წილის ზრდა მშპ-თან მიმართებაში აფერხებს ეკონომიკის განვითარებას. „ხარჯების ხვედრითი წილის ყოველი 10 პროცენტული პუნქტით ზრდა 1980-1995 წლებში იწვევდა ეკონომიკის განვითარების 1,15 პუნქტით დაცემას“¹

სახელმწიფო ფინანსების განვითარებასა და სტაბილურობაზე გავლენას ახდენს ორი ძირითადი ფაქტორი ა) სახელმწიფო ხარჯების მოცულობა, მისი ღონის, დინამიკისა და სტრუქტურის თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან ეს უკანასკნელი მაჩვენებელი ჩვენ საშუალებას გვაძლევს მთლიანი შიდა პროდუქტის რა ნაწილის აკუმულაცია ხდება ქვეყნის ცენტრალურ ფონდებში და რა ნაწილი რჩება სამოგადოების წევრებს? როგორია დინამიკა და სტრუქტურა? ბ) სახელმწიფო ხარჯების შეფარდება გადასახადების სიდიდესთან. ლოგიკურად რაც მეტია ხარჯები, მით მეტი გადასახადის მობილიზაციას მოითხოვს სამოგადოება. მაგრამ ეს უკანასკნელი უსაზღვრო არ არის, ამიტომ ხარჯებსა და შემოსაულებს შორის სხვაობა ბიუჯეტის დეფიციტია, რომლის დაფარვის წყაროები ხელისუფლების თავსატეხია.

ფისკალური პოლიტიკა ეხება არა მარტო გადასახადების ამოღებას, არამედ იგი გულისხმობს სახელმწიფო ხარჯების შემცირებასაც ფისკალური პოლიტიკა ხომ ქვეყანაში დასახული მაკროეკონომიკური მიზნების უზრუნველსაყოფად მთავრობის მიერ ხარჯებისა და საშემოსავლო ფუნქციების შეგნებული გამოყენებაა. რეცესიული გარღვევის შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკა თავის შესაძლებლობებზე დაბლა მოქმედებს, წარმოებს გაფართოებული ფისკალური პოლიტიკის განხორციელება. იგი ხორციელდება სახელმწიფო ხარჯების ზრდისა და საგადასახადო განაკვეთების შემცირების ხარჯზე, რასაც მიყვავართ ბიუჯეტის დეფიციტამდე ინფლაციური გარღვევის დასაძლევად გამოიყენება შეზღუდული ფისკალური პოლიტიკა, რომელიც აგებუ-

¹ ბალკეროვიჩი ლ., სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში, თბ., 2002, გვ 73

ლია სამთავრობო ხარჯების შემცირებასა და საგადასახადო განაკვეთების გადიდებაზე რეცესიის დროს მოთხოვნის სტიმულირების, ხოლო გამოცოცხლების დროს – მისი შემზღვევისას, გამოიყენება ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკა, რომ სტიმული მიეცეს ეკონომიკის განვითარებას. ამ შემთხვევაში მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს ბიუჯეტის გეგმური დეფიციტი, თუ ეკონომიკა რეცესიის საფრთხის მოლოდინშია, ან გაითვალისწინოს ბიუჯეტის სიჭარბე – პროფიციტი ეკონომიკური გამოცოცხლების პირობებში

იმისათვის, რომ ქვეყანაში მთავრობის მიერ ეროვნული მეურნეობის მართვაზე ხელშეწყობა ოპტიმალურად წარიმართოს, აუცილებელია აღმასრულებელი ორგანოების წევრებს ერთიანი შეხედულებები გააჩნდეს იმ მიზნის შესახებ, რომლის განხორციელებასაც მთავრობა აპირებს. ეს რთულ არჩევანს მოითხოვს. მხოლოდ ერთეულებს მიაჩნიათ ამკამად, რომ შესაძლებელია წარმატების მიღწევა მხოლოდ ფულის ბუქდვის გზით, თუმცა კვლავ მრავალი ეკონომისტი თვლის, რომ გაცილებით უკეთესია გადასახადებისა და ხარჯების გადიდება, ვიდრე მათი შემცირება „მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს, როგორი, – თუკი საერთოდ უნდა განხორციელოს, – პოლიტიკა უნდა გამოიყენოს ფულის მიწოდების, ასევე სამთავრობო ხარჯებისა და გადასახადების სფეროში და, ასევე, ეკონომიკის რეგულირების როგორ მეთოდებს უნდა მიმართოს“¹

როდესაც ვეხებით სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის ასპექტებს, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ქვეყნის ფისკალურ სისტემაში გადამწყვეტი როლი ენიჭება სახელმწიფო ფინანსებს, მის სტრუქტურულ რგოლებს, რომელშიც გადამწყვეტი სახელმწიფო ბიუჯეტია. სწორედ მისი შემოსავლების სისრულე (შევსების წყაროების ათვისება), უნდა მივიჩნიოთ ეროვნული ეკონომიკური პოტენციალის ლაიგმოტივად, სახელმწიფოს ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მდგომარეობის საფუძვლად. არადა, სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით ხელისუფლება გავლენას ახდენს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე, ტერიტორიული, სოციალური და დარგთაშორისი პრო-

¹ *ლუკასი რ.*, საბაზრო ეკონომიკა, თბ., ფსგ, 1997, გვ 185

პორციების წონასწორობაზე, ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადანაწილებაზე, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევათა დანერგვასა და, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის ტემპების სტაბილური ბაზის ჩამოყალიბებას.

ნორმალურად განვითარებად ქვეყანაში ფინანსური სისტემის საბიუჯეტო ქვესისტემა მოწოდებულია შეასრულოს ეროვნული ეკონომიკის რეგულირების მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომ მომავალში წარმოების განვითარებით დამატებითი ფინანსური რესურსები იქნეს ბიუჯეტის შემოსავლებში მიმართული სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით წარმოებს ცენტრალიზებულ ფონდებში რესურსების მობილიზაცია და მათი გადანაწილება დარგებს შორის, რეგიონებს შორის და სოციალური ღონისძიებების დასაფინანსებლად

ამრიგად, სახელმწიფო ბიუჯეტი და მთლიანად სახელმწიფო ფინანსების საბიუჯეტო რგოლი მოწოდებულია სახელმწიფო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების შესრულებისათვის უზრუნველყოს აუცილებელი ფულადი რესურსებით ხოლო „სახელმწიფო ფინანსების ეკონომიკური შინაარსი – ეს არის ფულადი ურთიერთობანი მთლიანი ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული სიმდიდრის ნაწილის განაწილებისა და გადანაწილების მიზნით, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს ფინანსური რესურსების ფორმირებასა და ხელისუფლების მიერ ამ რესურსების გამოყენებასთან დასახული ფუნქციებისა და პროგრამების დაფინანსების უზრუნველსაყოფად“¹.

სახელმწიფო ბიუჯეტში თავმოყრილია ურთიერთდაკავშირებული საფინანსო ინსტიტუტები – შემოსავლები, ხარჯები და სახელმწიფო კრედიტი.

„ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ სერიოზული განაცხადი გააკეთა ქვეყნის დემოკრატიზაციის გზაზე ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევის ურთულესი პრობლემების გადაწყვეტაში.

2004 წელი მიჩნეული უნდა იქნეს ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების წარმატებით განხორციელების საწყის ეტაპად. საქართველოში მიმდინარე სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმები, საქმი-

¹ *აკულია რ.*, ფინანსების თეორია, თბ., 2004, გვ 127

ანი აქტივობის ლეგალიზაცია და ეროვნულ ეკონომიკაში სახელმწიფოს ადგილისა და როლის გაძლიერებისა, კენ გადადგმული გადაწყვეტი ნაბიჯები მეურნეობის ყველა სფეროში მნიშვნელოვანი მიღწევების საფუძველი გახდა.

კონტრაბანდის შეზღუდვა, საგადასახადო აღმინისკრირების გამკაცრება, ნავთობის საერთაშორისო ფასების მრდა, მოუსავლიანობა-მოხმარების საგნებისა და მომსახურების ფასების მრდას განაპირობებდა, რაც, თავის მხრივ, საყოველთაო რეფორმების მიღწევების ფონზე რამდენაღმე ანომალიურ მოვლენებს ასტიმულირებდა. თუმცა, ფინანსური სისტემა ახალი ხელისუფლების მიერ განხორციელებული ქმედითი ღონისძიებების შედეგად (ძველი ხელისუფლების უსისხლოდ განდევნა, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სეპარატისტული ხელმძღვანელობის საბოლოოდ დამარცხება, პენსიების გაორმაგება, შეურიგებელი ბრძოლა კორუფციისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის რადიკალურად განმტკიცება და მრავალი სხვა ღონისძიება) სტაბილურ წარმატებებს აღწევდა.

ფინანსური სისტემის სრულყოფისა და რეფორმირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში – საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, რომელიც ქვეყნის პარლამენტმა მიიღო 2003 წლის 24 აპრილს, ჩაწერილია: „ბიუჯეტი – საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სახელმწიფო სპეციალური ფონდების შემოსულობების, აგრეთვე მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახადების ნუსხაა, რომლებიც დამტკიცებულია ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი დონეების მიერ“¹

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონმა, რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 1 იანვრიდან, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ქვეყნის საბიუჯეტო მოწყობაში. ამ კანონმა სერიოზულად წააწია წინ საბიუჯეტო სისტემაში რეფორმირების პროცესი

¹ საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, 2003 წლის 24 აპრილი

საბიუჯეტო რეფორმის პოზიციიდან დაისახა საბიუჯეტო მოწყობის კარდინალური სრულყოფა, შემცირდა საბიუჯეტო ორგანიზაციების რიცხვნობა, გაიზარდა საბიუჯეტო დაწესებულებების დამოუკიდებლობა მათი ფუნქციონირების პოლიტიკისა და მიმართულებების განსაზღვრაში შეიყვალა საბიუჯეტო დაფინანსების მეთოდიკა, დაიწყო პროგრამულ და, ღონისძიებების მიხედვით, დაფინანსებაზე გადასვლა, რაც ქვეყანას უმნიშვნელოვანეს დადებით შედეგებს მისცემს საბიუჯეტო ხარჯების მიზნობრიობისა და ეფექტიანობის ღონის ამაღლების საქმეში.

ახალი კანონის ძალით შემოღებული იქნა უფრო დაკონკრეტებული და ოპტიმალური საბიუჯეტო კალენდარი, ახლებურად განისაზღვრა ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების პროცედურები და წესები. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ყოველკვარტალურად წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალურ საგეგმო-საპროგნოზო პარამეტრების შესრულების ანგარიშს. ამ კანონმა სავალდებულო გახადა 2004 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტში აისახოს საბიუჯეტო პროცესში მონაწილე ყველა საბიუჯეტო დაწესებულებისა და ორგანიზაციის შემოსავლები, ხოლო 2004 წლის აპრილიდან ამიერიდან ბიუჯეტის ყველა შემოსავალი ჩაირიცხება სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე და მოხმარდება ყოველწლიური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული პროგრამული ღონისძიებების დაფინანსებას. ეი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციას სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლები მის განკარგულებაში არ ურჩება. ამით გაუქმდა ე.წ. „სპეცსახსრები“, რასაც მოჰყვა სახაზინო სამსახურში საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეციალური შემოსავლების ანგარიშის დახურვა და ამ ანგარიშზე რიცხული ფულადი ნაშთები გადაირიცხა და აისახა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ანგარიშზე. ამ ღონისძიებებით საბიუჯეტო ორგანიზაციებს მოესპო დამატებით მიღებული შემოსავლების უყაირათო და კანონსაწინააღმდეგო ხარჯვის უფლება

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ კანონიდან ამოღებული იქნა „დაცული“ მუხლების დებულება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ბიუჯეტის ყველა ხარჯი თანაბარპრიორიტეტულია. ამასთან, შეიყვალა „სეკვისტ-

რის“ მექანიზმი და მის ნაცვლად ამოქმედდა ისეთი მექანიზმები, როგორცაა ბიუჯეტის შესრულების ყოველკვარტალური ანგარიშების წარდგენა პარლამენტში, როდესაც მთავრობის შესაბამისი წინადადებების განხილვის საფუძველზე მოხდება დამტკიცებული ბიუჯეტის პარამეტრების ცვლილება მათი შემცირების ან გაზრდის გზით

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში და, შესაბამისად, ხარჯებში აღარ აისახება საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკუთარი შემოსავლები ისინი ასახვას პპოვებს საბანკო დაწესებულებებში. ასევე, ცვლილებები განიცადა ამ ორგანიზაციების ბიუჯეტიდან დაფინანსების პრინციპმა – ფინანსთა სამინისტრო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ასიგნებებს გამოუყოფს მხარჯავ დაწესებულებას, რომელიც, თავის მხრივ, დააფინანსებს ცალკეული პროგრამის ან ღონისძიების განმახორციელებელ, მის კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. ყოველივე ამან შეცვალა სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციული სტრუქტურა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ნაცვლად ბიუჯეტის ორგანიზაციულ სტრუქტურაში მოცემულია ესა თუ ის პროგრამა ან ღონისძიება, რომელიც ითვალისწინებს ქვეყანაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2001 წლის კლასიფიკაციის დაწერგვას

2004 წლის 5 აპრილიდან განხორციელდა უმნიშვნელოვანესი რეფორმა, რომლის შესაბამისადაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ეროვნულ ბანკში და მის ფილიალებში დაიხურა შემოსავლების 12500-მდე საგრანზიტო ანგარიში და გავლენა იქონია საფინანსო რესურსების ოპერატიულ მართვაზე და ქვეყნის საფინანსო სფეროში მოაქცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერიგორიაზე მობილიზებული ყველა საბიუჯეტო სახსრები, რამაც საფუძველი დაულო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგიონალური ხაზინის შექმნას და ქვეყანაში ერთიანი საფინანსო წესრიგის დამყარებას

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2004 წელს სრულყოფილად ამოქმედდა სახელმწიფო ხაზინაში ვალდებულებათა აღრიცხვის სისტემა, რომელმაც უდიდესი შედეგი გამოიღო არარეალური დავალიანებების წარმოშობის შემცირების კუთხით.

2004 წელს, წინა წლებისგან განსხვავებით, როდესაც პერმანენტულ ხასიათს იღებდა ბიუჯეტის კანონის შემოსავლებისა და ხარჯების შემცირება (ეწ. სეკვესტრი), განხორციელდა არა მარტო სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით თავდაპირველად დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლების შესრულება, არამედ წლის მიმდინარეობისას საქართველში პრეზიდენტმა და მთავრობამ საქართველოს პარლამენტს ორჯერ მიმართა წინადადებით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და გადასახადების გაზრდის თაობაზე. „საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გასაწევი ხარჯების მოცულობა გაზრდილი იქნა დაახლოებით 330,0 მლნ ლარით, მათ შორის, 230,0 მლნ ლარით აგვისტოს თვეში და 100,0 მლნ ლარით დეკემბრის თვეში აღნიშნული პირველ რიგში შესაძლებელი გახდა ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებით, რაც ძირითადად გამოიხატა საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციაში აღმინისტრირების დონის მკვეთრი გაუმჯობესებითა და კონგრატანდის მნიშვნელოვანი შემცირებით ასევე, მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული გასული წლის 21 ივლისს პარიზის კლუბში კრედიტორ ქვეყნებთან მოლაპარაკებისას, სადაც მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება საქართველოს ორმხრივი საგარეო ვალების რესტრუქტურირებისასთან დაკავშირებით.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ 2004 წლის დასაწყისიდან ფინანსურ სფეროში განხორციელებული რეფორმის შესაბამისად, რომლითაც მთელი ქვეყნის მასშტაბით საქართველოს ეროვნულ ბანკში დაიხურა 12500-ზე მეტი სატრანზიტო ანგარიში და გაიხსნა ხაზინაში ერთიანი ანგარიში ამით ქვეყანაში დამყარდა ერთიანი, ყოვლისმომცველი საფინანსო წესრიგი, რამაც არსებითი გავლენა იქონია ფინანსური რესურსების ოპერატიულ მართვაზე და ქვეყნის ერთიან ფინანსურ ფონდში – სახელმწიფო ბიუჯეტში მოაქცია მთელს ტერიტორიაზე მობილიზებული სახელმწიფო სახსრები

ამრიგად, ფინანსური წესრიგი და საგადასახადო აღმინისტრირების განხორციელება გახდა ქვეყნის ხელისუფლებისა და ხალხის ნება საქართველოს ხაზინის მეშვეობით 2004 წელს პირველად 15 წლის მანძილზე სრულად და-

ფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული ყველა ვალდებულება უფრო მეტიც, ფინანსური სისტემის რეფორმირებამ საფუძველი ჩაუყარა საბიუჯეტო შემოსავლების გაორმაგებას, რომელმაც ქვეყანას მისცა საშუალება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გასაწვეი ხარჯების მოცულობა 330 მლნ ლარით გაეზარდა.

2004 წელს ქვეყანაში გატარებული ფინანსური რეფორმების კვალობაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაცია-დაწესებულებებში დასაქმებულ მუშაკთა ხელფასები, რის საფუძველზეც 2005 წლისათვის შესაძლებელი გახდებდა მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდა.

2004 წელს თითქმის 3-ჯერ გაიზარდა ქვეყნისათვის ისეთი პრიორიტეტული სფეროს დაფინანსება, როგორცაა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. გაიზარდა სამართალდამცავი უწყებების დაფინანსება.

2004 წელს მნიშვნელოვანი თანხები იქნა მიმართული წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დეფიციტების დასაფარავად. სულ ქვეყნის მასშტაბით გასტუმრებული იქნა დაახლოებით 254,9 მლნ ლარის დეფიციტები. მათ შორის, 217,2 მლნ ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან და 37,7 მლნ ლარი გერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თანხებიდან პენსიების გაცემაში წინა წლებში წარმოქმნილი დეფიციტების დასაფარავად მიიმართა 87,9 მლნ ლარი 2004 წელს დეფიციტების დაფარვის კუთხით გატარებული ღონისძიებების კვალობაზე მნიშვნელოვანი თანხები იქნა გათვალისწინებული 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, რაც საშუალებას იძლევა უკვე 2005 წელს სრულად იქნეს დაფარული სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე არსებული დეფიციტები.

2004 წელს არა მარტო სრულად იქნა დაფინანსებული ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული ქვეყნის საგარეო ვალდებულებების მომსახურების ხარჯები, არამედ გასტუმრებული იქნა წინა წლებში საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე არსებული დეფიციტები, რომელთა არსებობაც საფრთხის წინაშე აყენებდა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის

მოთხოვნებიდან გამომდინარე, 2004 წლის განმავლობაში მიღებულ იქნა მთელი რიგი ნორმატიული აქტები, რომლებმაც ქვეყანაში შესაძლებლობა მისცა სრულყოფილად განხორციელებინა კანონის მოთხოვნები, კერძოდ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2004 წლის 23 იანვრის №29 ბრძანების შესაბამისად, მოხდა საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეცსახსრების ანგარიშებზე რიცხული ნაშთების დაზუსტება. საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეცსახსრების ანგარიშზე რიცხული ნაშთების საბაზინო სამსახურის მონაცემებთან შედარების შემდგომ, საბიუჯეტო ორგანიზაციების წერილობითი დასტურისა და საგადახლო დაეალების საფუძველზე მოხდა საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეცსახსრების ანგარიშზე 2004 წლის 1 იანვრისათვის რიცხული ნაშთების სხვა არასაგადასახადო შემოსავლების ანგარიშზე ჩარიცხვა, ხოლო 2004 წელს სპეცსახსრების ანგარიშზე ჩარიცხული შემოსავლების კი, ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლების შესაბამის ანგარიშებზე გადატანა

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის და „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად, 2004 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2004 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №571 „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე. ინსტრუქციაში განხორციელებულმა ცვლილებებმა, რომლის მიხედვითაც ვალდებულებებისა და დამოწმების მექანიზმი გავრცელდა სახელმწიფო ფონდებზეც, კიდევ უფრო ეფექტიანი და მოქნილი გახდა აღნიშნული მექანიზმის მოქმედება და ხელი შეუწყო საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

2004 წელს განხორციელდა სახელმწიფო ფინანსების მართვის მნიშვნელოვანი რეფორმა, რომლის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლის მოქნილი და გამჭვირვალე მექანიზმის შექმნა. „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში და საგადასახადო და საბაჟო კოდექსებში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად,

2004 წლის 5 აპრილიდან, საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მიერ მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების არაუმეტეს 3%-ის ფარგლებში, შეიქმნა ზედმეტად გადახდილი საგადასახადო შემოსავლის დაბრუნების ქვეანგარიშები საგადასახადო და საბაჟო კუთხით. ამასთან, ქვეანგარიშებზე აკუმულირებული თანხები არ აისახება ბიუჯეტის მიმდინარე შემოსავლებში და გამოიყენება საგადასახადო ან საბაჟო კუთხით წარმოქმნილი ე.წ. ზედმეტობების აღმოსაფხვრელად. საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხების გადამხედლებისათვის დაბრუნების მოქნილი მექანიზმით მნიშვნელოვნად ამაღლდა როგორც გადამხდელი იურიდიული პირების, ასევე, ფიზიკური პირების ნდობის ხარისხი ხელისუფლებისადმი

ქვეყანაში გატარებულმა ფინანსური სისტემის რეფორმებმა და საგადასახადო აღმინისგრიების გაძლიერებამ თავისი შედეგები გამოიღო, წარმატებით შესრულდა ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს ხელისუფლებასთან აღადგინა სახელშეკრულებო ურთიერთობა და „პარიზის“ კლუბის მეშვეობით კრედიტორ ქვეყნებთან მიღწეული იქნა ორმხრივი საგარეო ვალების რესტრუქტურისა და ხელშეკრულებების გაფორმება

ფინანსური სისტემის სრულყოფის და რეფორმირების ერთ-ერთი მთავარი საგადასახადო სფეროა. 2004 წელს მიღებული იქნა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც პოსტსოციალისტურ სივრცეში ყველაზე ლიბერალურ კოდექსად არის მიჩნეული, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული ეკონომიკის აღმავლობას და ოპტიმალური საინვესტიციო კლიმატის შექმნას.

ქვეყნის საგადასახადო სისტემის რეფორმირება შეეხო საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და განვითარების ეტაპებს, საგადასახადო პოლიტიკის გატარების შედეგად მისაღები მაღალი ფისკალურ ეფექტს, გადასახადების მასტიმულირებელი ფუნქციების გაფართოების ღონისძიებებს და სხვა სისტემის რეფორმების სრულყოფისა და გაღრმავების საკითხებს

იმის გამო, რომ ქვეყანას არ გააჩნდა დამოუკიდებელი საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და საბიუჯეტო-საგადასახადო საქმიანობის არანაირი გამოცდილება, ხელისუფლებამ კურსი აიღო ისეთი საგადასახადო სისტე-

მის ფორმირებისკენ, რომელიც ასე თუ ისე უპასუხებდა საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილებებს.

პირველად, 1993 წელს მიღებული იქნა საგადასახადო კანონმდებლობის პაკეტი, რომლის დანიშნულება იყო ფისკალური ეფექტიანობის ამაღლება და ეროვნული ეკონომიკის აღორძინების სტიმულირება. ამ მხრივ სერიოზულ ინტერესს იწვევდა შემდეგი კანონები. „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“, „სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ“, „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) შესახებ“, „ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესახებ“ სწორედ ამ კანონმა სერიოზული როლი შეასრულეს ქვეყნის საგადასახადო სისტემის ფორმირება-განვითარების საქმეში ქვეყანაში შემოღებული იქნა: დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, საწარმოთა შემოსავალზე (მოგებაზე) გადასახადი, საწარმოთა ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი.

1992 წელს „სოციალისტური სისტემის“ ბრუნვის გადასახადი შეცვლილი იქნა დამატებული ღირებულების გადასახადით. ამას წინ უძღოდა გაყიდვის გადასახადის შემოღება, რომელმაც ვერ გაამართლა და გაუქმდა. დღეს განაკვეთი დაწესდა 28 %-ის ოდენობით, რაც მძიმე გვირგვინად აწვევოდა როგორც ბიზნესს, ისე მომხმარებელს როგორც ერთი, ისე მეორე ცდილობდა ხელი შეეწყო ფარული გარიგებებისადმი, რაც გადასახადის არიდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხერხი იყო ამას ისიც დაემატა, რომ ხელისუფლებამ შემოიღო მრავალნაირი შეღავათები, რომელიც გადასახადებისაგან თავის არიდების საშუალებად გადაიქცა, არადა მთელი საგადასახადო შემოსავლების 30 % დღე-მე მოდიოდა

მიღებული საგადასახადო სისტემის ფორმირებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადასახადი იყო აქციზური გადასახადი ამ გადასახადის მეშვეობით ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტში ყველაზე დიდი შემოსავალი სიგარეტს, ნაფთობპროდუქტებს და ღვინოს მოჰქონდა. საქართველოში ამ პერიოდისათვის წარმოებული საქონლიდან აქციზის გადასახადმა შეადგინა ერთობლივი პროდუქტის 0,2 პროცენტი, რომელთაგან 60 პროცენტზე მეტი ღვინოზე მოდიოდა;

ჩაის წარმოების მოცულობის შემცირების გამო, მასზე აქციზის განაკვეთები თანდათანობით შემცირდა.¹

საგადასახადო დაბეგერის სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო გადასახადი საწარმოთა შემოსავალზე (მოგებაზე), რომლითაც იბეგრებოდა ყველა სამეურნეო სუბიექტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობა მოგების გადასახადით დაბეგერის შესახებ გაცილებით პროგრესული და ეფექტიანი იყო ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიმართულებით, ვიდრე დღეისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსი. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ მოგების გადასახადის განაკვეთი დადგენილი იყო 20 პროცენტის ოდენობით, ხოლო სამრეწველო და სამშენებლო საწარმოებისათვის შემცირებული იყო 10 პროცენტით, ბანკების, საკრედიტო დაწესებულებებისა და საღაზღვევო კომპანიებისათვის იგი შეადგენდა 35 პროცენტს ასეთი მიდგომა უზრუნველყოფდა ეროვნული ეკონომიკის ინტერესების დაცვას, თუმცა, როგორც შემოთ ვნახავთ, აღნიშნული მოდელი შემდგომში შეიცვალა ეროვნული ეკონომიკის საზიანოდ. არ შეიძლება არ აღინიშნოს მოგების გადასახადის კიდევ ერთი უპირატესობა დღეისათვის მოქმედ კანონთან შედარებით, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ახლად შექმნილი ყველა საწარმო სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში თავისუფლდება მოგების გადასახადისაგან, ხოლო მომდევნო ორი წლის განმავლობაში გადასახადის განაკვეთი მათ 50 პროცენტით უმცირდებათ.

საგადასახადო სისტემის ეფექტიანობაზე ნეგატიურად მოქმედებდა საბიუჯეტო შემოსავლების მანკიერი აღრიცხვა-ანალიზი. უმწვავესი ინფლაციური და პიპერინფლაციური მოვლენები ფაქტობრივად გაუთვალისწინებელი იყო. ყოველივე ამის შედეგად დიდი იყო დეფიციტის მოცულობა, რომელიც ხშირად 50 %-ს აღემატებოდა, რაც საშუალებას არ იძლეოდა ქვეყანას კანონიერი დამტკიცებული ბიუჯეტი ჰქონოდა.

¹ *მესხია ა.*, საგადასახადო პოლიტიკის ფორმირების პრობლემები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, ქ „ეკონომიკა“, 1995, № 10-12, გვ 6

იმის გამო, რომ სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული საწარმოები არ ფუნქციონირებდნენ, ბუნებრივია, მკვეთრად დაეცა ბიუჯეტის შემოსავლები

საგადასახადო სისტემის დაბალი ფისკალური ეფექტიანობის ერთ-ერთი მიზეზი იყო მოქმედი საგადასახადო შეღავათების არასწორი სისტემა, რომელმაც ფართო გასაქანი მისცა ეკონომიკის კრიმინალიზაციას გარდა ამისა, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციამ, რომელიც განხორციელდა იერიშული წესით და არ იქნა გათვალისწინებული ქვეყნის საზღვრების დაუცველობის ფაქტორი, გამოიწვია ვაჭრობიდან საბაჟო შემოსავლების „გაქრობა“. ყოველივე ამისა და სხვა ნეგატიური ფაქტორების შედეგად საქართველო, გარდამავალი ეკონომიკის სხვა ქვეყნებთან შედარებით, საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის მხრივ უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა მაგალითად, 1993 წელს რუსეთის მთლიან შიდა პროდუქტში ბიუჯეტის შემოსავლების ხვედრითი წილი შეადგენდა 16,7 პროცენტს, ესტონეთში – 34,5 %-ს, სომხეთში – 26,7 %-ს, ბულგარეთში – 38,3 %-ს, ხოლო საქართველოში იგი არ აღემატებოდა 12 პროცენტს.¹

საგადასახადო სისტემის დაბალი ფისკალური ეფექტის მთავარი მიზეზი, მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობასთან ერთად, როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, იყო აგრეთვე ის, რომ რევოლუციის პირველ წლებში საბიუჯეტო პოლიტიკა ფაქტობრივად ჩამოყალიბდა სპონტანურად, კონცეფციური მიდგომების, პრინციპული მიმართულებების წინასწარი მეცნიერული განსაზღვრის გარეშე. სახელმწიფოს შენახვის ხარჯები როგორც მთლიანად, ისე ცალკეულ სახეებში განისაზღვრა თითქმის სტიქიურად ან სხვადასხვა ლობისტური ჯგუფების ზეგავლენით.²

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ, მიუხედავად საგადასახადო სისტემის ფორმირებაში დაშვებული მთელი რიგი შეცდომებისა და დაბალი ფის-

¹ საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები

² ბასარია რ., ბასარია ვ., სრულყოფილი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებისათვის, სამეცნიერო კრებულში „გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში, ტომი 2, თბ., ფსკი, 1998, გვ 105

კალური ეფექტისა, 1991-1994 წლებში ჩამოყალიბებულმა ქვეყნის დამოუკიდებელმა საგადასახადო სისტემამ მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმით, რომ საფუძველი ჩაუყარა დაბეგერის საკანონმდებლო სისტემას, რომელმაც სამეურნეო სუბიექტების საქმიანობა დაუქვემდებარა საგადასახადო მოთხოვნებს და ხელი შეუწყო ქვეყნის დამოუკიდებელი საგადასახადო ორგანოების ფორმირება-განვითარებას

როგორც აღინიშნა, 1994 წელს ამოქმედდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით შემუშავებული მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური რეფორმების რამდენიმე დაჩქარებას. უარყოფილი იქნა ეწ „ლიბერალური“ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელმაც ქვეყანაში ინფლაციურ და ჰიპერინფლაციურ პროცესებს შეუწყო ხელი ამასთან, დაიწყო კომერციული ბანკების აქციონირება, სტრატეგიული დანიშნულების პროდუქციაზე ფასები მიუახლოვდა საერთაშორისო დონეს რამაც განამტკიცა კუპონის გასაცვლელი კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში, ხოლო შემდგომ შემოღებულ იქნა ეროვნული ვალუტა – ლარი ყოველივე ამან შექმნა ხელსაყრელი პირობები სახელმწიფო საფინანსო-საკრედიტო სისტემაში წესრიგის დამყარების მიმართულებით. უმნიშვნელოვანეს დადებით მომენტად უნდა ჩაითვალოს 1995 წლის დასაწყისში პარლამენტის მიერ რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცება, რომელშიც შემოსავლების ნახევარი უნდა დაფარულიყო ხორბლისა და ფქვილის მონეტარიზაციით მიღებული შემოსავლებით

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მონაწილეობით 1997 წელს საფუძველი ჩაუყარა საგადასახადო კოდექსის შედგენას, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა შემდეგი ძირითადი ამოცანები: ხელი შეეწყო ეროვნული ეკონომიკის აღორძინებასა და კრიზისული მოვლენების ალაგმვამზე; უზრუნველყო ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი გადიდება, განემტკიცებინა საგადასახადო ადმინისტრირების დონე და ა.შ. ამასთან, საგადასახადო კოდექსის მეშვეობით უნდა მოგვეხდინა: გადასახადის ამოღების წესების უნიფიცირება, ორმაგი დაბეგერის თავიდან აცილება, საგადასახადო გვირგვინის განაწილება-

გაღანაწილებამი სოციალური სამართლიანობის დაცვა, საგადასახადო განაკვეთების სტაბილურობა, გადასახადების სიმარტივე და გამოთვლის სიუხადე

საგადასახადო კოდექსის მიღებით ქვეყანამი უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება განხორციელდა, ჯერ ერთი, საკანონმდებლო სტატუსი მიეცა გადასახადების დაწესებისა და გაუქმების წესებს, გადახდეინების პრინციპებს, ფორმებსა და მეთოდებს, მეორე, განისაზღვრა საგადასახადო მმართველობის ფორმირებისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების მეთოდური საფუძვლები, ცალ-ცალკე დაფიქსირდა საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადების სახეები, ჩამოყალიბდა გადასახადების ამოღების ადმინისტრირების წესები და მესამე, განისაზღვრა საგადასახადო სამსახურების სტატუსი, სტრუქტურა.

ამასთან, საგადასახადო კოდექსმა მაინც ვერ უზრუნველყო მის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით შესრულება კოდექსმა გამარტივების ნაცელად, გაართულა საგადასახადო საქმე და ვერ მოგვცა ხელშესახები ეკონომიკური ეფექტიანობა. ნაცელად შემცირებისა, საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების რიცხოვნობა გაიზარდა 11-მდე, ხოლო ადგილობრივი გადასახადები – 6-მდე ვერ მოხერხდა გადასახადის გადამხდელთა იდენტიფირება, სრულყოფილი სადეკლარაციო მექანიზმის დანერგვა, საგადასახადო კულტურის ამაღლება.

საყურადღებოა, რომ საგადასახადო სისტემის სრულყოფამი ქვეყანას მნიშვნელოვან დახმარებას უწედა და უწევს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები საგადასახადო სისტემის რეფორმის მიზნით, აშშ-ის მთავრობასთან მჭიდრო კავშირში 2000 წლიდან გარდაქმნები ითვალისწინებდა შემდეგ ძირითად მიმართულებებს: სისტემის რეორგანიზაციას, საგადასახადო სისტემის კომპიუტერიზაციას, შიდა კონტროლის ინსტიტუციურ მოწყობას, საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფასა და გადამხდელთა რეფორმას.

ამ მიმართულებით უკვე განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები, კერძოდ: შეიქმნა საგადასახადო ორგანოების საოლქო და მონალური ინსპექციები, ქთბილისის საგადასახადო სამსახური და გაუქმდა საოლქო სამსახურები.

საგადასახადო სისტემის რეფორმირების საქმეში წინგადადგმული ნაბიჯია ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2005 წლის 1 იანვრიდან. კოდექსის სიახლეებია: საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების დაყვანა ხუთამდე – სამემოსელო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, სოციალური გადასახადი.

ადგილობრივ გადასახადებს განეკუთვნება: ქონების გადასახადი და სათამაშო ბიზნესის გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთი ნაცვლად 20 %-ისა, დაყვანილი იქნა 18 %-მდე, ასევე შემცირდა სოციალური გადასახადის განაკვეთი, სამემოსელო გადასახადის განაკვეთი დაყვანილი იქნა 12 %-მდე.

ისმის კითხვა: ახალმა საგადასახადო კოდექსმა რამდენად შეუწყო ხელი მეწარმეობის განვითარებას? სამწუხაროდ, დადებითი შედეგები უმნიშვნელოა. განსაკუთრებით სირთულეები აქვთ მუშაობაში მცირე მეწარმეებს მაგალითად, ძველი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული იყო, რომ მცირე საწარმოს (100 ათ. ლარამდე ბრუნვის პირობებში) 5 %-იანი ბრუნვიდან უნდა გადაეხადა გადასახადი, მაგრამ ახალმა საგადასახადო კოდექსმა მცირე მეწარმეებს ეს შეღავათი გაუქმა და ისევ და იმავე განაკვეთით უნდა გადაიხადოს აბსოლუტურად ყველა გადამხედელმა, როგორც ამას იხდის მსხვილი ბიზნესმენი

ისმის კითხვა როგორი გავლენა მოახდინა რეფორმირებით მიღწეულმა შედეგებმა ეკონომიკის განვითარებაზე? პასუხი ცალსახაა. ფინანსური სისტემის გარდაქმნებმა, 2004 წელს განხორციელებულმა სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმების შედეგად მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის ტემპმა 8,4 % შეადგინა, მისმა მოცულობამ 9,8 მილიარდ ლარს გადაამეტა¹

ამასთან, უკანასკნელ პერიოდში ფასების სტაბილურობის შენარჩუნება სერიოზულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ინფლაციურ ფონს ქმნიდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ფაქტორები. ვასაკუთრებით მნიშვნელოვანი

¹ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები

იყო „ევარდების რევოლუციის“ შედეგად ახალი მთავრობის მიერ დაწყებული ეკონომიკის ლეგალიზაციის პროცესი და საერთაშორისო ბაზარზე ენერჯო-მაგარებელზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა. მიუხედავად ამისა, 2004 წლის განმავლობაში სამომხმარებლო ფასების ინდექსი 7,5%-ით გაიზარდა, ამასთან, საშუალო წლიურმა ინფლაციამ მხოლოდ 5,7% შეადგინა საბაზო ინფლაციის დაბალი ზრდის გეგმი განპირობებული იყო ქვეყანაში მომხდარი გარდაქმნებით და სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკით ამასთან, ეროვნული ვალუტის – ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ ზომიერად გამყარდა.

მიუხედავად იმისა, რომ შენარჩუნებული იქნა ინფლაციის დაბალი გეგმი, მთელი რიგი სამამულო ნაწარმისა და მომსახურების ფასები (გარიფები) იზრდება, რაც კიდევ უფრო აუარესებს მოსახლეობის ფართო მასების ცხოვრების დონეს

ზოგიერთი სახის საქონლისა და მომსახურების ფასების მკვეთრი ზრდა განაპირობა ისეთმა ფაქტორებმაც, როგორცაა:

1 საქმიანი აქტივობის ლეგალიზაციის პროცესი, რაც ჩრდილოვანი ეკონომიკის შემლუღვითა და კონტრაბანდის მოცულობის მკვეთრი შემცირებით გამოიხატა;

2. იმპორტული საქონლის ეფექტიანი დაბეგერის შედეგად საბაჟო გადასახადების მნიშვნელოვანი ნაწილის გასაყიდი საქონლის ფასებზე დამატება,

3. ქვეყანაში საგადასახადო აღმინისკრივების რადიკალური გაუმჯობესება, რამაც ადგილობრივ საქონელზე ფასების მკვეთრი ზრდა გამოიწვია;

4. არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასებმა მნიშვნელოვნად მოიმატა.

საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაბალმოსავლიანობის შედეგად სამომხმარებლო ბაზარზე გარკვეული დეფიციტი შეიქმნა, რომლის შევსება ნაწილობრივ უცხოეთიდან შემოტანილი სასურსათო პროდუქციით ხდებოდა, რომელიც, გრადიციულად, ადგილობრივ საქონელზე მაღალი ფასებით გამოირჩევა მიუხედავად იმისა, რომ იმპორტული საქონლის გაბვირებას ხელს უშლიდა ლარის კურსის გამყარება, ინფლაციური ტენდენციის დაძლევა ბოლომდე მაინც ვერ მოხერხდა ამიგომ საბოლოოდ ამ გარემო-

ებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა სამომხმარებლო ფასების ინდექსის დინამიკასა და მოსახლეობის ინფლაციურ მოლოდინებზე.

მაშინ, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური ზრდა 8,4 %-ს შეადგენდა 2003 წელთან შედარებით, 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლები 846 მლნ ლარით, ანუ 91,3 %-ით გაიზარდა და 1 773 მლნ ლარს გაადმეგა მნიშვნელოვნად გაიზარდა ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების წილი მთლიან შიდა პროდუქტში და 14,2 %-დან 18,5 %-მდე გაიზარდა¹

დამოუკიდებელი საქართველოს განვლილ პერიოდში მხოლოდ 2004 წლის ბიუჯეტი იყო უდფიციტო მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული სახელმწიფო ვალის მომსახურებაში.

ამრიგად, „ეკარდების რეკოლუცია“ და ახალმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ფისკალური პოლიტიკა, რამაც მკვეთრად გააუმჯობესა სახელმწიფო ფინანსების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები. აგრეთვე, საგრძნობლად გაუმჯობესდა ბიზნეს-გარემო და სასიკეთოდ შეიცვალა საინვესტიციო პირობები, ფულის ბაზარზე არსებითად შემცირდა საპროცენტო განაკვეთები.

ამასთან, ფინანსური სისტემის რეფორმირებას ხელს უშლის ისეთი საკითხები, რომლებიც დადებითად არ წყდება ჯერ-ერთი, უარი ითქვა ყოველწლიური ინდიკატური გეგმის შედგენაზე. ის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც დასაქმებული იყო გრძელვადიანი მაკროეკონომიკური წონასწორობისათვის აუცილებელი პროგნოზირების დამუშავებით, გემუულად იქნა ჯერ დაჩაჩანაკებული და შემდეგ კი – გაუქმებული

უფრო მეტიც, 2005 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტში განსახილველად შეტანილი იქნა კანონპროექტი – „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომლის მიხედვით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები მზადდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, რაც ნიშნავს – ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აღარ დაე-

¹ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები

კისრება მთავარი ფუნქცია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განსაზღვრის საქმეში, როგორც მოქმედი კანონმდებლობით არის განსაზღვრული ე.ი ამ ცვლილებების მიზანია მთლიანი საბიუჯეტო პროცესის თავმოყრა ფინანსთა სამინისტროს ხელში, რათა მაკროეკონომიკურ პროგნოზირებასა და ბიუჯეტის შედგენაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს ფინანსთა სამინისტროს.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ჩამოცილება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაკროეკონომიკური პროგნოზირებისაგან, გამოიწვევს ინტერესთა კონფლიქტს ამასთანავე, აღნიშნული სამინისტროს სისხლხორცეული საქმეა მშპ, ინფლაციის, საგადასახდლო ბალანსის და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შესწავლა-პროგნოზირება.

ფინანსური სისტემის სრულყოფის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მიკროდონებზე – ადგილობრივი ფინანსების განმტკიცება და სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური და ფინანსური პოტენციალის სამეურნეო ბრუნვაში, რაც შეიძლება სრულად მოქცევა, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება და ამ გზით შესაბამისი ბიუჯეტების საგადასახადო ბაზის გაფართოება და საბიუჯეტო შემოსავლების გადიდების უზრუნველყოფა.

დღეისათვის საქართველოში ადგილობრივი ბიუჯეტები სუსტად იმართება. ფაქტობრივად, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს საბიუჯეტო მოწყობის მოწესრიგებაში არ გააჩნიათ სათანადო ეფექტიანი ბერკეტები. ადგილობრივ ბიუჯეტებს ჩამოცილებულია რეალური შემოსავლები, თუმცა, რეალური ხარჯების დიდი ნაწილი სწორედ მათზეა დაკისრებული ამასთან, ადგილობრივ ბიუჯეტებთან მიმაგრებულია არარეალური და მცირეშემოსავლიანი საგადასახადო წყაროები

უფრო მეტიც, რეგიონული ბიუჯეტების საშემოსავლო პოტენციალის შემცირების პარალელურად წარმოებს მისი გადანაწილება ცენტრალური ბიუჯეტის სასარგებლოდ 1993-2003 წლებში მიმდინარეობდა ქვეყნის საგადასახადო პოტენციალის ცენტრალურ ბიუჯეტში გადაქაჩვის მექანიზმის აქტიური ფორმირება. თანაც ამ პროცესის ინტენსივობა ისეთ დონეზე ავიდა, რომ გამორიცხული არ იყო, საერთოდ, საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ნგრევა.

იმასთან დაკავშირებით, რომ მთელი ყურადღება გადატანილი იყო ცენტრალურ ბიუჯეტის შესრულებაზე, სულ უფრო იზრდებოდა დისპროპორცია ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის. ამას მოჰყვა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის დიფერენციაცია და, შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების დონეთა უთანაბრობის გაღრმავება.

ყოველივე ეს ხელს უწყობდა ისეთი საშიში ტენდენციების ჩამოყალიბებას, როგორცაა

ეკონომიკური პოტენციალისა და საბიუჯეტო შემოსაუღების კონცენტრაცია რეგიონების მცირე ნაწილში; რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობის ხასიათის ნეგატიურად შეცვლა; სახელმწიფო ბიუჯეტის მომხმარებლური ტენდენციის გაღრმავება და განვითარების ბიუჯეტის სულ უფრო დაკნინება

გემოაღნიშნული მანკიერი პრაქტიკის გაგრძელების ერთ-ერთი მაგალითია ქვეყნის აღმასრულებელი ორგანოების მცდელობა ფინანსური სისტემის რეფორმირების ეგიდით, კიდევ უფრო დააკნინოს რეგიონული ბიუჯეტების სამემოსავლო ბაზა და მათ სამიანოდ მოახდინონ საგადასახადო შემოსაუღების კონცენტრაცია ცენტრალურ ბიუჯეტში.

უფრო მეტიც, 2005 წლის მაისში საქართველოს პარლამენტის განსახილველად შეტანილი იქნა კანონპროექტი „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსაუღების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ეს კანონპროექტი მიზნად ისახავს 2005 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადი მთლიანად წარიმართოს არა ადგილობრივ (როგორც ეს ამჟამად მოქმედი კანონმდებლობითაა განსაზღვრული), არამედ სახელმწიფო ბიუჯეტში, რითაც ეს უკანასკნელი მიიღებს 245 მლნ ლარის შემოსავალს და ამდენივეთი შემცირდება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალი

მოგების გადასახადის მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტში წარმართვა ადგილობრივი ბიუჯეტების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას ძლიერ დაასუსტებს, ამასთან, შეამცირებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინიციატივასა და პასუხისმგებლობას.

ამრიგად, ქვეყანაში დაგროვდა ფინანსური სისტემის რეფორმირების პროცესში ბევრი შეცდომა, რომელთაგან ყველაზე მტკივნეული მაინც საგადასახადო სისტემის არადაამაკმაყოფილებელი რეფორმირებაა მართალია, კაცობრიობას დღემდე არ შეუქმნია იდეალური საგადასახადო სისტემა, მაგრამ ყველა ქვეყანა ცდილობს ეს სისტემა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს სიმარტივეს, სიცხადეს, განაკვეთს, უნივერსალურობას, სრულყოფილებას, მიუკერძოებლობას.¹

სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით დაუშვა მიუტყვებელი შეცდომა და ბრუნვიდან გადასახადი ხელაღებით შეეცალა დამატებული ღირებულების გადასახადით. ამ უკანასკნელის გამოანგარიშება და ამოღების მექანიზმი ძალიან რთულია, რომლის ათვისება არაკვალიფიციური სპეციალისტების პირობებში მეტად ძნელია. ამით დაირღვა საგადასახადო სისტემის პირველი პრინციპი – სიმარტივე თანაც ბიუჯეტმა მნიშვნელოვანი ოდენობის შემოსავალი დაკარგა.

ხელისუფლების შეცდომად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე, სოფლის მეურნეობაში დღგ-ის შემოღების სანაცვლოდ მიწის გადასახადის გადიდება. ასევე, შეცდომა იყო პროგრესული საშემოსავლო გადასახადის გამოყენება პროპორციული საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად.

|

¹ ეს პრინციპები პირველად ჩამოაყალიბა დიდ ბრიტანეთში საგადასახადო რეფორმების თვალსაჩინო მკვლევარმა ფილიპ ჩაპელმა ის უფრო ვრცლად ელ პაპავა, „ნოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა“, თსუ 2005, გვ 205-206

თავი III. ფინანსური სისტემის სრულყოფა მიკროდონემა

III.1. ფინანსური ბაზრების ფორმირებისა და განვითარების საკითხები და ფინანსური სისტემის მდგრადობა მიკროდონემაში

ფინანსური სისტემის სრულყოფა შეუძლებელია საოჯახო მეურნეობების, ფირმების, კორპორაციების საქმიანობის გაუმჯობესების გარეშე

ყველა სამეურნეო სუბიექტი საქმიანობს ფინანსური სისტემის ფარგლებში როდესაც საქონელი ან მომსახურება რეალიზებულია, გამყიდველი ღებულობს ან ფულს, ან ფინანსურ აქტივს დებიტორული დავალიანების სახით ამასთან ერთად, წარმოებს თავისუფალი კაპიტალის ინვესტირება საბაზრო ფასიან ქალაქებში და ამ შემთხვევაში უშუალო დაკონტაქტება ხდება ფინანსურ ბაზრებთან. საბოლოო ანგარიშში, კომპანიის ფასიანი ქალაქების საბაზრო ღირებულება ამ კომპანიის წარმატებული მუშაობის მაჩვენებელია.

ამდენად, ფინანსური სისტემა მოიცავს მთელ რიგ დაწესებულებებსა და ბაზრებს, რომლებიც დაინტერესებული არიან თავიანთი სამსახური შესთავაზონ სამეურნეო სუბიექტებს, მოქალაქეებს და თვით მთავრობასაც ფინანსურ სისტემაში სწორედ ფინანსური ბაზრები არის მოწოდებული საბოლოო მომხმარებლებს შორის ეფექტიანად გაანაწილონ დაგროვება ეროვნული ეკონომიკა ფინანსური ბაზრების გარეშე იმ შემთხვევაში შეიძლება წარმატებით განვითარდეს, თუ ერთი და იგივე სამეურნეო სუბიექტები უზრუნველყოფენ როგორც თანხების დაზოგვას, ისე კაპიტალის მობილიზაციას მაგრამ თანამედროვე ეკონომიკაში ბაზრის სუბიექტები მხოლოდ კაპიტალის მობილიზაციას ეწევიან, ხოლო კორპორაციები უფრო მეტ სახსრებს იყენებენ რეალურ აქტივებში ინვესტიციებისათვის, ვიდრე დაზოგვას ეწევიან მეორე მხრივ, საოჯახო მეურნეობები შემოსავლებიდან ნაკლებს ხარჯავენ და მეტი თანხის დაზოგვას ეწევიან

ეფექტიანი ფინანსური ბაზარი გარდამავალი ეკონომიკის პირობებში

აბსოლუტურად აუცილებელია იმისათვის, რომ სამეურნეო სუბიექტები უზრუნველყოს თავისუფალი კაპიტალის ადეკვატური მოცულობით და ამით ხელი შეუწყოს ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ეროვნული ეკონომიკის აღმავლობა დიდად არის დამოკიდებული სასესხო კაპიტალის ბაზრისა და მისი მთავარი სეგმენტის – კომერციული საბანკო სისტემის ფორმირებისა და განვითარების ღონებზე.

გარდაქმნის პროცესში გამოიკვეთა საქართველოს საბანკო სისტემის ფუნქციები, რომლებიც მიმართული იყო მდგრადი მიკროეკონომიკური ფონის შექმნისა და საბანკო სექტორის სტაბილურობის უზრუნველყოფისაკენ, რომელიც ეროვნულ ეკონომიკას უფრო მედეგს გახდის როგორც საგარეო, ისე საშინაო შოკების მიმართ, შეამცირებს ფინანსურ რისკებს და ოპტიმალურ პირობებს შეუქმნის ფირმებისა და კორპორაციების რეალურ აღმავლობას.

ქვეყნის სამეურნეო სუბიექტების ფინანსური რესურსების უზრუნველყოფის მიზნით, პირველ რიგში, მოსაწესრიგებელია ისეთი მაკროეკონომიკური პარამეტრები, როგორცაა ფულის მიწოდება და ინფლაციური პროცესების რეგულირება.

როგორც წესი, ფულის მიმოქცევის რეგულირების მიზნით ნებისმიერი ქვეყნის ცენტრალურ ბანკს უნდა განესაზღვროს მთავრობისათვის გასაცემი წმინდა სესხების, აგრეთვე ქვეყნის მთავარი ბანკის წმინდა საშინაო და საერთაშორისო აქტივების ზღვრული ოდენობა. ამასთან, ფულის მიწოდების კონტროლის გაძლიერების მიზნით საბიუჯეტო ანგარიშები გადატანილი უნდა იქნეს ქვეყნის ცენტრალურ ბანკში.

დღესდღეობით, თეორეტიკოსი თუ პრაქტიკოსი ეკონომისტები თითქმის ერთხმად აღიარებენ, რომ ერთადერთი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელმაც გრძელვადიან პერიოდში მონეგარულ პოლიტიკას შეუძლია იქონიოს გავლენა, არის ინფლაცია შესაბამისად, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული მრავალი ქვეყნის ინფლაციის დაბალი ტემპების შენარჩუნება იქცა, ხოლო ეკონომიკურმა ზრდამ, უმუშევრობამ და რეალური სექტორის სხვა მაჩვენებლებმა უკანა პლანზე გადაიწია საქართველოს ფულად-

საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკაც უმთავრეს მიზნად სამომხმარებლო ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, თუ რა იგულისხმება ფასების სტაბილურობაში? ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარემ ალან გრინსპენმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ფასების სტაბილურობა განმარტა, როგორც ინფლაციის ისეთი დაბალი ტემპი, რომელსაც საწარმოები და ფიზიკური პირები პრაქტიკულად უგულებელყოფენ ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღებისას ეს მეტად ინტუიციური და ლოგიკური განსაზღვრებაა, მაგრამ არ არის საკმარისი მონეტარული პოლიტიკის უმთავრესი მიზნის რაოდენობრივად ჩამოსაყალიბებლად. კონკრეტული რიცხობრივი მაჩვენებლის არჩევა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეკონომიკის, ფინანსური და საქონლური ბაზრების განვითარების დონეზე, ინფლაციური პროცესების ფორმირების სპეციფიკაზე და სხვა მრავალ შიდა თუ გარეშე ფაქტორზე, მათ შორის ცენტრალური ბანკის ხელთ არსებულ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებზე მრავალწლიან გამოცდილებასა და არაერთი ფუნდამენტური გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა საერთაშორისო კონსენსუსი, რომ განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში ინფლაციის ოპტიმალური დონე 1-3%-ს შეადგენს. შემთხვევითი არ არის, რომ ევროკავშირში გაწვერიანების კანდიდატი ქვეყნებისათვის ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნად ინფლაციის 2 პროცენტთან ლიმიტია განსაზღვრული.

საქართველოში განვითარებადი ეკონომიკის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი სტრუქტურისა და ფინანსური ბაზრების, მაღალი ინფლაციური წარსულის, ეროვნული ფულადი ერთეულებისადმი დაბალი ნდობისა და ცენტრალური ბანკის ხელთ არსებული მონეტარული რეგულირების ინსტრუმენტების შემზღველობის პირობებში მიზნობრივი ინფლაციის ასეთ დაბალ დონეზე განსაზღვრამ შესაძლოა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი გამოკაცრების საჭიროება წარმოშვას, მაგრამ იმის გამო, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, და მით უმეტეს საქართველოს მყიფე და არასტაბილურ ეკონომიკურ გარემოში, შეუძლებელია ფასების ცვლილების დიდი სიზუსტით პროგნოზირება და მართვა, ინფლაციის ასეთი დაბალი დონის მიღწევის მცდე-

ლობამ შეიძლება დეფლაციური პროცესები წარმოშვას, რაც შემდგომ საწარმოთა ლიკვიდობის სერიოზულ პრობლემებში გადაიზარდოს და ხელშეწყობის ნაცვლად ქვეყნის ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენოს. მართებულად უნდა იქნეს მიჩნეული ქვეყნის ხელისუფლებისა და მთავარი ბანკის გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მომავალი 5-7 წლის მანძილზე უზრუნველყოფილი იქნეს ინფლაციის წლიური ტემპი არაუმეტეს 5-6 %-ისა მართალია, უკვე მესამე წელია, რაც ფაქტიური წლიური ინფლაცია 5 %-ის ფარგლებშია, მაგრამ მიზნობრივი ლიმიტის შემცირება უახლოეს წლებში მიზანშეუწონელი იქნებოდა, რადგან არსებულ მაკროეკონომიკურ გარემოში ფასების ფორმირების პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას საბაზრო მექანიზმების გარდა, ქვეყანაში მიმდინარე სტრუქტურული, ინსტიტუციონალური, საკანონმდებლო და სხვა რეფორმები ახდენენ. მაგალითად, იმის გამო, რომ აღურიცხაობისა და ჩრდილოეთი ეკონომიკის დიდი მასშტაბების პირობებში არასრულად იბეგრება როგორც ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობა, ისე იმპორტი, გადასახადები შემცირებულად აისახება სამომხმარებლო ფასებში. ასეთ ვითარებაში საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებებსა და ფისკალური აღმინისტრირების მკვეთრ გამკაცრებას ინფლაციური შოკის ხასიათი ექნება მიწოდების (და არა მოთხოვნის) მხრიდან, და მონეტარული მეთოდებით მისი ნეიტრალიზაციის მცდელობამ შესაძლოა, საგრძნობი ზიანი მიაყენოს ეკონომიკის რეალურ სექტორს

რაც შეეხება უფრო გრძელვადიან პერსპექტივას, 2010-2015 წლისათვის მიზნობრივი ინფლაციის ზღვარი სავარაუდოდ 3-4 %-მდე შემცირდება. ამასთან, იმისდამიხედვით, თუ როგორ და რა ტემპებით წარიმართება ეკონომიკური სტაბილიზაციის, სტრუქტურული რეფორმების, ფინანსური ბაზრებისა და ინსტრუმენტების, განსაკუთრებით ფულად-სარედიტო რეგულირების საბაზრო მექანიზმების, განვითარების პროცესები, ამ პერიოდისათვის შესაძლოა, დაინერგოს მონეტარულ პოლიტიკაში ე.წ. ინფლაციური თარგეტირება ეს საქართველოსათვის სრულიად ახალი მიდგომა, პირველად ახალ ზეღან-დიამში შემოიღეს 1989 წელს, ხოლო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მისი მიმდევრები გახდნენ კანადა, დიდი ბრიტანეთი, შვეიცია, ფინეთი, ისრაელი,

ესპანეთი, ავსტრალია და ა.შ. ბოლო წლებში კი განვითარებული ქვეყნების გარდა ინფლაციურ თარგეტირებაზე გადავიდა ბევრი განვითარებადი ქვეყანა, მათ შორის ჩეხეთი, პოლონეთი, ჩილე, ბრაზილია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და სხვ. როგორც გამოცდილება მოწმობს, ეს მიდგომა უაღრესად ეფექტიანი აღმოჩნდა ინფლაციის დაბალი და სტაბილური ტემპის ხანგრძლივად შესანარჩუნებლად. ინფლაციური თარგეტირების დეტალური განხილვა ცალკე განსჯის საგანია და აქ არ შევუდგებით მის ანალიზს, მით უმეტეს, რომ არსებული რეალობიდან გამომდინარე, უახლოეს წლებში ნაადრევია საქართველოში მისი შემოღება. მხოლოდ აღენიშნეთ, რომ ინფლაციური თარგეტირება წარმოადგენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ჩარჩოს და არა ინსტრუმენტს, ან მოქმედების წესს, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოების ინფლაციური მოლოდინის ფორმირებაზე და ე.წ. „ნომინალურ ღუზად“ იყენებს საპროცენტო ინფლაციას. მისი შემოღებისათვის საჭირო წინაპირობათაგან უმნიშვნელოვანესი უნდა გახდეს ქვეყნის ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის განსაკუთრებით მაღალი ხარისხი, განვითარებული ფინანსური ბაზრები და მონეგარული პოლიტიკის საბაზრო ინსტრუმენტების არსებობა და მოსახლეობის რწმენა, რომ ქვეყნის ცენტრალური ბანკი მონდომებულია და მას შესწევს უნარი უზრუნველყოს ინფლაციის წინასწარ გამოცხადებული მიზნის მიღწევა

მოკლე და საშუალოვადიანი პერიოდისათვის საქართველოს ხელისუფლება ანხორციელებს თანამიმდევრული და შეწონილი ფულად-საკრედიტო და საეკონომიკო პოლიტიკას, რაც გულისხმობს ფულის მიწოდების ეკონომიკის რეალურ ზრდასა და ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებლებთან შესაბამისობაში მოყვანას. ქვეყანაში ინფლაციური მოლოდინის ფორმირებისა და ფასების ცელილებასთან ეკონომიკურ აგენტთა ადაპტაციის პროცესის თავისებურებების გათვალისწინებით პოლიტიკა (მომავალში ფულად-საკრედიტო) ძირითადად ორიენტირებული იქნება ეკონომიკის თანდათანობითი რემონეტიზაციის გრძელვადიანი ტენდენციის შენარჩუნებაზე დღესდღეისობით მონეგარიზაციის მაჩვენებელი 111 პროცენტს შეადგენს, რაც საკმაოდ დაბალია და არ არის საკმარისი ფინანსური სექტორის გაღრმავებისა და ეფექტიანი ფუნქციონირე-

ბისათვის. რაც შეეხება სავალუტო პოლიტიკას, იგი მიმართული იქნება ადგილობრივი წარმოების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობაზე, ქვეყნის სავალუტო რეზერვების აკუმულირებასა და სავალუტო რისკების მინიმიზაციაზე

ინფლაციის ტემპების შემცირებასთან ერთად გარკვეულწილად სუსტდება მონეტარული აგრეგატების როლი ინფლაციური პროცესების მართვაში, რის გამოც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისას აუცილებელია მთელი რიგი მაკროეკონომიკური პარამეტრების კომპლექსური ანალიზი ფულადი აგრეგატების გარდა ეს მოიცავს ქვეყნის საგადასახდელო ბალანსს და უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესებს, ოფიციალური სავალუტო რეზერვების დონეს, ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსის დინამიკას, საგარეო და საშინაო ვალების მდგომარეობას, ეკონომიკის რეალურ და ფისკალურ სექტორებში ჩამოყალიბებულ ტენდენციებს და მოსალოდნელ ცვლილებებს, საპროცენტო განაკვეთებს, ბანკების ლიკვიდობის პოზიციას, ფინანსური ბაზრების განვითარების მდგომარეობას, მოსახლეობისა და ეკონომიკური სუბიექტების ფსიქოლოგიურ განწყობას, ინფლაციურ მოლოდინს და სხვ აქ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან უმრავლესობა არ ექვემდებარება ხელისუფლებისა და ცენტრალური ბანკის უშუალო კონტროლსა და ზემოქმედებას, ამიტომ გაცვლითი კურსი და ფულის მასა კვლავ უნდა იქნეს გამოყენებული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის საბოლოო მიზნის „ნომინალურ ლუბად“ და მისი მიღწევის შუალედურ ინდიკატორად. ამასთან, ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობი მაკროეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბების მონიტორინგისათვის აუცილებელია საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტების მიმართ ეროვნული ვალუტის – ლარის რეალური გაცვლითი კურსების ოპტიმალური თანაფარდობა

ამასთან, აუცილებელია ფულის მიწოდება განხორციელდეს მხოლოდ არა-ინფლაციური მეთოდების გამოყენებით, რაც ფასების სტაბილურობის პირობებში შესაძლებელს გახდის გაგრძელდეს რუსეთის საფინანსო კრიზისის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებული ეკონომიკის რემონტიზაციის ტენდენცია.

ფართო ფულის (M3) თანდათანობით მაგების პირობებში მონეტიზაციის მაჩვენებელი ყოველწლიურად საშუალოდ 0,5-1 პროცენტული პუნქტით მაინც უნდა გაიზარდოს

ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება საბანკო სისტემის ეფექტიანობასა და მისი საშუაშალო ფუნქციის გაუმჯობესებას, რომ ფართო ფულის ზრდა უპირატესად მოხდეს არა სარემეო ფულის მაგების, არამედ ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფულის საბანკო არხებში მოზიდვისა და საბანკო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გზით ფულის მულტიპლიკატორის ზრდის ხარჯზე თუმცა, მხედველობაშია მისაღები ის, რომ მონეტარული პოლიტიკის უმთავრეს მიზნად მაინც ფასების სტაბილურობა რჩება და ამდენად ეკონომიკის რემონეტიზაცია სუბორდინირებული უნდა იყოს ამ ძირითად ამოცანასთან

ქართველი ეკონომისტების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ხელისუფლების მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ზედმეტად მკაცრია, რის გამოც ინფლაცია ქვეყანაში საჭიროზე დაბალია და რომ ეკონომიკას ინფლაციური სტიმულირება ესაჭიროება, რისთვისაც ცენტრალურმა ბანკმა უფრო ინტენსიურად უნდა აწარმოოს ფულის ემისია, ანუ ე.წ. „ფულის ბეჭდვა“. ეს მოსაზრება ეფუძნება გასული საუკუნის 60-იან წლებში მსოფლიოში დომინირებდა „ფილიპსის მრუდის“ თეორიას, რომლის თანახმადაც ინფლაციის ტემპის მაგება იწვევს უმუშევრობის შემცირებას და ეკონომიკური აქტივობის ზრდას. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ინფლაციის შედარებით მაღალი ტემპების ხარჯზე ცენტრალურ ბანკს შეუძლია ხანგრძლივად შეინარჩუნოს უმუშევრობის დაბალი დონე და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი. შესაბამისად, იმ პერიოდში ცენტრალური ბანკების პოლიტიკის მთავარ ორიენტირებას სრული დასაქმების მიღწევა და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის სრულად ათვისება წარმოადგენდა. თუმცა, შემდგომი წლების გამოცდილებამ ნათლად დაადასტურა ამ მიდგომის მცდარობა და დაარწმუნა ეკონომისტები იმაში, რომ მონეტარულ ექსპანსიას, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ მოკლევადიანი ეფექტის მოხდენა შეუძლია რეალურ მაჩვენებლებზე და რომ გრძელვადიან პერსპექტივაში მისი ერთადერთი შედეგი ინფლაციის აქსელერაციაა

ეს კი, თავის მხრივ, ზრდის გაურკვეველობას და რისკის ფაქტორს და, საბოლოოდ, ისევე წარმოებს აყენებს დარგყმას ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი – თურქეთის გამოცდილება წლების მანძილზე თურქეთის მონეტარული პოლიტიკა ორიენტირებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის ემისიური დაკრედიტების გზით ეკონომიკის ინფლაციურ სტიმულირებაზე სწორედ ამის შედეგი უნდა იყოს ის უმძიმესი საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც 2001 წელს თურქეთის ეკონომიკური აქტივების დაახლოებით 8 პროცენტის კლება გამოიწვია უფრო მეტიც, ინფლაციის თუნდაც 10-15 %-იანი ტემპი საკმაოდ ართულებს მის გათვალისწინებას გრძელვადიანი გადაწყვეტილებების მიღებისას. მოსახლეობისათვის ეს სირთულე გამოიხატება შემოსავლების განაწილებაში მიმდინარე მოხმარებასა და დანაზოგებს შორის, ხოლო საწარმოებისათვის – წარმოებისა და ინვესტიციების ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრაში ამას გარდა ინფლაცია რეალური შემოსავლების არათანაბარ განაწილებას, საშუალო ფენის გაქრობას, სოციალურ და სხვა პრობლემებს იწვევს

ინფლაციის პროვოცირებით ეკონომიკური აქტივების სტიმულირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოსახლეობისა და ეკონომიკური სუბიექტებისათვის მოულოდნელი ხასიათი აქვს, ანუ მაშინ, როცა არ მართლდება ინფლაციური მოლოდინი და ფასების ფაქტიური მაგება აჭარბებს მოსალოდნელს იმის გამო რომ ხელფასები და წარმოების საშუალებათა ფასები უფრო გრძელვადიანი კონტრაქტებითაა გამყარებული და ამდენად უფრო ინერტულია, ვიდრე სამომხარებლო ფასები, ამ უკანასკნელის გაუთვალისწინებელი ზრდა იწვევს საწარმოთა რეალური დანახარჯების მოულოდნელ კლებას და მოგების მაგებას. შედეგად, იზრდება საშუალო ძალასა და წარმოების საშუალებებზე მოთხოვნაც და აქედან გამომდინარე, წარმოებაც, მაგრამ მხოლოდ მოკლევადიანი პერიოდისათვის, ვინაიდან საბაზრო მექანიზმები სისტემას კვლავ წონასწორობაში მოიყვანენ (მოიმატებს შრომის ანაზღაურება და წარმოების საშუალებების ფასები). სხვა სიტყვებით, ეკონომიკის ინფლაციური სტიმულირება ხელისუფლების მიერ სამოგალოების „მოგყუებითაა“ შესაძლებელი მაგრამ შეუძლებელია, სამოგალოება მუდმივად პერ-

მანენტულად ატყუო, თუ ამ მეთოდმა მუდმივი ხასიათი მიიღო, მკვეთრად მოიმატებს ინფლაციური მოლოდინი, რაც წინასწარ იქნება გათვალისწინებული ყველა ფინანსურ გარიგებებში ასეთ ვითარებაში ეკონომიკური ზრდის ეფექტის მისაღწევად ინფლაციის ტემპის სულ უფრო და უფრო მეტად გაზრდა იქნება საჭირო, რაც ინფლაციურ სპირალში გადაიზრდება და საბოლოოდ სრულ დესტაბილიზაციას და საქონლური თუ ფინანსური ბაზრების მოშლას გამოიწვევს, რომ აღარაფერი ვთქვათ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიმართ მოსახლეობის ნდობის გოგალურ დისკრედიტაციამე

ემისიური სტიმულირების ზემოთ აღნიშნული პრობლემების გარდა, რომლებიც საერთოა ნებისმიერი ეკონომიკისათვის და რასაც თანამედროვე ეკონომიკური მექანიზმები ერთხმად აღიარებს, გასათვალისწინებელია საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსური ბაზრების სპეციფიკაც, კერძოდ დოლარიზაციის უაღრესად მაღალი მაჩვენებელი საქართველოს საბანკო სისტემის მთლიანი დეპოზიტებისა და სესხების დაახლოებით 75-80 % უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ფინანსური შუამავლობა და საკრედიტო-საინვესტიციო საქმიანობა პრაქტიკულად მთლიანად დოლარებში ხორციელდება, ლარი კი ძირითადად მიმდინარე ანგარიშსწორებას ემსახურება. მონეტარული მეთოდებით ეკონომიკური აქტივობის წახალისების არსი ისაა, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ლიბერალიზაცია, მართალია, იწვევს ფასების ზრდას, მაგრამ ამავდროულად იგი ხელს უწყობს ფინანსური რესურსის ზრდას და საპროცენტო განაკვეთების შემცირებას, რის შედეგადაც იზრდება ეროვნული ეკონომიკის დაკრედიტება. ვინაიდან ცენტრალურ ბანკს მხოლოდ ეროვნული ვალუტის, ანუ ჩვენს შემთხვევაში ლარის ემისია შეუძლია, იგი გავლენას ვერ მოახდენს უცხოური ვალუტით საკრედიტო ბაზრის კონიუნქტურაზე და, შესაბამისად, ვერც დაკრედიტების მოცულობაზე მეორე მხრივ კი, ჭარბი ემისია უშუალოდ სავალუტო ბაზრის დისპროპორციას გამოიწვევს ვალუტის გაზრდილი მოთხოვნის სახით, რასაც შედეგად ჯერ ლარის გაუფასურება, ხოლო შემდგომ, მონეტარული გადაცემის მექანიზმის მეშვეობით, საქონლისა და მომსახურების ფასების ზრდა მოჰყვება. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყნის ხელისუფლებისა და ცენ-

გრაღური ბანკის საქმიანობა სწორედ ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ეს არ ნიშნავს, რომ უგულებელყოთ მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. პირიქით, გომიურად დაბალი და პროგნოზირებადი ინფლაციის უზრუნველყოფით იგი უმნიშვნელოვანეს წინაპირობას შეუქმნის სხვა მაკროეკონომიკური მიზნების განხორციელებას

დასახული ამოცანების მისაღწევად კონკრეტული მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანად გატარება მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტებსა და მათ ქმედითუნარიანობაზე. უპირველეს ყოვლისა, მონეტარული რეგულირების მხოლოდ არაპირდაპირი ინსტრუმენტები, ანუ ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას მხოლოდ სარემერვო ფულის მასაზე მოახდენენ, ხოლო ფართო ფულზე მოქმედებენ ირიბად, საფინანსო ბაზრების მეშვეობით რაც შეეხება პირდაპირ ინსტრუმენტებს, როგორცაა მაგალითად საბანკო კრედიტის ან საბაზრო საპროცენტო განაკვეთების კონტროლი მათზე ლიმიტების დაწესების გზით, ჩვენი აზრით, საქართველოს სინამდვილეში გაუმართლებელია ვინაიდან ისინი საბაზრო მექანიზმების დარღვევასა და ამის შედეგად, ფინანსური რესურსების არაეფექტიან განაწილებას გამოიწვევს.

საქართველოს ეკონომიკის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი სტრუქტურის, განუვითარებელი ფინანსური ბაზრებისა და მაღალი დოლარიზაციის პირობებში მონეტარული პოლიტიკის არაპირდაპირი ინსტრუმენტების სპექტრი საკმაოდ შემღუღულია და მოიცავს მხოლოდ მინიმალურ სარემერვო მოთხოვნას, მთავრობის დაკრედიტებასა და სავალუტო ინტერვენციებს.

კომერციული ბანკებისათვის განსაზღვრული მინიმალური სარემერვო მოთხოვნა არის და კვლავაც დაჩრება ფულადი მასის მართვის ქმედით ინსტრუმენტად, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იგი შედარებით ხისტი ბერკეგია და ნაკლებად გამოსაყენებელია საბანკო ლიკვიდობის ოპერატიული მართვისათვის. 2000 წელს მოხდა მისი შემცირება 16-დან 14%-მდე და მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ პერიოდულად ხდება სარემერვო ნორმის ცვლილებების მიზანშეწონილობის შეფასება, თუმცა ქვეყანაში ჩამოყალიბებულმა მონეტარული

რულმა და ინფლაციურმა ფონმა ქვეყნის მთავარ ბანკს არ მისცა მისი შემდგომი შემცირების საშუალება

რაც შეეხება მთავრობის გრძელვადიან დაკრედიტებას, მისი ემისიური ხასიათიდან გამომდინარე, ინფლაციური ეფექტის მინიმუმამდე დასაყვანად საწყის ეტაპზე კვლავაც უნდა გაგრძელდეს დღემდე დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც მთავრობისათვის სესხების გაყემა ხდება ძირითადად ქვეყნის საგარეო ვალდებულებების მომსახურების მიზნით შემდგომში იგი თანდათან საერთოდ უნდა გამოირიცხოს და ფულის მიწოდების ეს წყარო ჩანაცვლდეს სხვა მექანიზმებით, რომლებიც ნაკლებად ინფლაციურ ხასიათს ატარებენ და საბაზრო პრინციპებზე არის დაფუძნებული ბიუჯეტის დეფიციტის შიდა დაფინანსების მთავარ წყაროდ სახაზინო ვალდებულებების ემისიით კერძო სექტორიდან მოზიდული რესურსი უნდა იქცეს. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ეს პროცესი განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს და რომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ზედმეტმა გატაცებამ შესაძლოა, მეტად სამიანო შედეგები გამოიღოს ეკონომიკური მრდის თვალსაზრისით. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სახაზინო ვალდებულების ემისიით სახელმწიფო სერიოზულ კონკურენციას უწევს კერძო სექტორს საკრედიტო რესურსების ბაზარზე. ემისიების მოცულობების მრდა სახელმწიფო ვალის გადიდებას იწვევს და ხელს უწყობს რეალური სექტორის დაკრედიტებიდან ფინანსური რესურსის ბიუჯეტში გადაქაჩვას, რაც შემდგომ ძირითადად მთავრობის მიმდინარე ხარჯებსა და საგარეო ვალდებულების მომსახურებას ხმარდება. ანუ, როგორც ეს ცნობილია ეკონომიკურ თეორიაში, წარმოიშობა ინვესტიციების გამოდევნის ეფექტი. ამიტომაც მთავარია ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს ვალდებულებების ემისიის ოპტიმალურად დაგეგმვასა და მისი მაქსიმალურ შესაბამისობაში მოყვანას ბიუჯეტის დაფინანსების საჭიროებებთან.

მონეტარული რეგულირების სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ღია ბაზარზე ოპერაციები – რეპო და უკურეპო გარიგებებზე, რომლებიც სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოყენებით იწარმოება და ცენტრალური ბანკების ძირითად მარეგულირებელ იარაღს წარმოადგენს. მათი

პრაქტიკაში დანერგვა პირველი რივის პრიორიტეტს წარმოადგენს, ვინაიდან ისინი კომერციულ ბანკებს შესაძლებლობას აძლევს უფრო უფექტიანად მართონ საკუთარი ლიკვიდობა, ხოლო ცენტრალურ ბანკს – ოპერატიულად არეგულიროს ფულის მასა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ამ ინსტრუმენტებისათვის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზა უკვე შექმნილია, მათ ამოქმედებას საგრძნობლად აფერხებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის განუვითარებლობა და ემიგრებული სახაზინო ვალდებულებების უმნიშვნელო მოცულობა, აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბანკის ხელთ არსებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის სიმცირე

თუმცა, 2002 წლიდან ამ მიმართულებით ქვეყანაში მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული. წინა პერიოდებთან შედარებით სახაზინო ვალდებულებების პირველად ბაზარზე შესამჩნევად იმაგა როგორც ემიგრებული ფასიანი ქაღალდების მოცულობამ და ვადიანობამ, ისე არასაბანკო ინვესტორების მონაწილეობამ, იკლო საპროცენტო განაკვეთებმაყ. ამას გარდა, დაინერგა ფასიანი ქაღალდებით მეორად ბაზარზე ორგანიზებული ვაჭრობის სისტემაყ, თუმცა აქ გარიგებები განსაკუთრებული ინტენსივობით არ გამოირჩევა და მონაწილეთა ნაწილი უპირატესობას ჯერ კიდევ ბირჟის გვერდის ავლით გარიგებებს ანიჭებს. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით მეორადი გარიგებები მნიშვნელოვნად გაიზარდა, მათი მოცულობა მაინც მცირეა, რაც გარკვეულწილად განპირობებულია იმით, რომ ინვესტორები სახაზინო ვალდებულებებს შემოსავლის მიღების საშუალებად განიხილავენ და თავს არიდებენ დაფარვის ვადამდე მათ გასხვისებას. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით დაინტერესების მთავარ მასტიმულირებელ ფაქტორს წარმოადგენს მათი მძალადი მომგებიანობა რესურსის დაბანდების სხვა ალტერნატივებთან შედარებით, თუმცა უდავოდ თავისი როლი ამ ინსტრუმენტისადმი ნდობის განმტკიცებამაც შეასრულა. სახაზინო ვალდებულებების არსებობის მანძილზე არ ყოფილა ვადამდე დაუბრუნებლობის არც ერთი შემთხვევა

პოზიტიური ტენდენციების მიუხედავად, ჯერ კიდევ გაუმჯობესებას მოითხოვს მეორადი ბაზრის ჩამოყალიბება და ახალი მონეტარული ინსტრუმენ-

გების ამოქმედებისადმი ხელშეწყობა გამოშვებული სახაზინო ვალდებულებების მოცულობის მრდის მიუხედავად, ემისიები ჯერ კიდევ სპონტანურ ხასიათს ატარებს, რაც ამყარებს ბაზრის ლიკვიდობასა და ეფექტიანობას სახაზინო ვალდებულებების გამოშვება ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების მხოლოდ მიმდინარე საჭიროებებითაა ნაკარნახევი და არ წარმოადგენს სახელმწიფო ვალდებულებისა და სახელმწიფო ფინანსების მართვის ერთიანი სტრატეგიის ნაწილს ახლო წარსულში ბიუჯეტის შემოსავლების არასტაბილურობის გამო, ვერ ხერხდებოდა აუქციონების კალენდრის, თუნდაც მოკლევადიანის, წინასწარ გამოცხადება, რომელშიც დეტალურად იქნებოდა გაწერილი ემისიის მოცულობები და ვადები ეს კი მნიშვნელოვნად ართულებდა ინვესტორთა მიერ საკუთარი ლიკვიდობის მართვასა და რესურსის ოპტიმალურად განაწილების დაგეგმვას

ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის განვითარებას აფერხებს ისიც, რომ ქვეყნის ცენტრალურ ბანკს არ გააჩნია სახაზინო ვალდებულებების საკუთარი პორტფელი, რომლითაც იგი მონაწილეობას მიიღებდა სავაჭრო სესიებში და რეგულარულად შესთავაზებდა ბანკებს რეპო აუქციონებს, პირველ ეტაპზე თუნდაც მხოლოდ ბაზრის სტიმულირების და არა მონეტარული რეგულირების მიზნით. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან პირდაპირი შესყიდვა ბიუჯეტის დაკრედიტების ტოლფასია, თანაც მათი ვადიანობა ნაკლებია, ხოლო საპროცენტო განაკვეთი გაცილებით მეტი, ვიდრე ეროვნული ბანკიდან მიღებული სესხებისა. შესაბამისად, პირდაპირი დაკრედიტების სახაზინო ვალდებულებებით ჩანაცვლება ბიუჯეტისათვის არ არის მიმზიდველი. მეორე მხრივ, ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, პორტფელის (მით უმეტეს რომ საქართველოს ეკონომიკის მაღალი დოლარიზაციისა და სამომხმარებლო კალათაში იმპორტული საქონლის დიდი წილის პირობებში), გაცვლითი კურსის მიმართ ფასები მეტად მგრძობიარეა თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მას თავისი სპეციფიკა ახასიათებს, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის პერიორიკეტებს

სერიოზული წარმატებებით ხორციელდება სავალუტო პოლიტიკა, რო-

მელიც დაფუძნებულია მცურავი კურსის რეჟიმზე როგორც წესი, გაცვლითი კურსის ფორმირება ძირითადად უცხოური ვალუტის მოთხოვნა-მიწოდებით განისაზღვრება ცხოვრებამ დაადასტურა მცირე მომისა და ღია ეკონომიკის საქართველოსათვის ასეთი სავალუტო რეჟიმის ოპტიმალობა.

ეკონომიკური სტაბილიზაციის საწყის ეტაპზე ინფლაციის მოკლე ვადაში მთოთკვის ეფექტიან საშუალებად ბევრ ქვეყანაში ფიქსირებული ან როგორც ღიაპაზონში მერყევი გაცვლითი კურსის სავალუტო რეჟიმი გამოიყენება. როგორც გამოცდილება მოწმობს, ფასების სტაბილიზაციის კუთხით ასეთი მიდგომა მოკლევადიან პერიოდში დადებით ეფექტს იძლევა. მაგრამ ხანგრძლივი პერიოდისათვის იგი რეალური გაცვლითი კურსის ზედმეტად გამყარებას, წარმოების კონკურენტუნარიანობის დაცემასა და საგადასახდელო ბალანსის საგრძნობ გაუარესებას განაპირობებს. ამის შედეგად, შეუძლებელი ხდება სტაბილური კურსის შენარჩუნება ეროვნული ვალუტის დეველუაცია კი ახალ ინფლაციურ სპირალს წარმოშობს და საგრძნობლად ეცემა ხელისუფლებისადმი, განსაკუთრებით ბანკებისადმი მოსახლეობის ნდობა მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მცურავი კურსი ე.წ. ბუფერის ფუნქციას ასრულებს ეკონომიკაზე გარეშე შოკების ზემოქმედების დროს და პრაქტიკულად ავტომატურ რეჟიმში ასწორებს ქვეყნის საგარეო სექტორში წარმოქმნილ დისპროპორციებს სწორედ მცურავი კურსის დამსახურებაა, რომ 2001 წელს თურქეთის საფინანსო-სავალუტო კრიზისმა უმნიშვნელო გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, რაც მხოლოდ ლარის კურსის უმნიშვნელო გაუარესებაში გამოიხატა. ასევე, 1998 წელს, როცა ლარი დოლარზე იყო მიბმული, რუსეთში განვითარებულმა ფინანსურმა კრიზისმა საქართველოშიც სრულმასშტაბიანი სავალუტო კრიზისი გამოიწვია. თავისთავად მცურავი კურსის რეჟიმი გამორიცხავს სავალუტო კრიზისის მოხდენის შესაძლებლობას, რომელიც მისი კლასიკური გაგებით გულისხმობს შიდა სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის მზარდი მოთხოვნის გავლენით ამა თუ იმ ფორმით მიბმული კურსის რეჟიმზე უარის თქმას და იძულებით დეველუაციას ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, მით უმეტეს რომ წლების მანძილზე საქართველოში

მიღწეული და შენარჩუნებულია ინფლაციის ერთნიშნა დონე, ნებისმიერი სახის სავალუტო მიბმა მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული.

ქვეყნის სავალუტო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად უნდა იქნეს მიჩნეული სამამულო პროდუქციის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის და, შესაბამისად, ექსპორტის ხელშეწყობა, რის უმთავრეს ინდიკატორსაც ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტების მიმართ ლარის რეალური გაცვლითი კურსი წარმოადგენს მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ამან არ უნდა გამოიწვიოს დეველუაციური პოლიტიკის ხელოვნურად გატარება, რომ ხელისუფლებამ თვითონ მოახდინოს ლარის გაუფასურების პროვოცირება

იმისათვის, რომ ქვეყნის ცენტრალური ბანკის ფინანსური შესაძლებლობები შეესაბამებოდეს მსოფლიო სტანდარტებს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხელისუფლებამ მოახდინოს ეროვნული ბანკის მიმართ ფინანსთა სამინისტროს თითქმის 800 მლნ-იანი სასესხო დავალიანების ნაწილის გრძელვადიან მიმოქცევად სახელმწიფო სავალუტო ვალდებულებებად გადაფორმება კრედიტის პირობების, დაფარვის ვადებისა და საპროცენტო განაკვეთების უცვლელობის პირობებში, რომ ამ პროცესმა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებზე გაელენა არ მოახდინოს. ამით ეროვნულ ბანკს შეექმნება ფასიანი ქაღალდების საკმაო მოცულობის პორტფელი ღია ბაზრის ოპერაციების განსახორციელებლად, რაც არსებითად გამოაყოფნებს მეორად ბაზარზე ვაჭრობას და მასში ინვესტიორების უფრო აქტიურ მონაწილეობას, ხოლო ქვეყნის ცენტრალურ ბანკს გაუჩნდება ფულად-საკრედიტო რეგულირების ახალი და მეტად მძლავრი მექანიზმი. მისი საშუალებით შესაძლებელი იქნება როგორც ბანკების მოკლევადიანი ლიკვიდობის კორექტირება ფულის ბაზარზე რყევების შესარბილებლად, ისე გარეშე ფაქტორების გავლენით სისტემაში მკვეთრად გამრდილი ფულის მასის სტერილიზება. საქართველოში კაპიტალის მოძრაობაზე კონტროლის არ არსებობის პირობებში ასეთი სტერილიზაციის საჭიროება შეიძლება წარმოიშვას ქვეყანაში ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი ზრდისას, როცა ცენტრალური ბანკის მიერ ვალუტის შესყიდვების შეზღუდვა და გაცვლითი კურსის გამყარე-

ბა ეკონომიკურად გაუმართლებელია. სწორედ სტერილიზაციის ინსტრუმენტების არარსებობის გამო ვერ მოხერხდა 1999 წლის დასაწყისში „თელასის“ პრივატიზაციის შედეგად მიმოქცევაში ერთბაშად გასული დიდი მოცულობის ფულადი მასის განეიტრალება, რამაც ლარის გაცვლითი კურსის მკვეთრ ვარდნას შეუწყო ხელი და კიდევ უფრო გაამძაფრა 1998 წლის ბოლოს დაწყებული სავალუტო კრიზისი.

მთავრობის სასესხო დაეალიანების მიმოქცევა და ფასიან ქალაქებში გადაფორმების შემოთავაზებული სქემის პრაქტიკული განხორციელების სერიოზულ დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამ სავალ ვალდებულებების გასხვისების და კერძო ინვესტორის ხელში მოხვედრის შემთხვევაში მთავრობა იძულებული გახდება უპირობოდ დაიცვას დაფარვის ვადები და ვეღარ შეძლებს ვალის რესტრუქტურის რევიზიას და ამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკის გაგრძელებას. ბოლო წლებში ქვეყნის ფისკალურ სფეროში არსებული მწვავე პრობლემების ფონზე ეროვნული ბანკის სესხების გადავადება დიდ შევებას აძლევდა ბიუჯეტს და შესაძლებელს ხდიდა, აქცენტი სოციალურ სფეროზე გადაგანაწილეთ. აღნიშნულის გათვალისწინებით, საბიუჯეტო სირთულეების გაგრძელების შემთხვევაში, ეროვნულმა ბანკმა სავალ ვალდებულებები უნდა გამოიყენოს მხოლოდ რეპო ოპერაციების განსახორციელებლად ისე, რომ დაფარვის ვადისთვის ისინი კვლავ მის მფლობელობაში აღმოჩნდეს უფრო გრძელვადიან პერიოდში კი, ფისკალური კრედიტების რესტრუქტურის შესაძლებლობის ამ გზით შემღვდვა უდაოდ დადებით როლს შეასრულებს როგორც ფისკალური სტიმულის გაძლიერების, ისე სახელმწიფოს მიმართ ნდობის განმტკიცების თვალსაზრისით.

გასათვალისწინებელია ერთი გარემოება სავალუტო პოლიტიკა ოპტიმალურად უნდა ერწყმოდეს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რათა იგი სრულ შესაბამისობაში მოვიდეს ფასების სტაბილურობის მთავარ მიზანთან – კურსის გამყარებასთან შედარებით უპირატესობა მიენიჭოს რეზერვების შეესებას. ასეთი მიდგომა გამოიწვევს არა ლარის დეველუაციას, არამედ მისი ეკონომიკურად გაუმართლებელი გამყარებისაგან დაკავას.

ცალმხრივი სავალუტო ინტერვენციების შემოთაღწერილი პოლიტიკა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმტკიცების გარდა სავალუტო რეზერვების აკუმულირებას შეუწყობს ხელს, რითაც დაფინანსების საგარეო წყაროებიდან სახსრების არასრულად ან დაგვიანებით მიღების შემთხვევაში, ქვეყნის საგარეო ვალდებულებების შეუფერხებელი მომსახურება იქნება უზრუნველყოფილი მართალია, 1998 წლის სავალუტო კრიზისის დროს ოფიციალური რეზერვების მკვეთრად შემცირების შემდეგ მათი მოცულობა საგრძობლად გაიზარდა, მაგრამ მათი ღონე ჯერ კიდევ არასაკმარისია. შესაბამისად, ეროვნული ბანკის მცდელობა მიმართული იქნება სავალუტო რეზერვების ინტენსიურად შეგებისაკენ, რომ მათი მოცულობა 2005 წლისათვის გაუტოლდეს არანაკლებ 3-4 თვის იმპორტის მოცულობას, რაც საერთო მაკროეკონომიკური მდგრადობისათვის აუცილებელი პირობა იქნება.

იმის გამო, რომ სავალუტო ინტერვენციები უზრუნველყოფილი ემისი-აა, აღნიშნული ტაქტიკა ხელს შეუწყობს ფულის არაინფლაციურ მიწოდებასაც და, ამდენად, ეკონომიკის მონეტარიზაციის გამზდას ამაუდროულად, იგი შეამცირებს გაცვლითი კურსის შესაძლო რყევებთან დაკავშირებულ სავალუტო რისკს.

ამდენად, სავალუტო რეგულირების სფეროში საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა მიმართული უნდა იქნეს შიდასავალუტო ბაზრისათვის ისეთი პირობების შესაქმნელად, რომ კურსწარმოქმნა ძირითადად განპირობებული იყოს ფუნდამენტური მაკროეკონომიკური პროცესებით, ხოლო კონიუნქტურული და სპეკულაციური ფაქტორების ზეგავლენა მინიმუმამდე შემცირდეს

მიზანმიმართული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებისა და ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკური განვითარების მისაღწევად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საფინანსო შუამავლობის სისტემის დახვეწა და სრულყოფა. ამ ფუნქციას ახორციელებს საბანკო სექტორი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დროებით თავისუფალი ფინანსური რესურსის მობილიზაცია და კრედიტის სახით მისი იმ არხებში მიმართვა, სადაც ამ რესურსებზე ეკონომიკურად დასაბუთებული მოთხოვნა არსებობს ამდენად, სა-

ბანკო სისტემის განვითარებისა და მისი გამართული მუშაობის უზრუნველყოფა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულად უნდა იქნეს მიჩნეული.

ფინანსური სისტემის გარდაქმნებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საბანკო სისტემის სრულყოფა. პოსტსოციალისტური ქვეყნების კომერციულ ბანკებს განსაკუთრებული როლი აკისრია როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი ეკონომიკური რეფორმების დაჩქარების, ისე ფინანსური სისტემის გარდაქმნის საქმეში. სტრუქტურული გარდაქმნები და ეკონომიკური ზრდა ობიექტურად მოითხოვს ფინანსურ უზრუნველყოფას. თანაც კომერციული ბანკები ამ ფუნქციების შესრულებას მხოლოდ მსოფლიო პრაქტიკით აპრობირებული ფინანსური დისციპლინის განმტკიცების პირობებში შეძლებენ ამასთან, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკამ მოითხოვა საბანკო-საკრედიტო სისტემის რეფორმირება.

სოციალისტური ეკონომიკური სისტემის მონობანკები გარდაიქმნა ორი-არუსიან საბანკო სისტემად, რომელიც მოიცავს ცენტრალურ ბანკს და კომერციული ბანკების ქსელს.

საქართველოში საბანკო სისტემის გარდაქმნა ითვალისწინებდა ბანკების საქმიანობის ინსტიტუციური საფუძვლების შემუშავებას, სახელმწიფო ბანკების პრივატიზაციას, კონკურენციული გარემოს შექმნას, მათ საქმიანობაზე კონტროლის დაწესებას და მის პერმანენტულად გამკაცრებას, დამტკიცებული ნორმებისა და ნორმატივების დაცვას, ანაბრებისა და დეპოზიტების საგარანტიო სისტემის შექმნას და კომერციული ბანკების მართვის სრულყოფას.

საქართველოს საბანკო სისტემის რეფორმირება დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის საბანკო სისტემის გარდაქმნასა და სახელმწიფო ბანკის 5 სახელმწიფო სპეციალიზებულ ბანკად გარდაქმნასთან

კომერციული ბანკები მრავალმხრივ ფუნქციებს ასრულებენ, რომელთაგან აღსანიშნავია საკრედიტო, საინვესტიციო, საგადასახდელო, საანგარიშსწორებო, სამეზობლო და ნაღდი ფულის ნაკადების მართვის ფუნქციები

საბაზრო ურთიერთობების განუვითარებლობისა და ცენტრალიზებული გეგმიანი მუერნობრიობის პირობებში ჩამოყალიბებული მენტალიტეტის გამო სამოგადოების ერთ ნაწილს არასწორი წარმოდგენა ჩამოუყალიბდა კომერციული ბანკების ფუნქციონირების შესახებ. მათი აზრით, ბანკები ეკონომიკაში უნდა ასრულებდნენ მხოლოდ ისეთ ფუნქციებს, როგორცაა: დეპოზიტებზე ანაბრების მიღება და კლიენტებზე სესხების გაცემა მათთვის გაუგებარია ის ჭეშმარიტება, რომ კომერციული ბანკები კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად, იძულებულია სულ ახალ-ახალი ფუნქციები შეასრულოს შუამავლის, გადახდების განხორციელების, გარანტის, სააგენტო მომსახურების ორგანიზაციის და პოლიტიკური ფუნქციები. ამასთან, თანამედროვე კომერციული ბანკები ასრულებენ საბანკო მომსახურების გრადიციულ საქმიანობებს: ვალუტის გადაცვლის, სამეურნეო ობიექტებზე სესხების გაცემის, დეპოზიტების, ფასეულობათა შენახვის, მთავრობის საქმიანობისადმი სესხებით მხარდაჭერის, მოთხოვნამდე დეპოზიტების და საგრასტო მომსახურების.

გვხვდება საწინააღმდეგო მოსაზრებაც. მიუხედავად იმისა, რომ სამეურნეო სუბიექტების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაში ბანკების როლი დიდია, მათი გადაჭარბებული შეფასება საეჭვოა. ასე მაგალითად, მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, „საბანკო სისტემის მოწყვეტა ეკონომიკისაგან იწვევს მწვავე ფინანსურ კრიზისს, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებას და წარმოების მოცულობის დაქვემდებარებას.“¹

რა თქმა უნდა, საბანკო სისტემას ამ მოვლენებზე გეგაუენის მოხდენა შეუძლია, მაგრამ მათი გამომწვევი მიზეზი იგი არ შეიძლება იყოს.

თანამედროვე კომერციული ბანკების საქმიანობის ერთ-ერთი პრობლემური საკითხია ანაბრების გარანტირების სისტემის ჩამოყალიბება ამ სისტემას თავისი მიზნები გააჩნია დანამოგების სტიმულირება, რომლებიც რეალური ინვესტიციებისათვის აუცილებელია და რომლებიც უზრუნველყოფს

¹ *კოვანაძე ი.*, კომერციული ბანკების ფუნქციონირებისათვის, ე „სოციალური ეკონომიკა“, 2001, № 1, გვ 102

ქვეყნის მასშტაბით დაგროვების შედარებით მაღალ ნორმებს; მენაბრეთა ეკონომიკური ინტერესების დაცვა, განსაკუთრებით მცირე ანაბრების მქონე მოსახლეობის ფართო ფენებისა, საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება და მისი უკრიზისო განვითარება.

საქართველოს კომერციული ბანკები სისტემას სერიოზული სირთულეები და პრობლემები გააჩნია, რომლებიც მათ საშუალებას არ აძლევს ოპტიმალურად მოემსახურონ როგორც სამეურნეო სუბიექტებს, ისე საოჯახო მეურნეობებს ამ სირთულეებიდან აღსანიშნავია. 1. კომერციული ბანკების აღმოცენება მოხდა სამართლებრივი ბაზისა და სამედიცინო დეველოპმენტების არარსებობის პირობებში; 2. მძიმე მაკროეკონომიკური ფონი; 3. რისკის ფაქტორის სიმწვავე; 4 საბანკო კაღრების შერჩევის არასწორი პრაქტიკა და მათი კვალიფიკაციის დაბალი დონე, 5. ანაბრების მართვის მოუვებლობა და ბანკებისადმი ნდობის დეფიციტი.

იმ უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს შორის, რომლებსაც კომერციული ბანკები ახორციელებენ, განსაკუთრებული ადგილი უკავია ეროვნული ეკონომიკის საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფას

ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი უნდა გახდეს ეკონომიკის რეალური სექტორის დაკრედიტების სტიმულირება საქართველოს ეროვნული ბანკის, სტაგისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მონაცემების საფუძველზე ჩატარებულმა გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ ქვეყნის კომერციული ბანკების კაპიტალიზაციის საშუალო დონე შეადგენს დაახლოებით 9-10 მლნ ლარს. საკრედიტო რესურსების ეს მოცულობა შეიძლება არ ეყოს მცირე და საშუალო საწარმოებსაც კი (მაშასადამე, მსხვილი და უმსხვილესი საწარმოების ფინანსური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება კომერციული ბანკების მიღმაა დარჩენილი

„ეპარდების რეგულაციაში“ კეთილმოყოფელი გავლენა მოახდინა საბანკო სისტემის განვითარებაზე

2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს საბანკო სექტორში ირიცხებოდა 21 საბანკო დაწესებულება, რომელთაგან 19 საქართველოს

რეზიდენტი კერძო კომერციული ბანკია, ხოლო 2 – თურქეთისა და აზერბაიჯანის ბანკების ფილიალები იყო.

კომერციული ბანკების კაპიტალში უცხოური ინვესტიციების მონაწილეობით საქართველოში ფუნქციონირებდა 10 ბანკი, რომელთა წილი საბანკო სექტორის მთლიან აქტივებში 69,6%-ს შეადგენდა 2004 წლის განმავლობაში საქართველოს რეზიდენტი კომერციული ბანკების კაპიტალში უცხოური ინვესტიციები უმნიშვნელოდ გაიზარდა და საბანკო სექტორის მთლიანი კაპიტალის 33,2% შეადგინა უცხოური ინვესტიციების მონაწილეობით მოქმედი ბანკებიდან 6 ბანკის კაპიტალში უცხოელები ფლობდნენ 50%-ზე მეტს წილს და მათი ერთობლივი წილი საბანკო აქტივების 58,1%-ს შეადგენდა უცხოური კაპიტალის მონაწილეობით მოქმედი 10 კომერციული ბანკიდან 5 ბანკის კაპიტალში ინვესტიციები განხორციელებული აქვთ სხვადასხვა უცხოურ და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, რომელთაგან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) წილს ფლობდა 3 ბანკის კაპიტალში, „საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია“ (IFC) – 2 ბანკში, გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანია (GEG) – 2 ბანკში, გერმანიის „აღმშენებლობის საკრედიტო დაწესებულება“ (KIW) – 1 ბანკში, გერმანული „საერთაშორისო მიკროსაფინანსო სააქციო საზოგადოება“ (IMI) – 1 ბანკში, გერმანული „კომერცბანკი“ – 1 ბანკში, საბერძნეთის „ემპირიკი ბანკი“ – 1 ბანკში, გერმანული „საერთაშორისო საპროექტო კონსალტინგი“ (IPC) – 1 ბანკში. მთლიანად საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ერთობლივი წილი საქართველოს საბანკო სექტორის კაპიტალში 20,2%-ს შეადგენდა

2004 წელს გაიზარდა უცხოური ბანკებისა და ინვესტორების ინტერესი საქართველოს საბანკო ბაზრისადმი.

განელებილი ათწლეულის განმავლობაში ბანკების რაოდენობის შემცირების მიუხედავად, საბანკო საქმიანობის განვითარების შედეგად საბანკო სექტორი ყოველწლიურად დინამიკურად იზრდებოდა და აღემატებოდა ეკონომიკის სხვა სექტორების ზრდის ტემპებს 2004 წლის განმავლობაში საბანკო აქტივები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით გაიზარდა 15,7%-

დან 17,3 %-მდე, მთლიანი სესხები – 9,2 %-დან 9,8 %-მდე, ვალდებულებები – 11,6 %-დან 13,5 %-მდე, დეპოზიტები – 8,5 %-დან 9,9 %-მდე.¹

საბანკო სექტორის მნიშვნელოვანი ზრდის ტემპებზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში საბანკო აქტივები ყოველწლიურად არანაკლებ 20 %-ით იზრდებოდა მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციებით ხასიათდებოდა 2004 წელიც კერძოდ, საბანკო სექტორის მთლიანი აქტივები გაიზარდა 28 %-ით, წმინდა სესხები – 24 %-ით, ვალდებულებები – 35 %-ით, დეპოზიტები – 34 %-ით, ნასესხები სახსრები – 40 %-ით, კაპიტალი – 7 %-ით.

2004 წლის განმავლობაში საბანკო სექტორის მთლიანი აქტივები ლარებით გაიზარდა 45,7 %-ით, უცხოური ვალუტით 35,4 %-ით და შეადგინა 1699 მლნ ლარი. ზრდა ძირითადად განპირობებული იყო ბანკებში დეპოზიტებისა და ნასესხები სახსრების ზრდით საბანკო სექტორის მთლიანი აქტივების 53 %-ს შეადგენდა წმინდა სესხები, 31 %-ს – ფულადი სახსრები, 4 %-ს – უსაიანი ქალაღლები. კომერციული ბანკების აქტიური ოპერაციები ძირითადად კონცენტრირებული იყო საკრედიტო და საანგარიშსწორებო საქმიანობაზე, რამაც ასახვა პოვა ამ სახის საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვან ხვედრით წილზე მთლიან შემოსავლებში

საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფული 2004 წლის განმავლობაში ლარებით 57,4 %-ით გაიზარდა, უცხოური ვალუტით – 35,2 %-ით და შეადგინა 965 მლნ ლარი ბანკების საკრედიტო საქმიანობა კონცენტრირებული იყო კერძო სექტორის დაფინანსებაზე, რომლის ხვედრითმა წილმა საკრედიტო პორტფულის 98 % შეადგინა. ბანკების მიერ გაცემული სესხების 34 % მოდიოდა ვაჭრობასა და მძიმე სახეობებზე, 29 % – ფიზიკურ პირებზე, 14 % – მრეწველობაზე, ხოლო დანარჩენი დარგებისათვის გაცემული სესხებიდან თითოეული არ აღემატებოდა საკრედიტო პორტფულის 8 %-ს. ამ კუთხით წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით განსხვავება უმნიშვნელო იყო. საკრედიტო პორტფულის ზრდასთან ერთად 2004 წელს ბან-

¹ მონაცემები აღებულია საქართველოს ეროვნული ბანკიდან

კებმა მნიშვნელოვნად გააქტიურეს გრძელვადიანი დაკრედიტობა, რის შედეგადაც გრძელვადიანი (საქართველოს დღევანდელი რეალობისათვის 1 წელზე მეტი) სესხების ხვედრითი წილი მთლიან სესხებში გაიზარდა 11%-ით და 2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 61% შეადგინა. საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელის 90 პროცენტს საიმედო სესხები შეადგენს

საქართველოს სინამდვილეში ფინანსური ბაზრის წარმატებული განვითარება საშური საქმეა აქ, თავისი სიგყვა უნდა თქვას კომერციულმა საბანკო სისტემამ. საერთოდ, კომერციული ბანკების მდგრადობა მჭიდროდაა დაკავშირებული კერძო ბიზნესის განვითარებასთან მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ეკონომიკის სამეურნეო სუბიექტების განვითარება სერიოზულ სიძნელეებს განიცდის, საბანკო სექტორის ინსტიტუციური მოწყობა სწორი სტრატეგიული მიმართულებით ვითარდება, რაც შემდგომში მიზანმიმართულ, თანმიმდევრულ და ეტაპობრივად განვითარებადი ტაქტიკური ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს

საბანკო სისტემის შემდგომი განვითარება აგებული უნდა იქნეს უნივერსალური საბანკო სისტემის პრინციპებზე და მისი განვითარება დამოკიდებული იქნება აქტიურობაზე, რამდენადაც ბანკების სიძლიერე დამოკიდებულია აქტიურ, ძლიერ კლიენტებზე და პირიქით. დღეის მდგომარეობით საქართველოს საბანკო სისტემის ინსტიტუციონალური მოწყობა და ინფრასტრუქტურა შეესაბამება ბაზრის არსებულ მოთხოვნილებებს და ძირითადად აკმაყოფილებს საბანკო მომსახურებით დაინტერესებულ პირთა და კომპანიათა საჭიროებებს.

საბანკო საქმიანობა საჭიროებს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამის ზედამხედველობას, რათა ქვეყანაში საბანკო საქმიანობა განვითარდეს სწორი მიმართულებით, მინიმიზირებული იქნეს სისტემური რისკების წარმოქმნის ალბათობა და უზრუნველყოფილი იქნეს საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირება. ამ მხრივ საქართველოში საბანკო ზედამხედველობის პოლიტიკა ეფუძნება საერთაშორისო ორგანიზაციის – საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებული „ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის ძირითად პრინციპებს“ საქარ-

თველოში საბანკო საქმიანობის ზედამხედველობა და, შესაბამისად, თვით კომერციული ბანკების საქმიანობა განვითარდება ამ ძირითადი პრინციპების შესაბამისი პოლიტიკისა და პროცედურების გამოყენებით

საბანკო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბანკების კაპიტალიზაციის დონის ამაღლებას, მათ მიერ რისკების მართვისა და ლივერსიფიკაციის საკითხებს, კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვას, შიდა კონტროლის სისტემების სრულყოფას. ფინანსური შუამავლობის განვითარებისა და საბანკო მომსახურებით დაინტერესების შემდგომი სტიმულირებისათვის ხელი უნდა შეეწყოს ბანკების ფილიალების ქსელის გაფართოებას და საბანკო ანგარიშსწორების დროის რეალურ რეჟიმში გადაყვანას.

ბანკების პროდენციული ნორმებით რეგულირების მხრივ ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს კომერციული ბანკებისათვის მინიმალური კაპიტალის გაზრდა, რაც დღეისათვის შეადგენს 5 მლნ ლარს საქართველოს კანონმდებლობის ევროსტანდარტებთან პარმონიზაციის მიზნით, სხვა საკითხებთან ერთად აუცილებელი იქნება მინიმალური კაპიტალის ეკაპობრივად ზრდა ისე, რომ 2015 წლისათვის იგი შესაბამებოდეს ევროგაერთიანების „საბანკო საქმიანობის მეორე დირექტივით“ განსაზღვრულ 5 მლნ ევროს. კაპიტალიზაციის ამაღლება ხელს შეუწყობს ბანკების გაჯანსაღებას და საბანკო სისტემაში კონსოლიდაციის გაღრმავებას სამეწარმეო საქმიანობის განვითარების და ბანკების გამსხვილების კვალობაზე, უნდა გაფართოვდეს ბანკების ფილიალების ქსელი, რათა რეგიონებში გაძლიერდეს ბანკებს შორის კონკურენცია და საბანკო მომსახურების ხარისხი.

კომერციული ბანკების სტრატეგიული განვითარებისა და ოპერატიული საქმიანობის გაუმჯობესებისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბანკების უცხოურ საკრედიტო ხაზებში მონაწილეობის გაფართოებას, ვინაიდან ამ პროცესში თანდათანობით იხვეწება საბანკო საქმიანობა და უახლოვდება საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ წესებს და ნორმებს.

საბანკო სექტორის უსაფრთხოებისა და საზოგადოების მხრიდან მის-

ღამი ნდობის გარმაგების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დეპოზიტების დაზვევის სისტემის ჩამოყალიბებას ხელისუფლებას დასახული აქვს საინტერესო ღონისძიებები, რათა გაგრძელდეს მუშაობა მისი ინსტიტუციონალური მოწყობის ოპტიმალური მოდელის შესარჩევად და დაზვევის ფონდის პირველადი დაფინანსების წყაროს გამოსავლენად იმ ვარაუდით, რომ 2010 წლისათვის დეპოზიტების დაზვევის სისტემამ სრულფასოვნად იფუნქციონიროს.

ბანკების მიერ საკრედიტო რისკის მართვისა და საკრედიტო კულტურის გაუმჯობესების უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ქვეყანაში საკრედიტო ბიუროს ინსტიტუტის ჩამოყალიბება საკრედიტო ბიუროს ამოქმედება მომგებიანია როგორც კომერციული ბანკისათვის, ისე პოტენციური მსესხებლისთვის, ვინაიდან საკრედიტო ბიუროს მეშვეობით, ერთი მხრივ, კომერციული ბანკი მიიღებს ინფორმაციას მსესხებლის საკრედიტო შესაძლებლობების შესახებ, რაც გაუადვილებს მას საკრედიტო რისკის მართვას, ხოლო, მეორე მხრივ, კარგ გადამხდელს მისცემს ბანკის მხრიდან ნდობის მოპოვების და კრედიტის უფრო იოლად მიღების საშუალებას.

საკრედიტო კავშირების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად საბანკო სისტემაში შემოდის კოოპერაციის ელემენტი. საკრედიტო კავშირები, როგორც მათი წევრების „ურთიერთდახმარების საღარო“ მხოლოდ თავისი წევრებიდან მიიღებს დეპოზიტებს და სესხებსაც გასცემს მხოლოდ მათზე საკრედიტო კავშირების განვითარება ძირითადად სოფელზე იქნება ორიენტირებული, ვინაიდან რიგი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები დაინტერესებას გამოხატავენ საკრედიტო კავშირების მეშვეობით განახორციელონ ინვესტიციები საქართველოს აგროსექტორში. თითოეული საკრედიტო კავშირის მიერ განხორციელებული საქმიანობის მასშტაბი უმთავრესად დამოკიდებული იქნება მისი წევრების რაოდენობაზე და მათ ფინანსურ შესაძლებლობებზე. მსოფლიოს სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, საკრედიტო კავშირების ზრდის კვალობაზე მომავალში ადვილი შესაძლებელია შეიქმნას საკრედიტო კავშირების გაერთიანებები და ასო-

ციაციები, რომლებიც შემდგომში შეიძლება გარდაიქმნან კომერციულ ბანკებად.

განვითარებულ ქვეყნებში ურთიერთ კრედიტის ფონდები მნიშვნელოვან ფულად სახსრებს აბანდებენ კორპორაციულ აქციებსა და ობლიგაციებში ისინი ფულს ღებულობენ ფიზიკური პირებისაგან და მას განათავსებენ სპეციფიკურ სახეობათა აქტივებში.

2004 წლის საბანკო სექტორის საოპერაციო მოგებამ შეადგინა 70,9 მლნ ლარი, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 9 მლნ ლარით ნაკლებია ასევე შემცირდა (22 მლნ ლარით) საბანკო სექტორის წმინდა მოგების მაჩვენებელი და 27,5 მლნ ლარი შეადგინა წინა წელთან შედარებით საბანკო სექტორის მოგების ნაერთი მაჩვენებლების შემცირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ბანკებში სასესხო საპროცენტო განაკვეთის შემცირებამ და სავალუტო კურსის ცვლილების გამო უცხოური ვალუტით გაცემული სესხებიდან ეროვნული ვალუტით გამოსახული შემოსავლების შემცირებამ.

საქართველოს კომერციულ ბანკებში ჩამოყალიბდა საინტერესო გენდენცია – საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შემცირების თვალსაზრისით 2004 წლის განმავლობაში საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელის 3/4-ის საპროცენტო განაკვეთი ძირითადად მერყეობდა 10-25 % შუალედის საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხების წილი მთლიან სესხებში, ამავე დროს გაიზარდა 10-15 % საპროცენტო განაკვეთით გაცემული სესხების წილი.

საქართველოს საბანკო სექტორში დეპოზიტების დიდი ნაწილი კვლავ კონცენტრირებულია უცხოური ვალუტით, თუმცა სახეზეა მისი შემცირების ტენდენცია კერძოდ, 2004 წლის განმავლობაში საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი 86 %-დან 74 %-მდე შემცირდა. ამის შედეგად საბანკო დეპოზიტებში დედოლარიზაცია ყველაზე მეტად აისახა მიმდინარე დეპოზიტებზე. კერძოდ, მიმდინარე დეპოზიტების დოლარიზაცია 75 %-დან 55 %-მდე შემცირდა ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი უმნიშვნელოდ შემცირდა, რაც ძირითადად განპირობებული იყო იმ ფაქტორით, რომ საზოგადოება ფულადი დანაშობების გარკვეული ვადით შენახვისათვის უპირატესობას ჯერ კიდევ უცხოურ ვალუტას ანიჭებს,

მეცა თითქმის უმოქმედოა, თვითონ საჯარო ინვესტიციების წყარო არ გააჩნია, ფინანსური ინექციები მან ძირითადად გარედან უნდა მიიღოს.¹

2. სოფლის მეურნეობის ფერმერულ და გლეხურ მეურნეობებად გარდაქმნა;

3. მეწარმეების მაქსიმალური ეკონომიკური თავისუფლება;

4. პრივატიზებულ საწარმოთა ეფექტიანობის ამაღლება;

5. სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სახელმწიფოს ჩარევის ყოველმხრივი შემლუღვა.

როცა ვეხებით ეროვნული მეურნეობის გამოცოცხლების საკითხებს, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დაგვრჩეს ფინანსური სისტემის სრულყოფის პრობლემები მიკროდონეზე

როგორც ცნობილია, ეროვნული ეკონომიკის რეგულირება და სტიმულირება მიკროდონეზე ხორციელდება დეცენტრალიზებული ფინანსების დახმარებით, რომელსაც მიეკთვნება საკუთრების სხვადასხვა ფორმის სამეურნეო სუბიექტების (სახელმწიფო, მუნიციპალური, სააქციონერო, კერძო და სხვ.) ფინანსები ამ დონეზე ფინანსური სისტემის მიერ ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის ფორმირება ხდება სწორედ საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოთა ფინანსების მდგომარეობაზე დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია

ეკონომიკურ სუბიექტებს ფინანსური სისტემის გარდაქმნის პროცესში მინიჭებული უნდა ჰქონდეს რეალური ფინანსური და სამეურნეო თავისთავალობა, რომ დამოუკიდებლად განკარგონ საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან ამონაგები, მოგება, შექმნან საწარმოო და სოციალური ფონდები, საინვესტიციო მიზნებისათვის გამოიყენონ საკუთარი და ფინანსური ბაზრიდან მობილიზებული რესურსები, შეასრულონ სახელმწიფოს წინაშე აღებული საგადასახადო ვალდებულებები

ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის პრობლემები, რომლებიც საწარმოებს ჯერ კიდევ გააჩნიათ გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, კერ-

¹ მალაშხია გ., მეტა-ეკონომიკის ფილოსოფია, თბ., 1995, გვ 52

ძოდ, საბიუჯეტო მექანიზმის საწარმოო სექტორზე ნეგატიური ზემოქმედების პოზიციებიდან. ასევე, ჯერჯერობით უმნიშვნელოა ბიუჯეტის როლი საინვესტიციო პროექტების და ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის საქმეში

არადა, ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად ქვეყნის საბიუჯეტო პოლიტიკა მიმართული უნდა იქნეს საწარმოებისა და დარგების ფინანსური გაჯანსაღების პროცესის სახელმწიფო რეგულირებისაკენ, მათი საინვესტიციო პოტენციალის შესაქმნელად, ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებს შორის ფინანსური ურთიერთობების სრულყოფისათვის.

ეკონომიკის რეალური სექტორის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის აუცილებელია ისეთი წინაპირობების არსებობა, როგორცაა. ფულად-საკრედიტო ურთიერთობების ნორმალიზაცია, ეროვნული ვალუტის სტაბილიზაცია, ფასწარმოქმნის სრულყოფა, სამეურნეო სუბიექტებისა და კომერციული ბანკების ლიკვიდობის ამაღლება

ფინანსური სისტემის წარმატებული რეფორმების უზრუნველსაყოფად ქვეყანამ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია „ეარდბის რევილუციის“ შემდგომ განვლილ პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ ეს პერიოდი არ გამოირჩევა ხანგრძლივობით, მაინც მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული განვლილ 2004 წელს ეროვნულ ეკონომიკაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ახალი ხელისუფლების საბიუჯეტო პოლიტიკამ, რომელიც ქვეყანაში ფინანსური წესრიგის განხორციელებულ საგანგებო ღონისძიებებს ეყრდნობოდა თანაც, საბიუჯეტო პოლიტიკაში ასახული იქნა ის რეფორმისტული ღონისძიებები, რომლებიც 10-12 წლის განმავლობაში ვერ განხორციელდა წინა ხელისუფლების დანაშაულებრივი უნიათობის გამო. თუ წინამორბედი ხელისუფლების მიერ ფინანსური სისტემის რეფორმების ჩაშლისა და ქვეყანაში ნეგატიური მოვლენების აღმეგების შედეგად პერმანენტულად არ სრულდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზები, სწორედ ამის გამო 1996-2003 წლებში ბიუჯეტის დეფიციტმა 1530 მლნ ლარს გადაამეტა, მაშინ, როდესაც ახალმა ხელისუფლებამ საგადასახადო და საბაჟო აღმინისტრირების გამკაცრებით გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა პარამეტრის დასახული საგეგმო დავალებები

როგორც აღვნიშნეთ, 2004 წლიდან ძალაში შევიდა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ კანონი, რომლითაც ძირფესვიანად შეიცვალა საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები, საბიუჯეტო პროცესი, საბიუჯეტო კლასიფიკაცია I იანვრიდან შემოღებული იქნა კონკრეტული საბიუჯეტო კალენდარი, სიახლეები დაინერგა საბიუჯეტო ანგარიშგების წესებსა და პროცედურაში, მნიშვნელოვნად შემცირდა საბიუჯეტო სუბიექტების რაოდენობა, გაიზარდა შუალედური რგოლების დამოუკიდებლობა მათი ფუნქციების განსაზღვრაში, ძირეულად შეიცვალა ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფის მეთოდიკა, ამიერიდან უპირატესობა ენიჭება პროგრამულ დაფინანსებაზე გადასვლას, რითაც სახსრების ხარჯვა გამჭვირვალე გახდა, თანაც მიზნობრიობა და ეფექტიანობა წინა პლანზე იქნა წამოწეული

აღნიშნული კანონით გაუქმდა სპეცსახსრების ინსტიტუტი და ხაზინაში დაიხურა საბიუჯეტო დაწესებულებების სპეციალური შემოსავლების ანგარიშები და აუთისებელი სახსრები ბიუჯეტში ჩაირიცხა როგორც წინა თაეში აღვნიშნეთ, ქვეყნის ცენტრალურ ბანკში დაიხურა 12500 სატრანზიტო ანგარიში და ხაზინაში გაიხსნა ერთიანი ანგარიში ამით, პირველად. ქვეყანაში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ფინანსური წესრიგის დასამყარებლად.

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ კანონის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა დამატებითი ნორმატიული აქტები და ბრძანებები, რომელთა ძალითაც სპეცსახსრების ანგარიშზე რიცხული სახსრები ჩაირიცხა არასაგადასახადო შემოსავლების ანგარიშზე გამოიყენა ბრძანება „ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გაწეული ფასიანი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების ბიუჯეტში ანგარიშსწორების წესის შესახებ“, რითაც სახსრების ხარჯვა გამჭვირვალე გახდა და მოისპო მათი არამიზნობრივად ხარჯვის შემთხვევები 2004 წელს განხორციელდა სახელმწიფო ფინანსების მართვის სხვა მნიშვნელოვანი რეფორმები, რითაც მიღწეული იქნა საბიუჯეტო სახსრების მობილიზაციისა და ხარჯვის მოქნილი და გამჭვირვალე მექანიზმის შექმნა.

უკანასკნელ პერიოდში ფასების სტაბილურობის შენარჩუნება სერიოზული სირთულეებით ხასიათდებოდა ინფლაციურ ფონს ქმნიდა როგორც საში-

ნაო, ისე საგარეო ფაქტორები, განსაკუთრებით ახალი მთავრობის მიერ დაწყებული ეკონომიკის ლეგალიზაციის პროცესი და საერთაშორისო ბაზარზე ენერგომატარებლებზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა მიუხედავად ამისა, 2004 წლის განმავლობაში სამომხმარებლო ფასების ინდექსი მხოლოდ 7,5 %-ით გაიზარდა. საბაზო ინფლაციის დაბალი ზრდის ტემპი განაპირობა ქვეყანაში მომხდარმა სასიკეთო გარდაქმნებმა და სწორმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ. თუმცა, 2005 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით ინფლაციის დონემ 8,6 %-ს მიაღწია. გაზაფხულის სტიქიურმა მოვლენებმა კიდევ უფრო დაამძიმა მდგომარეობა და სასიკეთო ძვრები არ იქნა მიღწეული სამომხმარებლო ფასების სტაბილიზაციის თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ 2004 წელს ქვეყანამ შეინარჩუნა ინფლაციის დაბალი ტემპები, მთელი რიგი ადგილობრივი ნაწარმისა და მომსახურების ფასები და ტარიფები ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, რამაც კიდევ უფრო გააუარესა მოსახლეობის ცხოვრების დონე. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით ქვეყნის მოსახლეობის 52 % სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს, 14 % კი ამ ზღვარს მიღმა იმყოფება

2004 წელს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოება არახელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატურმა პირობებმა დიდად დაზარალა. 2003 წელთან შედარებით ხორბლეულის წარმოება 17,5 პროცენტით შემცირდა, სიმინდის – 11,2 პროცენტით, ციტრუსების კი – 35,8 პროცენტით. მთლიანობაში სოფლის მეურნეობაში შექმნილი დამატებული ღირებულება 6,7 პროცენტით შემცირდა, ხოლო ამ დარგის ხვედრითი წონა მშპ-ის მიმართ 3,1 პროცენტით დაეცა და 16,2 პროცენტი შეადგინა.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაში შექმნილ არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობა თითქმის მთელი წლის განმავლობაში არახელსაყრელ ამინდთან ერთად, დარგის ბუნებრივი რისკების მიმართ მომზადების დაბალი დონითაც იყო განპირობებული. კერძოდ, დარგში ჩატარებული რადიკალური აგრარული რეფორმისა და სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ტექნიკურ-ფინანსური დახმარების მიუხედავად, ამ სექტორის მეტად სუსტი მაკროეკონომიკური

ბაზა არ იძლევა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებაში გარანტირებული მოსავლის მიღების საშუალებას, რაც 2004 წლის შედეგებმაც დაადასტურა და ნათლად წარმოაჩინა ის პრობლემები, რომლებიც რეალურად არსებობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მელიორაციის, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, პროდუქციის რეალიზაციის და, საერთოდ, დარგის ინტენსიური განვითარების უზრუნველყოფის აბსოლუტურად ყველა სფეროში, რომელთა გადაჭრის გარეშე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის რაიმე არსებითი გაუმჯობესება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება

სწორედ, არახელსაყრელმა ბუნებრივ-კლიმატურმა პირობებმა განაპირობა სურსათზე საცალო ფასების ზრდა

ამრიგად, ზოგიერთი სახის საქონლის ფასების მკვეთრი ზრდა განპირობებული იყო: საქმიანი აქტივობის ლეგალიზაციით, რაც დაუკვირვებადი ეკონომიკის შემღვდვითა და კონგრახანდული საქონლის მნიშვნელოვანი შემცირებით გამოიხატება იმპორტული საქონლის ეფექტიანი დაბეგრით, როდესაც საბაჟო გადასახადის მნიშვნელოვანი ნაწილი სარეალიზაციო საქონლის ფასებზე დაემატა; საგადასახადო აღმინისტრიების რადიკალური გაუმჯობესებით და არახელსაყრელი კლიმატური პირობების შედეგად სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების ზრდით.

ეროვნული მეურნეობების განვითარების პრობლემებთან დაკავშირებით, უნდა შევხვთ ბიუჯეტის დეფიციტის ზრდის ნეგატიურ მოვლენებს.

გარდამავალი ეკონომიკის ყველა ქვეყანა საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ ეროვნული უსაფრთხოების პომიციებიდან მეტად საშიშია სახელმწიფო ბიუჯეტის გამრდა მასში იმანენტურად არის ჩაქსოვილი ფასების ზრდისა და წარმოების დაცემის საშიშროება. თანაც, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით პოსტსოციალისტურ სივრცეში დეფიციტის ზრდა მეტად მტკივნეულია. აუცილებელია, საქართველოში დეფიციტთან მიმართებაში სახელმწიფომ უფრო მეტი სიმკაცრე გამოიჩინოს, თუნდაც იმიტომ, რომ ეროვნული მეურნეობა წარმოების ელასტიკურობისა და ეფექტიანობის დაბალი ხარისხით ხასიათდება

ამ ქვეყნების გამოცდილება იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ბიუჯეტის დეფიციტის პირობებში ეკონომიკის სტაგნაციისა და ნეგატიური საინვესტიციო კლიმატის ფორმირების დიდი შესაძლებლობაა სწორედ ამიტომ აუცილებელია საქართველოს მთავრობამ გაამკაცროს სახელმწიფო ხარჯების მართვა და შეიმუშაოს სახელმწიფო ვალის დაფარვის სტრატეგიული გეგმა ამის ნათელმაგალითად გამოდგება ჩინეთი. მთავრობის ძალისხმევით რეფორმების ოცი წლის განმავლობაში სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ-სთან მიმართებაში ორჯერ არის შემცირებული.¹ ჩინეთის ხელისუფლებისაგან განსხვავებით ხარჯების შემცირებისა და გამკაცრების ნაცელად, პოსტსოციალისტური ქვეყნების დიდი ნაწილი ირჩევს ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის კრედიტის ან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსების გზით. ეს გზა კი კიდევ უფრო ართულებს საინვესტიციო კლიმატს ამის ნათელი დადასტურებაა რუსეთის მთავრობის გამოცდილება. ეს მეთოდი ასუსტებს ინფლაციურ მოლოდინს, მაგრამ შინაგანი საინვესტიციო წყაროების მოზიდვის პრობლემა მაინც გადაუწყვეტელია უფრო მეტიც, საწარმოებისათვის იგი არასასურველ საინვესტიციო პროცესს აძლიერებს. ძვირდება საპროცენტო განაკვეთი, რაც გამოწვეულია ბანკების მიერ ფასიანი ქაღალდების შექენითა და საკრედიტო რესურსების შემცირებით

სამეურნეო სუბიექტის ჩარჩოებში კაპიტალის მოძრაობის მართვის ეფექტიანობის ამაღლებისათვის გასათვალისწინებელია გარკვეული მიზნის არსებობა, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს ამა თუ იმ ფინანსური გადაწყვეტილების ეფექტიანობა. მიუხედავად იმისა, რომ ფირმას ერთი ან რამდენიმე მიზანი გააჩნია, მისი მთავარი ამოცანა უნდა გახდეს ფირმის მფლობელთა კეთილდღეობის მაქსიმალური ზრდა² უფრო კონკრეტულად, მთავარი მიზანი მოგების მაქსიმიზაციაში ელინდება. თუმცა, სამეურნეო სუბიექტის მიზნის ასეთი გაგება ნაკლებად გლობალურია, ვიდრე აქციონერთა კეთილდღეობის მაქსიმიზაცია.

¹ *Гжегож В.*, От шока к терапии Политическая экономия постсоциалистических преобразований М ЗАО "Журнал Эксперт" 2000, стр 5

² ფირმის შესაკუთრეთა კეთილდღეობა ასოცირდება ფირმის აქციების საბაზრო ფასში

საყურადღებოა, რომ ფირმის საერთო მოგების მოცულობა თითოეული აქტივისაგან მიღებულ მოგებაზე ნაკლებად მნიშვნელოვანია.

მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის სიმტკიცის მთავარი დარგის – ქვეყნის სამრეწველო პოტენციალი უმეტესწილად აუზმოქმედებელია. სწორედ ამაზე მეტყველებს ოფიციალური მონაცემებიც 2004 წელს, 1990 წელთან შედარებით, საქართველოს სამრეწველო საწარმოებმა 4,1-ჯერ ნაკლები პროდუქცია გამოუშვეს. ამ პერიოდში მრეწველობის პროდუქციის მოცულობის ხვედრითი წონა მთლიან შიდა პროდუქტში 11,4 პროცენტამდე შემცირდა. რამ განაპირობა ამ სტრატეგიული დარგის ასეთი დაკნინება? ქვეყანაში ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხი ჯერაც არ არის გაცემული ეკონომისტების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ მრეწველობის დაკუმის მიზეზები უნდა ვეძებოთ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების არასწორ მოქმედებაში, თითქოს ისინი უარს ამბობენ დარგის დაფინანსებაზე ეს ეკონომისტები გადაჭრით მოითხოვენ მკაცრი პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას. ცნობილი პრაქტიკოსი ეკონომისტი ანზორ ბაბუხაია აკრიტიკებს რა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორექსონდენტს ვლადიმერ პაპაევს, წერს: „ჩემი უღრმესი პატივისცემის მიუხედავად, მას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები, რომ ქვეყნის ინდუსტრიული განვითარებისათვის დამლუპეული იქნებოდა პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება; ჩვენი მთავარი მიზნის მიღწევის საშუალება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობაა, სამამულო ბაზრის დაცვის მხარდაჭერები პოსტსაქმონსები არიან; ხელისუფლებაში მოსული მრეწველობის წარმომადგენლები თავიანთი ლობისტობით ლუპავენ იმ დარგს, რომლის ინტერესების დაცვასაც ფიქრობენ და ცდილობენ“¹

არ შეიძლება პროფ. ვლადიმერ პაპაევს მოსაზრებას არ დაეთანხმო. რა თქმა უნდა, მეწარმეს უუკველად სჭირდება დაცვა რეკევისაგან, ფალსიფიკაციისაგან, უცხოური დემინგური პროდუქციისაგან, რისთვისაც სახელმწიფომ უნდა იმრუნოს, მაგრამ საქართველოს მრეწველობამ გამოუშვას არაკონკუ-

¹ გამ „საქართველოს რესპუბლიკა“, № 150, 26 ივნისი, 2005 წელი

რენტუნარიანი საქონელი და ასეთი საქონლის გამოშვება დააფინანსოს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა, ძირშივე მცდარი და მიუღებელია ეს ორგანიზაციები არ იშორებენ ფინანსურ დახმარებებს ენერჯეტიკის, სოფლის მეურნეობის თუ სანეღლელო ბაზის განვითარებისათვის, რომლის მომხმარებელი ქვეყნის მოსახლეობა იქნება. მაგრამ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ძირითადი კაპიტალის მოძველებისა და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის გამო მსუბუქი, მანქანათმშენებლობისა თუ რადიოტექნიკური საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქცია ვერ გაუძლებს კონკურენციას და მათი წარმოება ძვირი დაჯდება, ეს კი გამოიწვევს მათ გაკოტრებას შეიძლება მკაცრად იყოს მინიშნებული, მაგრამ ურეა-პატრიოტიზმის ნათელ მაგალითად მიგვანია ა ბაბუხადიას შემდეგი მოსაზრება: „თურმე საქართველოში საერთოდ არ უნდა აწარმოონ საქონელი თუ ასეთივე საქონელი სხვა ქვეყანაში უფრო იაფი ჯდება, არ უნდა იმუშაოს მეტროპოლიტენმა, თუ ის არარენტაბელურია და სახელმწიფოს მოგებას არ აძლევს“ „ამ საერთაშორისო ორგანიზაციების სტრატეგიული მიზანია დამოუკიდებლობის გზაზე მდგომი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის შესუსტება, რის შედეგადაც ესა თუ ის ქვეყანა მისი მრავალმხრივი რეალური პოტენციალის მიუხედავად, მწარმოებელი ქვეყნიდან მომხმარებელ სამოგადოებად უნდა გადააქციონ“.¹

მეწარმეობის განვითარება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ფინანსური სისტემის სწორი რეფორმირების გარეშე, რომელიც სამეურნეო სუბიექტების ფინანსური ხელშეწყობის როლში მოგვევლინება. საბაზრო ეკონომიკისა და კერძო საკუთრების პრინციპებზე აგებული სამეწარმეო საქმიანობის მთავარი მიზანი მოგების მაქსიმიზაციაა, რაც თავისთავად უგულვებელყოფს საქონლის წარმოებას საეკონომიკურ საწყობებისა და თაროებისათვის თუ საქონელს მომხმარებელი არ ეყოლა, ამ საქონელში განვითარებული მოგების მასაც არარეალური იქნება

სერიოზულ შესწავლა-ანალიზს მოითხოვს საგადასახადო სისტემის მო-

¹ გამ „საქართველოს რესპუბლიკა“, № 150, 26 ივნისი, 2005 წელი

დერნიზაცია – რეფორმირება, რომლის გარეშეც მიკროდონეზე (ეროვნული მეურნეობის დარგებში) წარმატებები საეჭვო გახდება.

საგადასახადო სისტემა წარმოადგენს გადასახადების გადახდევინების პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების, საგადასახადო ორგანოებისა და საგადასახადო კონტროლის, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახეთა ერთობლიობას.

საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო სისტემა მოიცავს

„ა) საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობის მონაწილეთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათ უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას;

ბ) გადასახადებს, მათი დაწესების შემოღების, შეცვლისა და გაუქმების წესებს;

გ) გადასახადების გადახდასთან და საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ფორმებს, მეთოდებსა და წესებს,

დ) საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობისას წარმომოხილ დაებათა გასაჩივრებისა და გადაწყვეტის წესს“¹

საგადასახადო სისტემის ეფექტიანობის ამაღლებისა და ქვეყნის ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკის ამოსავალ თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს საგადასახადო სისტემის პრინციპები ახალმა საგადასახადო კოდექსმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა ეს პრინციპები, კერძოდ:²

1 გადასახადის გამხმდელი ვალდებულია გადაიხადოს კოდექსით გათვალისწინებული ის გადასახადები, რომელთა გადახდა მას დაკისრებული აქვს,

2. დაუშვებელია კოდექსის დარღვევით დაწესებული და ამ კოდექსით გათვალისწინებული გადასახადის გადახდის ვალდებულების სხვაზე გადაკისრება, აგრეთვე გადასახადის გადახდევინება დადგენილ ვადაზე ადრე;

¹ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ., 2005, გვ. 6

² იქვე

3. დარიცხული გადასახადი არის ვალი სახელმწიფოს წინაშე,

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ საგადასახადო კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადები

ამასთან, გადასახადები უნდა იყოს მარტივი და სტაბილური, რომელთა განაკვეთები ხანგრძლივი დროისათვის იქნება დაწესებული.

„მართალია, დღეისათვის საქართველოს საგადასახადო სისტემა არ შეიცავს თანაბარი ზომით ყველა პრინციპებს, მაგრამ ეს არ არის საგანგაშო. საქმე იმაშია, რომ ჯერ-ერთი, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია საგადასახადო სისტემის ყველა პრინციპების პრაქტიკული რეალიზაცია. მეორეც, დემოკრატიული და გაწონასწორებული საგადასახადო სისტემის ფორმირება არაა ერთჯერადი პროცესი, იგი მოითხოვს დიდ დროს, გამოცდილებას, ფინანსებს, გრადიციების ჩამოყალიბებას და რაც ყველაზე მთავარია, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას.“¹

საქართველოში დღეისათვის საგადასახადო წნეხი არ არის ოპტიმალურად დამოკიდებული ეკონომიკურ ზრდასთან. საგადასახადო შემოსავლების დაბალი დონე შეიძლება აიხსნას სამი ძირითადი ფაქტორით

1 ესაა საბუღალტრო აღრიცხვისა და სტატისტიკის მეთოდოლოგიის გაუმართაობა;

2 საგადასახადო გვირგვინისა და საგადასახადო კოეფიციენტის სიდიდეს შორის შეუსაბამისობა ჩრდილოეთი ეკონომიკის ფართო მასშტაბების გამო;

3. საბიუჯეტო ხარჯების განაწილების არაოპტიმალურობა. მასში ჭარბობს მიმდინარე და არა კაპიტალური ხარჯები²

საგადასახადო სისტემის რეფორმირების ნაკლოვანებებს შორის საყურადღებოა გადასახადების ფისკალური და მარეგულირებელი ფუნქციების თანაფარდობის პრობლემის გადაუჭრელობა. საქმე იმაშია, რომ საგადასახადო განაკვეთების შემცირება ვერ უზრუნველყოფს ქვეყნისათვის აუცილებელი ხარ-

¹ მესხია ი., ნიკოლეიშვილი ი., გადასახადები და დაბეგვრა, თბ., 2002, გვ 35

² იქვე, გვ 44-45

ჯების დაფინანსებას იზრდება საბიუჯეტო დეფიციტი, რომელიც იწვევს სახელმწიფო ვალის ზრდას და, შესაბამისად, ხანგრძლივი პერიოდისათვის გაუმართლებელი ხარჯების მოცულობის გადიდებას. არადა, ეკონომიკის რეგულირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლიბერალური საგადასახადო მოდელის განხორციელებას, როცა უპირატესობა ენიჭება დაბალი საგადასახადო განაკვეთების დანერგვას, რაც მეწარმე-გადამხდელების განკარგულებაში ტოვებს შემოსავლების გარკვეულ ნაწილს, რომლის საინვესტიციო წყაროებად გამოყენების შანსს ზრდის ეს კი, საბოლოო ჯამში, ნიშნავს ძირითადი კაპიტალის განახლებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს

სამწუხაროდ, საქართველოში ხელისუფლების სიმპატიები მიმართულია მკაცრი საგადასახადო მოდელის სასარგებლოდ. ამის მაგალითად შეიძლება გამოვიყენოთ ის ფაქტი, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის სრულად ამოქმედება 2005 წლის 1 იანვრიდან არ მომხდარა. დამატებული ღირებულების გადასახადის 18 %-იანი (20 %-ის ნაცვლად) განაკვეთის ამოქმედება დაიწყო 1 ივლისიდან, რითაც მეწარმეებმა ბიუჯეტში ზედმეტი შეიტანეს 42 მლნ ლარზე მეტი დამატებული ღირებულების გადასახადი.

როგორც წესი, მკაცრი საგადასახადო მოდელი გულისხმობს მაღალ საგადასახადო განაკვეთებს და შეღავათების მინიმუმამდე დაყვანას, რაც ხელს არ უწყობს ბიზნეს გარემოს შექმნას და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას

ქვეყანაში სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება საგადასახადო აღმინისტრირების განსამტკიცებლად, რამაც მოითხოვა ახალ საგადასახადო კოდექსში გარკვეული ცვლილებების შეტანა. ერთ-ერთი ასეთი ცვლილებაა გადასახადის დამალვისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერება თუმცა, მარტო აღმინისტრირების გამკაცრებას არასოდეს მოჰყოლია სასურველი შედეგი. ნორმალური მართვის პირობებში ოპტიმალური შესაბამისობა უნდა არსებობდეს საგადასახადო პასუხისმგებლობასა და საგადასახადო შეღავათებს შორის. ამ მხრივ, საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო ახალმა ხელისუფლებამ. 2004 წელს მიღებული იქნა „ფინანსური ამინისტიის შესახებ“ კანონი. ამ

კანონმა ხელი შეუწყო ბიზნესის ლიბერალიზაციას, კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერებას და სტრუქტურული რეფორმების კიდევ უფრო დაჩქარებას, რაც საბოლოო ჯამში, ქვეყანაში ეკონომიკური მრდისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ინტერესებს ემსახურება.

